# ცისკარი.

**1865**

ნოემბერი.

## წელიწადი მეცხრე.

წოდება თხზულებათა:

I — აღსარება ქალისა, მარიონ დელორმისა. (ნათ.) გრიგოლ რჩე-ულოვისა.

II — ლექსები: 1, თ. გ. ბ. მ. პორტრეტზედ. კოლხიდელისა;— 2, ა..... გ, ბ. ჯ.—3, შენ გეუბნები. დიმ. ბერიევისა.— 4, გულს. მისივე.—5. იეფი ფასის ასული. თ. აკ. წერე-თელისა.

III — მ ა ხ ე..- დიმ. ჯანაშჳლისა.

IΛ — სხჳა და სხჳა ანბავი (იხილე მეორე გვერდზედ.)

---

ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

ხია, 1866 წლის ცისკარზედ ჴელის მომწერთა.

ტფილისში

28. თ. მიხეილ თუმანოვი.
მიხეილ არარატსკი.
30 თ. ივანე შალიკოვი.
თ. დათიკო ერისთავი.
თ. თადეოზ გურამოვი
კონსტანტინე ბალდანოვი.
პრიკაზი.
თ. ივანე მუხრანსკი.
ანტონ მამულოვი.
დეჟ. დუჟ. კანცელიარია.
თ. რამაზ თარხანოვი.
40 ივანე მიზოევი,
თ. დავით ერისთავი.
თ. ივანე მელიქოვი.
თ. რევაზ გაჩნაძე.

ოდესაში.

თ. რევაზ ერისთავი,

ვოზდვიჟენის ციხეში.

ნავაგ. პოლკის ბიბლიოტეკა.

ანანურში.

თ. ზურაბ ავალოვი.

ლაგოდეხში.

გრენ. პოლკის ბიბლიოტეკა.

## ნაწილი მეორე.

მეორეს დღეს დებარო შემოვიდა ჩემს საწოლში და მპოგა ცრემლიანის თვალებით. მოსატყუებელი ფარდა გადაიწია და მაჩვენა ჩემი თავი ბიწიერებაში. მე უკვე აღარ შემეძლო მიმელო ხელი პატიოსანის კაცისა. დაიღუპა ჩემი სიყმაწვილე, ჩემი უმანკოება. დღეიდგან მოისურება კარები ჩემთვის მამაჩემის სახლისა, დღეიდგან მომერიდებიან მეზობლები, ტოლნი, რომელთანაც ვიყავი შემტკბარი სულითა და გულითა სიყმაწვილით.

დილით თვრამეტს მოვიდა მონასტრიდგან. ის იყო ჩემი მოსხლე და გამომიცვალა ატლასის კაბით მოლოზნის მამაკაბა. ის გავიდა მაშინ, როცა დებარო შემოვიდა ჩემთან. დიდხანს იდგა ის ჩემწინ მუხლებზედ დაჩოქილი და თვალებში შემამტკერილა გახურებული; ის ჰგრძნობდა, რომ სიტყვებით ვერა ჰსცემდა ნუგეშს ჩემს მწუხარებასა. იმან დამიწკინა ორივე ხელები და მითხრა:

—მარიონ, ნუ თუ ჩემი სიყვარული ვერ შეგიშრობს ცრემლსა?

—გიყვარდე მე! უთხარ ტირილით: ესლა საჭირო შენი სიყვარული ჩემთვის, მხოლოდ შენღა დამრჩენილხარ მთელს ქვეყანაზედ.—

—გახსოვს, მარიონ, ჩვენი სანაძლეო ბაღში, გზაზედ რომ შევიყარენით?—

—რაღათ მაგონებ ჩემს შერცხვენას! უთხარ მე ამოხვრით.

—იმიტომ, რომ მე წავაგე სანაძლეო, მითხრა იმან: წავაგე, იმიტომ რომ შენ ჰსტირი... მაგითი ამგვარათ ჰსჩანს, რომ ვერ მოვაქცევ შენ ჩემს განოზედ, ჩემს ურწმუნო გზაზედ... იქნება მე თვითონ მოვიქცე შენს გზაზედ, ვინ იცის? მანამდისინ გახსენ ეს პატარა ყუთი.

გაჰაღე ოქროს გასაღებით მშვენიერი პაწაწა ყუთი, ემალითა და სადაფით მოჭედილი. ღმერთო! რამდენი ბრილიანტის ნივთები იყო, რა მშვენიერი წყალი ჰქონდათ, რა ბრწყინვალება ჰქონდათ!.... იქ იყო მშვენიერი ბეჭედი, რომელიც გამიკეთა დებარომ თითზედ, იქ იყო ზურმუხტის ბრასლეტი, რომელიც გამიკეთა მაჯაზედ, იქ იყო ბრილიანტის ჯერი, რომელიც ნამდვილს ვარსკვლავებს ემგზავსებოდა სინათლით; ის თავზედ გამიკეთა, აგრეთვე ჩამომკიდა ყელზედ მშვე-ნიერი მარგალიტის საყბეური.

—ესენი სულ შენი მოგებულია სანაძლეოში, მეუბნებოდა დებარო, იმან მიმიყვანა სარკესთან და ჩამასხედა. მე ვეღარ შევიმაგრე თავი, რომ სიხარულით არ შემეკივლა. მწუხარება ჩემი გადნა; ძვირფასის ქვების ბრწყინვალებამ გამიშრო აგრეთვე ცრემლი.—ესრე ვართ ყვე-ლა ქალნი,!

—შენ იცი, მარიონ, რომ მდიდრები ვართ, მითხრა დებარომ; მაგრამ ეს სიმდიდრე უფრო მოგვემატება მამიჩემის შემდეგ. რათ მინდა დავჰკარგო ტუტუცურ საქმეებზედ ძვირფასი დრო, რომელიც შეგვიძლიან შევჰსწიროთ სიხარულს ერთმანერთის სიყვარულისას!.... წამოდი! შენ უნდა დაესწრო ჩემს გაყრაში მოსაწყენ ქაღალდებთან.—იმან დამიჭირა ხელი და შემიყვანა თავის კაბინეტში. მე გაოცებით ვნახე, რომ იმ სიცხეში, იქ ბუხარი აენთებინებინა. გროვა ვერცხლი-სა და ოქროსი ეწყო სტოლზედ ქაღალდების მახლობელ.

—პირველად უნდა გითხრა, მარიონ, რომ პატივცემულმა მამაჩემა, ამ სამის თვის წინათ, დიდის ცდით მიშოვნა სოვეტნიკობის ალაგი პარლამენტში. ეს იყო ჰსწორეთ იმ დროს, როცა ჩვენ ერთათ ჩა-მოველით ეპერნიდგან. მამი ჩემის განზრახულება ის იყო, რომ უფ-რო წავექეზებინე შრომაში,—იმ დღიდგან საქმისაგან თავს ზევით ვერ ავიღებდი, თუ რომ მივჰყოლოდვიყავ, და დღეში ერთი საათი ძლივს მექნებოდა შენის სიყვარულისათვის. ეხლა ხომ მიხვდი, რომ მე ამას ვერ ავიტან და ეხლა მინდა სოვეტნიკობის ალაგზედ უარი ვჰყო. მე ყველა დამიბარებია, ვისიც დავა მებარა.—იმან დაარაკუნა ზარი. შე-მოვიდნენ ორი მოსამსახურენი.

—არიან ვინმე იმათგანნი, ვინც მე დავები მომანდო? ჰკითხა დე-ბარომ.

—გასულან, მოახსენეს იმათ: ცხრა საათიდგან აქ გელიან.

—შემოიყვანე თითო თითოთ, უბძანა იმან ერთსა და მეორე მსახური კი სტოლთან დაიყენა.—შემოვიდა ვიღაც მოვაჭრეთაგანი რომელმაც ხუთჯერ თავი დაუკრა დებაროს, ხოლო იმან ჰკითხა;

—რა გქვიან სახელად?

—ნიკოლა.

—კარგი: აი შენი ქაღალდები... რამდენსა ჰსთხოვ შენს მოდავესა?

—თხუთმეტ თუმანს ვედავები, უპასუხა ნიკოლამ.

—ჩემთჳს რაღა უნდა მოგეცა შრომისათჳს?

—მგონია სამი თუმანი, უპასუხა ნიკოლამ გაუბედაობით.

—სამი თუმანი? შენ გაგიჟდი? შეუტია დებარომ: მე დავას არ ვიღებ, რომლისაგანაც ოცდა ხუთს თუმანზედ ნაკლებ მერგება... ჰო, ჩემო საყვარელო, ამისათჳს მიბძანდი აქედგან შენის თხუთმეტის თუმნით. ჩაყარე მაგის ქაღალდები ცეცხლში! უბძანა ლაქიას, რა მიაწოდა იმას ოქმები, რომელნიც ჩქარა აინთნენ ბუხარში.—

მეწვრიმანე გაყვითლდა.—ბატონო! ეგ რას მიშვრები?.... შეჰყურა იმან.

—მე შენ არ გეუბნები, გამეცალე მეთქი შენის თხუთმეტის თუმნით? აი ფული! მიითვალე ჩქარა და წადი! დღეს ბევრთან უნდა გავათაო საქმე.

მეწვრიმანემ გაოცებულმა დაითვალა სტოლიდგან თხუთმეტი თუმანი და გამოვიდა მადლობით. დარწმუნებული ბძანდებოდეთ, რომ მე ვეცდები გიმოვნოთ და გამოგიგზავნოთ მოდავეები, მოუმატა იმან.

—ღმერთმა გიხსნას მაგისაგან! უთხრა დებარომ.

შემდეგ შემოვიდა სქელი დედაკაცი, რომელმაც ლოინჯი შემოიყარა და დაიწყო ხრინწიანის ხმითა:

—ეს რა ამბავია? ქალები სამი საათი უნდა გელოდნოთ? ამას სადაური გაზდილობა მოითხოვს?

—დღეს მე ჯუარი დავიწერე ამ ყმაწჳლ ქალზედ, უპასუხა დებარომ: ამიტომ გალოდინე სამი საათი შენა, რომ ჩემი ცოლი უფრო ვერ მოითმენდა ლოდინსა...

—კარგი, ჩემი საქმე როგორ მიდის?—

—შენი საქმე ჰსწორეთ დღეს გადაწყდა; მე წავაგე ეგ საქმე და ჯარიმას გართმევენ. შენ თითონ შეგიძლიან იფიქრო, რომ ჯუარის წერა და სხვის საქმის მოგება არ შეიძლებოდა ერთს დღესა.

—წაჲღე ჩემი დავა!... დაგასხრწობ მე ავაზაკო! შეღრიალა სქელმა დედაკაცმა.

—რა საკვირველია, შენ შეჩვეულო კიდევ მოჰგვრეკ დავა, თუ რომ აველაცის გადიტანდი უმაღლეს ალაგსა, უთხრა დამშვიდებით დებარომა; მაგრამ მე აღარ ვკისრულობ შენს საქმესა... შენ მეტად ბრიყულით იქცევი... ჩაყარე ცეცხლში ამის ქაღალდებიც!—და ესენიც ბუხრისაკენ გაიფრინდნენ.

—ჰაი მე ავაზაკო! ჰაი მე დევანდლო! შეჰყვირა გაცოფებულმა დედაკაცმა, და დააპირა ეტაცნა დებაროჲსათჳს თმაში ჴელი; მაგრამ მოსამსახურემ ჰსტაცა იმას ჴელი და შეაყენა.

—გაიგდე აქედგან! უთხრა დებარომა მსახურს, მაგრამ ჯერ მიეცი მაგას თავის დავის ფასი, ოც და შჳდი თუმანი.—

—უჰ! ამოიქშინა დედაკაცმა: ეგ სხჳა არის... მოდი ერთი მოგეხვიო, ჩემო ლამაზო! ჩემო კარგო!

—არ მინდა, არ მინდა! შეჰყვირა დებარომ შიშით.

—მესმის, მესმის!... ჰსთქჳა ღიმილით და თვალების თამაშობით დედაკაცმა: შენ ცოლითან არ უნდა მეთქო, მართალია... ჯერ ახალი ჯუარ დაწერილები ხართ... მაგრამ, თუ შემხვდები როდისმე, იცოდე მე შენი მოყვარე ვარ... ამ იქმახთან ტკბილათ გაუცინა დებაროსა, მადიანათ იკოცნა თავის მოჯგუფულს ხუთს თითზედ, ჩაიწყო ჯიბეში ფულები და გავიდა სტომით.—

—რას ჰფიქრობ, მარიონ, დავების გადაწყვეტაზედ ამ გვარად? ჰკითხა დებარომა.

—სასაცილოა, მაგრამ მგონია ცოტა მეტად დაგიჯდება.

შემოვიდა მესამეც, რომლის მწუხარეს სახემ შემივიწროა გული.

—შენა ხარ, ჩემო საწყალო ბერნარო? უთხრა დებარომა.

—მოწყალეო ხელმწიფევ, უთხრა ბერნარომა: რასაკვირველია თქუენ იმისთჳს დამიბარებდით, რომ მიიღოთ ჩემგან თქუენი შრომის ფასი; მაგრამ რა ვქნა, მაღალმა ღმერთმა იცის, რომ დავილუპე, დავიქეცი,—აღარა მაბადიარა; ჩემი ცოლშვილი თივაზედ წვანან; რაც რამ მქონდა მივყიდე-მოვყიდე, და აი გეფიცები უფალს, რომ ამ ექვსის თუმნის მეტი ვერა ავიღერა, ამაზედ მეტს ვერას მოგართმევ, თუ გინდ თოკი მომაბა ყელზედ და სასახრჩობლად წამიყვანო,

—აი ფული შენთჳს შეინახე, ჩემო მეგობარო. მე შენთან სხვა

ანგარიში მაქვს, უთხრა დებარომ: იცი მარიონ, შენ დაღუპე საცოდავი ბერნარი?

—მე? გაოცებით ვკითხე მე: როგორ? მე რა მიქნია მაგისათვის?

—ჰო, შენ, მიპასუხა დებარომ: შენა ხარ უმიზეზო მიზეზი ამის დაღუპვისა. როცა რომ შენ უეცრად ჩაიყლაპე სასახლის ბაღიდგან, იმის ერთის კვირის შემდეგ მე უნდა ამ კაცის საქმე დამეფარა, რომელიც სრულებით მართალი იყო. ეს საქმე იყო ორი ათას ხუთასის თუმნისა, ესე იგი რაცკი ამას შეძლება ჰქონდა; მაგრამ მე ის კვირა გავატარე შენს ძებნაში, შენს კითხვაში და ამის საქმე არც კი მომგონებია; ხოლო როდესაც პარლამენტში შეუდგნენ საქმის გარჩევასა, მე არ ვიყავ მომზადებული და ამის წინააღმდეგის ადვოკატმა ყველაში დამამარცხა. ამ გვარად ამის დავა მე და შენ წავახდინეთ.—მითხარ მარიონ, რას იქმოდი ჩემს ალაგს რომ შენ იყო?

დებარო აღრეულის ხმით მელაპარაკებოდა, იმას ცრემლი უბრწყინამდა თვალებში.

—რასაც გული გეუბნება. ისე მოიქეცი, უპასუხე მე: გარწმუნებ ჩემს სიტყვებზედ გული უეჭველად გიწყრებს.

—გმადლობ, მარიონ, შენ მიხვდი ჩემს ჰაზრსა.

დებარომ ამოიღო ქაღალდი და რა მისცა ის ბერნარსა, უთხრა:

—აჰა ეს ვექსილი ორი ათას ხუთასის თუმნისა, მეფის ხაზინადრის ემერის სახელზედ. იმას ნახავ თავის საკუთარ სახლში; ის ჩემი ასლო მეგობარია; ის მაშინვე დაგითვლის ამ ფულსა; ამაში თუმცა ასიოდე თუმანი მეტია შენის დავის ფულზედ, მაგრამ ეგ მეტიც შენი იყოს, ამიტომ რომ სამი საათი მეტი გალოდინე ჩემს კარებზედ, ეგეც ამ ქალის ბრალია... ჩვენ ესლა გავქვითდით, არა ბერნარო?

მე ვერ აგწერ იმ საცოდავის გაოცებას და სიხარულსა. ის მოეხვია მუხლებზედ დებაროსა და ხიტყვას ვერა ჰპოულობდა მადლობის გამოსათქმელად. დებარომ კარებამდის გაასცილა ბერნარი, და შემდეგ მოვიდა ჩემთან:

—ოჰ, საყვარელო მეგობარო უთხარი მე იმას, ეგ სწორეთ კეთილშობილური საქმე ჰქმენ... გმადლობ.., რო არცა მეყვარებოდი ესლა შემიყვარდებოდი მაგ ქცევისათვის.—

კიდევ ათიოდე მოდავენი შემოვიდნენ, რომელთაც დებარო საჩქა

როთ უთავებდა საქმეს; ერთის ჴელით ის ფულს უთვლიდა იმათ, მეორეს ხელით იმათ სადავიდარაბო ქაღალდე-ბს ბუხარში ჰყრიდა, ისე რომ რაოდენსათაც სტოლი სუსტდებოდა ფულით, ეგოდენი ფერფლი ემატებოდა ბუხარს.—როდესაც, ყოველი ქაღალდები გადაწვა და გაისტუმრა უკანასკნელი მოჩივარი, დებარომ მაშინვე გაგზავნა პარლამენტში ქაღალდი სამსახურიდგან გადადგომაზედ.

—ეხლა სრულებით ჩემს სიყვარულს ვეკუთვნი, მითხრა იმან. და ამაყენა სახლის და ბაღის გასაშინჯავად. მე ჰსწორედ სამოთხეს ვხე-დავდი: ოცი მოსამსახურე ქალი და კაცი უცხოდ ჩაცმულნი იყვნენ ჩემს წინ გამოჭიმულნი და თერეზამ მომართო ოქროს თეფშზედ სახლის გასაღები. იმან წარმომიდგინა თავისი ქმარი და არ იყო მო-ტყუებული, რომ ამაზედ გამოეცვალა ჩემი კამუზარი. მე დამატარეს ჩემთჳს დამზადებულს ოთახებში, რომელნიც ისე მდიდრულათ იყვნენ გამართულნი, რომ მხოლოდ სასახლის ქალებს ედგომებოდა იმათში. ბაღში უფრო საოცარი საოცრებაზედ წარმომიდგებოდა: დიდრონი ხის ჩრდილნი ჰფარავდნენ აქა იქ უცხოდ გაკეთებულს ხის ფანჩატუ-რებს; დიდრონს აუზებში დაცურავდნენ თოვლებრ თეთრნი წეროები, უარუატები და სხჳა წყლის ფრინველნი; აქა იქ ამოდიოდა წყლის შადრევანი, ხეივნები იყო აგსილი სხჳა და სხჳა მშჳენიერის ყვავი-ლებით, რომელნიც გამოსცემდნენ ყოველ გვარ ფერსა და სურნელე-ბასა. ყოველი ჩემი აღწერა იქნება სუსტი და მკითხველი ამით ვერ წარმოიდგენს იმ მშჳენიერებას, რომელსაც მე ვხედამდი. ამ უცხოს სადგურში. ჩჳენ დავიმალენით ქჳეყნისაგან: დებაროს ეშინოდა თავის მამისა, მე ჩემის ნათლიისა. გსურსთ აგწეროთ პირველი თვე, გატა-რებული დებაროსთან? ეს იყო მშჳენიერი სხივი, მარად ახალი და სახისარულო, ეს დრო იყო დაუცხრომელი ღიმილი ბედნიერების და სიყვარულისა. დებარომ დაიჭირა ადგილი იმ ყველა ოსტატებისა, რომელნიც მომიჩინა მე გრაფინია ევრემონმა. უროკებისათჳს, ფას ვაძლევდი მე იმას მხოლოდ კოცნით. მე უცხოდ უკრამდი საკრავს და უფრო უკეთესად დავმღეროდი; ესენი განვივითარე დებაროს შემწე-ობით. ჩჳენ მეტად ბედნიერნი ვიქნებოდით, თუ რომ ეს სიმთვრა-ლის წამნი გაგრძელებულ იყვნენ ბოლომდინ. გამოცდილებას ჯერ არ ესწავლებინა ჩემთჳს, თუ როგორ საშიში არის ხან გრძლივი ყო-ფნა საყვარელთან თვალი თვალთან. განვლო ექვსმა კვირამ და მე უკ-

ჳე დებაროს ლაპარაკზედ ვამთქნარებდი; იმასაც მგონია მოაკლდა მხურვალება ლაპარაკში, და ჩჳენი სამოთხე ისე მხიარულად აღარ მიგვაჩნდა. დებარომ მოისურვა, ჩუმათ ვიაროთ ხოლმე ეკიპაჟით პა-რიჟში სხჳა და სხჳა გამოცვლილის ტანისამოსით. მე სიხარულით ვეთანხმე. ხშირად გავდიოდით სოლმე ქალაქს გარეთ, იქ ეკიპაჟიდ-გან გადმოვიდოდით და მინდვრებში დავსეირნობდით ქვეითი, მხარი მხარს გაყრილნი. ამან ჩჳენ წაგვაქეზა, მერმე პარიჟის ქუჩებშიაც ვიწყეთ სიარული და ველარ მოვითმინეთ, რომ წვრილ ტეატრებშიაც არ წავსულიყავით სანდახან. ერთსელ ტეატრში რაღაც წარმოდგენამ მიიზიდა ჩემი ყური და მე მეტად წინ წავყავ ლოჟიდგან თავი. უეც-რად ჩემს უკან შემომესმა ხმა.

—აა! ეს ის არის, ეს მარიონია!

მე მსწრაფლად მივიხედე უკან და თვალებში შემეფეთნენ მარკიზი ვილარსო, ბესომპიერი და სოროლენი. მე გავწითლდი სირცხვილით და თავი დავლუნე. დებარო მივარდა ამ ხალხს, მოაშორა ისინი. იმანა ჰსთხოვა იმათ ნურსად იტყვიან ჩჳენის ნახვის გამო, მაგრამ იმათ სხჳა მეგობრებიც მოემატნენ და ერთს წუთს ათი თხუთმეტი კაცი შემოგვეხვია გარსა. ისინი გაკვირვებით გვკითხავდნენ სადა ვართ, რათ ვიმალებით, აღარ მოეშვნენ დებაროსა, რომ ვახშმათ არ მოეპა-ტიჟნა ისინი.—მოემზადე, ჩემო დედოფალო, მითხრა დებარომ: ღირსეულად მიიღო ეს სტუმრები და ნება უბოძე გადმოჰსდგან ამათ ფეხი თქჳენის სამეფოს სამძღვარზედ. ნახევარ საათის შემდეგ ოთ-ხი კარეტა მოადგა ჩჳენს კარებსა, ერთს წუთიზედ ჩჳენი მოსამსა-ხურები სულ ფეხზედ ტრიალებდნენ. ჩჳენი სტუმრები მაშინვე ზალ-ში ჩაიჭრნენ ანთებულის მაშხალებით და დაძვრებოდნენ აქა იქ ხეების ქვეშ ანთებულის სანთლებით; მოისმოდა იმათი მხიარულება, სიცილი, ყაყანი. ბესომპიერმა დამისხელა მარტო და მევედრებოდა მივუტეო ის ხუმრობა, რომელიც მოისმარა ჩემთან სასახლის ეკკლესიაში.

—კარგი, მაგრამ რას ელოდი შენ მაგ გვარის ღალატობითა? ჰკი-თხე მე.

—პირველად ამას ჩემო საყჳარელო, შენი ნათლია რომ არ მო-სულიყო, ის ჯჳარის წერა შენ გეგონებოდა კანონიერი.

—რასაკჳრველია, ეგ უფრო ცუდი!

—ეს უფრო ცუდი, მაგრამ არა ჩემთჳს, არამედ მარგარიტასთჳს,

მითხრა ბესომპიერმა: შენ ის არ გიყვარდა და ვერც შეიყვარებდი; ერთს კვირას უკან გააგდებდი და მაშინ მე მექნებოდა მომზადებული ღონისძიება დამეჭირა იმის ადგილი. ეხლაკი მგონია მთელი საუკუნე გაატარო დებაროსთან... სადღა მაქვს ეხლა იმედი?—განა იმიტომ გამოგიხსენ მონასტრიდგან, რომ სხვას მოსჩვენოდი? ძალიან არ ვი-ქებ მე ჩემს საქმეს!

რა ნახა ბესომპიერმა, რომ უცინი, იმან მომთხოვა თავის შეკრულობის პირობა, ესე იგი ნება კოცნისა. ჯერ ბევრი ვახვეწნიე, მაგრამ ბოლოს მივადე ხელი ტუჩებზედ. ამ დროს მოვიდა ჩვენთან სორ-ლენიც, რომელმაც აგრეთვე მომთხოვა ამ გვარივე მოწყალება. ვატყობდი, რომ ეს ისე არ იყო ზნეობითი საქმო, როგორც ბესომპიერი, და მეც უარი არ უთხარ. სორლენმა სიცილით მითხრა, რომ რომელიც მეტად მოხარული იყოთ, რომ ისე ანაზდეულად გამოვიხსენით დიდი დედოფლის ხელიდგან.

—ის მაინც გაჰყვა დედოფალსა ბლუაში, მოუმატა სორლენმა: მაგრამ შენი მარაოკი თავისთან კაბინეტში შეინახა, და გითხოვს, რომ შენ თჳთონ მისვიდე იმის გამოსართმევლად, როცა ის დაბრუნდება პარიჟში.

—დაე, მელოდეს! უთხარ მე.

ჩვენი სტუმრები დაბრუნდნენ მაშხალებით და ჩქარა დასხდნენ ვახშამზედ. მე მქონდა დრო იმათის დასინჯვისა. ერთი იმათგანი იყო დაჩენჩილი, ბრუნდეს ცხვირით და დიდრონის დაშებით. ამას ერქვა თეოფილი და შეეძლო გაბედვით დაეჭირა სანაძლეო კამუზართან სიმახინჯეში. ეს პირველს შეხედულებაზედვე შემძაგდა მე, მაგრამ ის პირველი მეგობარი იყო დებაროსი, რომელიც მეტად ჭკვიანათ და მჭევრ მეტყველად ჰპოვებდა იმას. ვგონებ ეს თეოფილი იყო პირველი ოსტატი დებაროსი ურწმუნოების ჰსწავლაში. ვახშამი გაატარეს გიჟურ-მხიარულად. ყველანი ჩემს თვალებს ამკობდნენ ლექსებში, ასე რომ ამათ დადარებასთან ვარსკვლავებიც დაამცირეს და ასე აწყენინეს, რომ მართლა სირცხვილით ვარსკვლავები დაიმალნენ და განთიადმა შემოუყო თავი ფანჯრებში ჩვენის ვახშმის დასაზვერავად.

ამ პირველის მიღების შემდეგ, ყოველ საღამოზედ მოვდიოდნენ ბევრი სტუმრები. ძნელი დასაჯერი იყო, რომ ყველას დაეცვათ ჩვენ-ნი საიდუმლო სადგური, მაგრამ ჯერ არავინ არ გვაწუხებდა და აქე-

დგან ვიფიქრე, რომ არც ჩემს ნათლიას და არც დებაროს მამას არა ჰქონდათ განზრახვა დაემალათ ჩუენის ბედნიერებისათჳს. ამ დღიდ-გან მოუღლილი ყოველ დღე დავაჭენებდით ეკიპაჟსა მთელს პარიჟში უშიშრად. ერთს დღეს, როდესაც ჩუენ წავედით რისამე სასყიდლად, ჩუენი ეკიპაჟი შეაყენა ხალხის ტალღამა გრევსკის მეიდნის ახლოსა. შევიტყეთ, რომ მარშალი ბირონის ცოლი ელეონორა მოჰყვანდათ ამ მეიდანზედ თავის გასაგდებლად. ეს საცოდავი გაყვითლებული ქა-ლი ჩემგან გამოატარეს, ის იქნებოდა ოც და თორმეტის წლისა და ჯერ ისევ საკმაოდ ლამაზი იყო. რა ვერა ჰპოვეს რა მსაჯულებმა განსაკუთრებითი დანაშაული ამ ქალში, იმათ დააბრალეს იმას კუდი-ანობა და გადაწყვიტეს ჯერ თავის გაგდებინება იმისი, მერმე მკვდრის დაწვა. ამის ხილვამ მომაგონა ამ ქალის ქმრის სიკუდილი და კვალად გული მიწუხდებოდა შიშისაგან. ხალხმა გაიწია მეიდნისაკენ და განა-თავისუფლა გზა ჩუენის ეკიპაჟისათჳს- მე ცრემლები მდიოდა თვალ-თაგან.

—რა გატირებს, ის ქალი დარწმუნებულია, რომ ამ მეიდნიდგან პირ და პირ სამოთხეში შეიყვანენ, მითხრა დებარომ დაცინვით.

—უჰ, დებარო, შენი ურწმუნოება მე გულს მიხეთქს. შენ არ დაბადებულხარ მაგ დაუჯერებლობით; შენ კეთილი გული გაქვს... მაგრამ შენ მეტად საშიში მეგობრები გყავსან.

—აა! მე ვხედავ, რომ თეოფილს არა ჰქონია ბედნიერება მოეწო-ნებინა შენთჳს თავისი თავი. შენ ის არ გიყვარს, ამიტომ რომ მა-ხინჯია, მაგრამ ჩემთჳს მაგ მიზეზს არა აქვს ფასი. მე გთხოვ მა-რიონ, რომ დაიმარხო მფარველობა იმ ყმაწვილკაცისადმი, რომელსაც მე პატივსა ვცემ ყოველ მეგობრებზედ უმეტესად... მარიონ, აი პრე-ზიდენტი შევრის სახლი, რომელსაც მე ვთხოვე ერთის კაცის აქ გადმოყვანა სამსახურში და რომლის უეცარი ნახვაც შენ გასიამოვნებს. მე მიკვირს, ჯერ არ ჩამოსულა. ჯერ მე იმასთან არ მოვრჩენილვარ ანგარიშსა.—

—ვიზედ ამბობ? უთუოთ კამუზარი იქნება! უთხარ მე.

—ჰსწორედ ისა! მე ერთი პლანი მაქვს შედგენილი იმისგამო. მგონია მაღლის ხსენებაზედ ის უნდა იყოს! აბა, შეხედე ხიდზედ? იმასა ჰგავს.

მე გავიხედე კარეტის ფანჯრიდგანა, და მართლა კამუზარი დავინახე;

ის მოუქლაუუნებოდა პრეზიდენტის სახლისაკენ.

როდესაც შინ მოვედით, მსახურმა გვითხრა, რომ ორი სტუმარი გელითო. დებარომ მთხოვა მე მივსულიყავ იმათთან, რადგანაც თითონ უნდოდა მოელაპარაკნა რაღაც საქმეზედ თავის მოურავთან და იმის ცოლ თერეზასთან. მე გავეშურე სტუმრებისაკენ და წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როდესაც მე დავინახე ლიზა მკლავი მკლავს გაყრილი იმ მღუდელთან, რომელმაც იმას ესრე კარგათ ჯვარი დასწერა. რა ბესომპიერმა დამინახა, თავი დამიკრა:

— მარიონ, მითხრა იმან: მაქვს პატივი წარმოგიდგინოთ ვიკონტესა დე-ლუჟერი.

ამ დაცინვისათვის ბესომპიერმა მიიღო ლიზასაგან უცხო სილა. შემდეგ ლიზა მოვიდა სარსარით ჩემთან და მითხრა:

— ჯსედამ, რა ხასიათ გწურთნი პოლკოვნიკს! მეც აგრეთვე კარგათ ვსმარობ ჩემ ქმრებს, როგორც შენი ნათლია გრაფინია.. რა მიხარიან ჩემო საყვარელო მარიონ, რომ გხედამ. ის გარედამესვია.— მე ვაპატიე ამ გარყვნილს ბებერს ჩემი ჯვარის წერა, მხოლოდ ამ პირობით, რომ მოეყვანე შენ სანახავად ამ მშვენიერ სადგურში, რომელმაც მგონია ჩქარა დაგავიწყა ყოველი მწუხარება... ახ, რა ხასით მოგვატყუეს ამ ბოროტებმა!... ამასთან ესენი რომ კიდევაც იცინიან ამ საქმის გამო, და სრულებით არათ მიაჩნიათ!.. მართლა მე ჩემს ვიკონტთან აღარ ვცხოვრობ... იმ საძაგელმა თავი დამანება, სულოჯან!

— ჯსწორეთ უნდა უამბო, უთხრა ბესომპიერმა ლიზას: ვიკონტი წავიდა შორს სადღაც სამგზავროთ და მე ჩამაბარა თქვენი თავი.

— გაჩუმდი! შეუტია ლიზამ: ვინ გეუბნება აგრე დაწვრილებით გამოაცხადეო. იმან კიდევ მოამზადა სილა, მაგრამ ბესომპიერმა დაუჭირა იმას ხელი და დაუწყო მხრებზედ კოცნა.

— მე შემრცხვა იმათ მაგიერად, მაგრამ არა უთხარი-რა. ლიზამ მომითხრო, რომ ჩვენმა ჯვარის წერამ ააყაყანა ხალხი და ეს ამბავი მივიდა გენერალინის დედუინამდის, რომელმანც უწყალოდ გამოაგდო შინიდგანაო... შემოვიდა დებარო. პატარა ხანს უკანაც პრეზიდენტი შევიდა და ჩემი საქმრო გამეზარი, რომელიც ჩემს დანახვაზედ გაოცდა და პირი დაღებული შემომცქეროდა.

— დამუნჯდი? უთხრა პრეზიდენტმა გამეზარს. ამ ქალსა სურ-

რომ მადლობა მოახსენო. დაიჩოქე და კელზედ ემთხვიე: ამათის პა-ტივის ცემით მოგცეს აქ სამსახური.—

—განა თქვენა ცდილობდით მარიონ, ჩემთვის ამ ადგილის შოვნას? მითხრა გამყზარმა.

—თუ რომ შენ მაგაში გარწმუნებენ, უნდა დაუჯერო უთხარ მე: დებარო და ბესომბიერი ჩურჩულებდნენ და იცინოდნენ. გამყზარი მიხუდა რომ, იმას დასცინიან.

—აა, ჰსთქვა იმან: მაშ ჩვენ გვასამთ... გინადამ ტუტუცობა არ მომივიდა და არა ვჰსთქვი...

—უნდა გეთქო რამ ჩვენთვის? ვჰკითხე მე.

—მე?... არა... ესდა ისე რეგვენი აღარა ვარ, როგორც პირვე-ლად რომ ჩამოველ... ესდა ისე ადვილად აღარას ვერწმუნები... რა-ტომ თქვენი დედამის ანბავს არასა მკითხამთ, მარიონ, ხომ იცით რომ შალონიდგან მოვდივარ?

მე შემრცხვა და გავწითლდი.

—მე გეგონი მარტონი დავრჩენილვიყავით, რომ ყოველი გამო-მეკითხა, უთხარი მე.

—ბევრს ვერას მოგახსენებ, დედამა მშვდობითა გუვანან, მეტად-რე დედა... თქვენი დები იზრდებიან თვეობით და არა წლობით, და ამ ზამთრის დამდეგს მე განზრახვა მაქვს ჯვარი დავიწერო თქვენ დაზედ ყაკლინაზედ.—

—ოჰო! შეჰყვირა დებარომ სარსარით: თერეზას რაღას ეუბნები?

გამყზარი შეჰკრთა. თერეზა?... განა თერეზა იპოვნეს?

—რასაკვირველია. გრცხვენოდეს, რომ ისე დაემუღე შალონში წა-სვლას, როდესაც ვალდებულება და გულის მხურვალება გიბრძანებდნენ მოგენახა და გაგეგო რამა იმ საწყლის ქალის ბედი.

ამასთან დებარომ ზარი დაარაკუნა. შემოვიდა მსახური.

—თერეზას დაუძახე. უბძანა იმან.

გამყზარი დადუმებული მიეშო სკამზედ.

—აა! შენ ემზადები ამ ზამთარს ჯვარის წერასა ყაკლინზედ! გა-ნაგრძელა დებარომ: განა რამდენი საცოლო გინდა სტამბოლის ფა-შავ? შენ ერთის ვარდილდგან მეორეზედ გადადიხარ პეპელასავით... ჯერ მარიონ დელორმი შეიყვარე, შემდეგ ამაზედ კელს იღებ თერეზას გულისათვის, და ბოლოს თერეზასაც ივიწყებ და ყაკლინა გიყვარს!...

არ შეიძლება შევიტყოთ, სად უნდა შესდგეს შენი სამიჯნურო ურცხვობა? ჩვენ ალაგი გიშოვნეთ თერეზას გულისათვის და არა შენთვის... მე შემიძლიან კიდევ მოგიტევო ყველაფერი, მხოლოდ შენ უნდა ისევ თერეზაზედ ჯვარი დაიწერო.. შენ უნდა დაიჭირო მამის ალაგი იმ უმანკო ყმაწვილისა, რომელსაც თერეზა ატარებს გულს ქვემოდგან.

გამუზარი წამოხტა, თითქოს მორიელმა უკბინაო, და მრისხანების თვალების ჭყეტით მივარდა დებაროსს. მაგრამ ამ დროს შემოვიდა თერეზა.

—ღმერთო დიდებულო! შეჰყვირა იმან და მოეხვია კისერზედ გამუზარს: შენ აქ ყოფილხარ, ჩემო გულის ვარდო! ოჰ, რამდენი მწუხარება გამოვიარე.—

—თავიდგან მომშორდი! შეღრიალა გამუზარმა და კელი ჰკრა იმას.

—როგორ? განა ჯვარს აღარ იწერ ჩემზედ? ჰკითხა გაოცებით თერეზამ.

—განა მაგთენი ნამუსი კიდევ გაქვს, რომ მკითხამ მაგას? უთხრა გამუზარმა და დააცქერდა იმის მუცელს.

—შენი ნებაა, უთხრა თერეზამ: მე არ შემიძლიან ძალა დაგატანო; მხოლოდ დამითვალე შენის ბარათის პირობით ათას ორასი თუმანი. ქალმა ამოიღო ბარათი უბიდგან, რომელიც გამოართო დებარომ.

გამუზარი გაყვითლდა ბარათის დანახვაზედ. თერეზამ მტირალის ხმით უთხრა.

—ჩემო საყვარელო, გეფიცები, რომ ჩემი გული ერთგულად არის შენთვის შენახული... იმ ავაზაკებმა, რომელთაც მომიტაცეს...

—გაჩუმდი, შე უბედურო! შეუტია გამუზარმა.

—ისარგებლეს ჩემის ულონობით....

—მე ყურს არ გიგდებ!

—ჩემმა ცრემლმა ვერ დაულბო იმათ გული...

—ჰსტყუი! შეუტია კიდევ გამუზარმა.

—მე ვყვიროდი, ვჰკიოდი და ვეძახდი მოსაშველებლად...

—არ დააყენებ მაგ უნამუსო ენას?

—მაგრამ საჩქაროდ იმათ ამიკრეს პირი... მაშინ წამივიდა გული...

—ოჰ, ის ავაზაკები, ის უღმთოები! შეჰყვირა გამუზარმა თვალ-

ცრემლ მორეულმა: ქმარა, ქმარა! ნუ დაახრჩობ. ის მიჯდა სკამზედ და ჩამოიფარა თვალებზედ ხელი. საწყალს გული მეტად ჩვილი ჰქონდა და მზათ იყო ჯვარი დაეწერა იმავ იმაზედ. დებაროს პლანიც ამაში მდგომარეობდა, რომ საქმე მიეყვანა იქამდინ, დაეწერა ჯვარი მათზედ ბუხომპიერის მსგავსად; ვახშამზედ კარგათ დაეთრო კამუზარა და ამ დროს თერეზა დაენახვებინა მოსვეული თავის ქმართან გრაფინთან.—რასაკვირველია აქ კამუზარი გაცოფიანდებოდა და ჩვენ გვექნებოდა ვრცელი საგანი სიცილისა. მაგრამ მე კამუზარი შემებრალდა, იმის დასასჯელად ეყოფა ქმარობა, რაც აქამდინ აწვალეს. მე აღარ დავაცადე ამ კომედიის ბოლოსა და გამოვგლიჯე დებაროს ხელიდგან კამუზარის ბარათი, რომელიც დავფხრიწე საჩქაროთ და ბუხარში შევყარე.

კამუზარი გაოცდა და მადლობის თვალით შემომხედა მხიარულად. დებაროს მალიან ეწყინა, რომ არ დავაბოლოვებინე კომედია.

—შენ ეხლა თავის უფალი ხარ! უთხარი მე კამუზარსა: თუ თერეზა შენზედ ხელს არ აიღებს, იმასაც იმდენივე ქმარი ეყოლება, რამდენიც შენ საცოლოები მოგემზადნენ.

ეხლა მიხვდა კამუზარი, რომ ოინს უნდა მოსვლოდნენ ამას. ნუ ჰსწუხდებით მაგითი, რომ ჩქარა გათავდა კომედია. უთხრა კამუზარმა დებაროსა: თუმცა მე ესენი სულ მართალი მგონია და უნდა თქვენი სასაცილოთ გავმხდარიყავი. მაგრამ თქვენც სიცილი ტირილად გარდაგექცეოდათ. მე ამაღამ ბასტილიაში (საპყრობილე) დაიმანებდი და შენ, მარიონ შემნანებელთ მონასტერში.—

—მიფრთხილდი! უთხრა დებარომ კამუზარსა: შენ მგონია ცოტა მომხოთა სუმრობ...

—სრულებით არა! უთხრა კამუზარმა: თქვენ მართლა დრო აღარ უნდა დაჰკარგოთ. მე წეღანვე მინდოდა მეთქო, მაგრამ რა ვნახე, რომ დამცინით, აღარ გავახსენერა. დამიჯერეთ, თქვენ ეხლა პარიჟი უნდა დაუტეოთ, და მგონია, რომ ფრანციაცა... ეს უფრო გონიერი იქნება.

—გვითხარ, გვითხარ, უფალო კამუზარო! საიდგან მოგველის შიში? ჰკითხე მე.

—შენმა ნათლიამ გრაფინიამ მისწერა დედა შენს წიგნი მალონში და ეხლა მე და ის ერთათ ჩამოვედით ნავით.

—ღმერთო დიდებულო! დედაჩემი!...

—ჯიბეში მაქვს გრაფინიასაგან მიწერილი წიგნი, განაგრძელა კამეზარმა; გზაზედ დედაშენმა ასჯერ მაინც წამაკითხა, მგონია ესლა იმან ზეპირადაც იცის. საწყალმა, ამდენი იტირა გზაზედ!... მაგრამ ესლა დრო არ არის ამბებისა.—აი წიგნი.—. მაგრამ ნურავისკი ნუ ეტყვით, რომ ეს საიდუმლო ჩემგან გაიგეთ, თორემ ყაკლენას აღარ მომცემენ.

—თუ არ მოგცეს, იმათი გაჯავრებული, მეც არ დაგივიწყებ, უთხრა ლიზამ და მექლუტათ გაუარა კამეზარს გვერდზედ.

მე ისე არეული ვიყავ, რომ ყური არ ვათხოვე ამ დიდი გვარისის ქალის სიტყვებსა. დებარო წიგნსა კითხულობდა. მე უყურებდი იმას და ვხედავდი, რომ იმასაც სახე ეცვლებოდა.

—ეს გრაფინიას ქალია? მკითხა დებარომ.

—ჰსწორეთ იმისია, უპასუხე მე: რისა უნდა გეშინოდეს?

—ყველაფრისა! მითხრა იმან: ჩვენ უზრუნველათ ვცხოვრობდით და ჩვენ მტრებსკი ბნელაში უმუშავნიათ. ჩვენ ესლა უნდა წავიდეთ...

—ჰმ. ჰსთქვა ბესომპიერმა: მე მომხერხებელი კაცი ვარ. მითხარი; მართლა ბასტილიაში გისტუმრებენ? თუ სამიჯნურო საქმეებისათჳს ყველანი იქ ჩასხეს, მაშინ საპყრობილეში ადგილიც აღარ ექნებათ.

ამ დროს კარები მოაჯახყეს და შემოვარდა თეოფილი უქუდო, დაგლეჯილის ტანისამოსით და სისხლიანის მკლავით.

—აი ახალი ამბავი!... შეჰყვირა იმან: ოცი კაცი მეტი სალდათები ცდილობდნენ აქ შემოსვლას იმ დროს, როცა მეც შემოვდიოდი. მე წავივლე ხმალს ხელი, ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ, და დავკეტე ალაყაფის კარები... მაგრამ იმ ავაზაკებმა კიბე იპოვნეს და მგონია ცდილობენ კედლიდგან გადმოვიდნენ.

მე შიშისაგან გული მიწყალდებოდა.

—ჩქარა! ჩქარა! დაიძახა დებარომ! ჩვენ შეგვიძლიან ბაღიდგან გავიპარნეთ.

—ჰო, ჰო! დაუმატა ბესომპიერმა. ბინდდება. შარანტონამდინ ქვეითი მიდით, ორ საათს უკან მე მოვალ თქვენთან ეკიპაჟით და ფულით.

დებარომ და თეოფილმა ცოცხალ მკვდარი წამათრიეს ბაღისაკენ და ჩქარა პატარას კარებიდგან გავძვერით მინდორში. მე ვიყავ ატლასის ბაშმაკებით, ხავერდის ტანისამოსში და თმაში მქონდა გაკეთებული

მრავალი ბრილიანტი. უკვე კარგათ დაბნელდა, როცა პარომათ გავედით წყალში და შეუდექით დაწყნარებით სოფლის მარანტონის გზასას.

აი რასა ჰსწერდა ჩემი ნათლია დედა ჩემსა:

«მე იძულებული ვარ ვაცნობო მარიონის მშობლებსა, რომ ეს ქალი მეტად ურიგოთ იქცევა. არ ეყურბა და აღარც ისმენს ჩემს დარიგებსა, სიკეთის მაგიერად, რომელიც მე ამ უმადურზედ დავთესე, კინაღამ მეც თავი მომჭრა ქვეყანაში და თვითონაც შერცხვა. მე მინდოდა ადრევე მეთხოვნა თქუენთჳს, რომ მოგვეშორებინათ ამ ქალაქიდგან, სადაც ყოველს ნაბიჯზედ უგებენ და აბმენ უმაწვილ ქალებს ხაშიმს მახეში; მაგრამ ამისმა პირმოთნეობითმა შენანვამ მოგვატყუა როგორც მე, აგრეთვე ღირსი მონოზნების უფროსი, რომლის მზრუნველობასაც მარიონი ჩავაბარე. ექვსი კვირა დაჰყო მონასტერში, სადაც თითქოს ჰქონდა სურვილი მონოზნად კურთხვისა, ტყუილად მიეცა ღვთის მოყვარეობას და ლოცვებს, და რა ამ გვარად ყველანი მოატყუა და თვალები აუბა, თვითონ გაიქცა მონასტრიდგან; შემდეგ გადაეკიდა ერთს უმაწვილ კაცსა, ურცხვად აჩვენებს ქვეყანას ამ დასაძრახისს კავშირსა, შლის ჭკუიდგან და აცდენს საქმიდგან ამ პატიოსანს უმაწვილს კაცსა, რომლის მშობლებსაც ყელსა ჰსჭრის.—ამ პატიოსანის მშობლების სახელით მე ვთხოვ მარიონის დედამამას მოუღონ ბოლო თავიანთის ძალით ამ უღირს კავშირსა. მე მხოლოდ გუშინ გავიგე მარიონის ბინა. მე ვერას ვიკისრებ იმის გამო. მხოლოდ დედამამასა აქვს ნება იმოქმედოს ამ საქმეში. მშობელნი უნდა ზრუნავდნენ, რომ ეს სახელის გატეხა არ გავარდეს ქვეყნად და არ ავნოს ამან სხვა შჳლებსაც, რომლებზედაც მე დღეიდგანვე ვიზრულობ გარდვილო ჩემი სიკეთე და სიყვარული. ჩვენ უნდა მარიონ ჩავაბაროთ შემნანებელთ მონასტერში, საიდგანაც ადვილად ვეღარ გამოიპარება, და იმისი მიჯნური გაიგზავნება რამდენიმე თვე ბასტილიაში, სადაც იმას ექნება დრო მოფიქრებისა — შერთამა ჰსჯობს გარყვნილებასა თუ არა.» —

ღმერთმა გვიბრალა, რომ ეს წიგნი კამუზარსა ჰქონდა და დროზედ გადაგვარჩინა სიფათს, რომელსაც უიმისოთ უეჭველად შევემთხვეოდით.

იმ დროს, როდესაც ჩვენ ვცდილობდით დავმალულვიყავით უშიშარს ალაგს, სალდათები შესულიყვნენ ჩვენს სახლში და უნდოდათ

ყველანი იქ მყოფნი დაეტუსაღებინათ. ზესომშიერი და პრეზიდენტი ძლივს განთავისუფლებულ იყვნენ იმათგან, ისიც მხოლოდ მაშინ, როცა თავიანთი წოდება ეთქჳათ. ლიზას თავის უგუნურებით მიეღო ჩემი სახელი, ჩემს მოსამსახურეებსაც არ გამოეყვანათ სალდათები ამ შეცთომილებისაგან და ამათაც დაეჭირათ ლიზა და გამეზარი ჩუენ მაგიერად, და წაეყვანათ საპყრობილეში.

ზესომშიერი დაბრუნებულიყო თავის სახლში, შეებმევინებინა თავისი სამგზავრო ორის ჩასასჯდომი კარეტა და ვიდრე ჩუენ მივიდოდით შარანტონში, ის უკვე იქ დაგვიხვდა, და ფოსტაში აბმევინებდა ცხენებს ეკიპაჟში.

—სიფრთხილისათჳს ესეც მოგიტანე, მარიონ, მითხრა იმან და გამოიღო იღლიიდგან ჩამოსაფარებელი მასკა და აბრაშუმის ყაბალახი. იმან აგრეთვე მოგვცა დარიგება, საით და, რომელ გზაზედ უნდა გვიარნა. ორი დღე მოგვინდებათ ვიდრე ლოტარინგიაში მივაღწევთო, იქ თქუჱნი მტრები ველარას გააწყობენო, ეს თავისუფალი და სტუმრის მოყვარე ქვეყანა არის, რომელიც არ ეკუთვნის ფრანციასო. აგრეთვე თქუჱნ ჩამადანში ჩამიდვია სამი ათასი ოქრო, რომელიც მეტი არ არის მგზავრობაშიო.

—შენ ძვირფასი კაცი ხარ! უთხრა დებარომ ზესომშიერს: ყოველი ფერი მოგიფიქრებია.

—თითქმის ისიც არ დავიწყებია, რომ მე წამართო შემთხვეულება თქუჱნთან გამოყოლისა, მოუმატა თეოფილმა: მხოლოდ ორის ჩასაჯდომი ეკიპაჟი მოუტანია.—

იმედს ნუ გადიწყვეტ, უთხრა დებარომ იმას: მე ესლა მოსარული ვარ, რომ შენ პარიჟში რჩები; შენ მამა ჩემი დაამშვიდე; ჩუენი სახლი დაკეტე; მოსამსახურეები დაითხოვე, გრასენისა და თერეზას გარდა, რომელთაც სვალვე გამოგვიგზავნი ჩუმათ ლოტარინგიაში; საზინადარს ემერის გამოართმევ ჩემის ფულიდგან სამი ათასს ოქროს და დაუბრუნებ ზესომშიერს. შემდეგ, როცა მოიცლი, შეგიძლიან შენ გვეწვიო, სადაც ჩუენ ვიქნებით,—

ზესომშიერი და თეოფილი გამოგვესალმნენ და დაბრუნდნენ პარიჟში, ისიც არ დაავიწყდა ზესომშიერს ეთქვა დებაროსათჳს, რომ იმან გვარი გამოიცვალოს და მეც თავის ცოლობით მიტაროს თან. დღეიდგან დებარომ მიიღო წოდება მოსიო ფერუსა.

მე ჩუმათ დაუმადლე ბესომპიერსა, რომ იმან მოასერხა თეოფი-ლის განშორება ჩემთან.

—მარიონ, მითხრა ჩურჩულით პოლკოვნიკმა: სიყვარულს ფრთე-ბი აქვს; შეიძლება, რომ ოდესმე დებაროსაც მოუნდეს გაფრენა; მა-შინ მარიონ, როდესაც მარტოობისაგან მობეზრდები, როცა ცრემ-ლიც შემოგაკლდება, როცა გულიც დაგიმშვიდდება, მაშინ შემიძლიან მარიონ, მოგნახო და მწუხარებისაგან გაგართო?...

—მე არა მგონია, რომ ჩვენს სიყვარულს ოდესმე ფრთები გა-მოებას, და თუ რომ მართლა შენი სიტყვა აღსრულდება, შეგიძლიან გამართო მწუხარებისაგან, უთხარი მე ღიმილით.

ჩვენც ჩავსხედით ეკიპაჟში. იზვოშჩიკმა გაშალა შოლტი და ცხე-ნები წავიდნენ გრიალით.—ორს დღეზედ გავედით საფრანგეთის სა-მზღვარს გარეთ. მივედით ქალაქს ნანსში. ამის სიახლოვეს იყო მა-მული ბესომპიერისა, სადაც ცხოვრობდა დედა იმისი, მარკიზა, მო-ხუცებული, პატიოსანი და ღვთის მოყვარე ადამიანი. ამასთან წიგნი ჰქონდა დებაროსა ბესომპიერისაგან,რომელიც სწერდა მას,მიგვიღოს ისე,როგორც თავის შვილები.—მართლაც, როცაკი მივიდოდით ხოლ-მე მარკიზასთან, სიხარულით არ იცოდა რა ექმნა, რასაკვირველია იმან არ იცოდა ჩემი მსუბუქი კავშირი, რომლითაც შეერთებული ვი-ყავ დებაროსთან; იმას ამის ცოლი ვეგონე. დებარო ხშირად დადი-ოდა ხოლმე იმათ მამულში სანადიროთ.რამდენჯერმე თვით ლოტარინ-გიის გერცოგმა დაგვპატიჟა თავის სასახლეში. მე ნანსში გავიცან პატიოსანი დეკანოზი, ღვთის მოყვარე, ხალხის მოწყალე, განათლე-ბულის ჭკვით, რომელსაც მთელი ქალაქი პატივს სცემდა და მიაჩ-ნდათ წმინდანათ.—მე ხშირად ვაძლევდი ხოლმე ამ ხუციერს მამას ფულს გლახაკების და ქვრივ ობლების დასარიგებლად.—მე ვცდილო-ბდი, რომ ამის შემწეობით მომექცია დებარო სარწმუნოებაზედ. ხშირათაცა ჰქონდათ ხოლმე ამათ ამ საგანზედ ლაპარაკი.

—მე არ შემიძლიან ვერწმუნო იმას, რაც არ მესმის, უთხრა ერთ-ხელ დებარომ დეკანოზსა, როდესაც ჩვენ სამნი მინდორში დავდი-ოდით.

—დეკანოზი დაიხარა, მოგლიჯა იმან ერთი ოდოში პურისა და რა აჩვენა დებაროს, უთხრა: ამის ერთს მარცვალს მიწაში ვაგდებთ, იქ ის ლპება, შემდეგ ამოდის პატარა მცენარი, ის იზრდება, ისხამს

ორმოც სამოცს მარცვალთ, ოქროვანდება მზის ქვეშ და შემდეგ ჩუენ გვაცსოვრებს. ახლა მითხარით, გესმის ამ მარცვლის ამოსვლის საი-დუმლოება? ან იმისი დაბადება მიწაში?—ეს არის საიდუმლო ღჳთისა, რომელსაც ვერა ვხედამთ, მაგრამ უიმისოთვი ვერაფერს ვერ ავხსნით. შენ შენი ჩასახვა გაგიგია, ან შენს მშობლებსა ჰსცოდნიათ?... უქათ-მოთ კვერცხი არ იქნება, უკვერცხოთ ქათამი; მაშასადამე ერთი მეო-რესაგან არის. ვინ გააჩინა, ან რომელი გაჩნდა პირველად?... თუ რომ ეგ ბუნების საქმე არის და არა ღჳთისა, რატომ ესლაც არ მოქმედებს ის ბუნება? მე ვჰსჯი, მე ვფიქრობ, მაშასადამე მე ვარ, მე ვარსებობ! თუ მე ვარ, მაშასადამე ღმერთიც არის!—

მრავალმა ამ გვარმა საუბარმა მოჰსდრიკეს გული დებაროსი. ხშირად მოდიოდა ხოლმე ის ეკკლესიაში, თუმცა არა ლოცულობდა, მაგრამ რიგიანათ იდგა. ეს ყოველი ამტკიცებდა, რომ ის მოიქცეო-და ჭეშმარიტს გზაზედ. მაშინ მე იმედი მეძლეოდა, რომ ჩემზედ ჯუარს დაიწერდა.—

განვლო ჩუენმა აქ მყოფობამ წელიწად ნახევარი. პარიჟიდგან ახა-ნუგეშო ამბავი არა მოგვდიოდარა. დებაროს ვატყობდი, რომ თან და თან ცივდებოდა ჩემთან. ამ დროს ქალაქში გაჩნდა რაღაც სნეულება, რომელიც მუსრს ადენდა ხალხსა! დებაროც კინაღამ შეიქნა იმისი მსხვერპლი. ისე ავათ გახდა, რომ აღარ გვეგონა იმისი მორჩენა. დეკანოზი და ექიმი განუშორებლივ ჩუენსა იყვნენ. ღმერთმა გადმო-გვხედა, სიყმაწვილის ძალამ დაამარცხა სნეულება. საშიშროება გათავდა; ავათმყოფს ჩუენკენა ჰქონდა პირი. ამ დროს უეცრად მოვიდნენ ბე-სომპიერი და თეოფილი. დებაროს სისარულისაგან თუ ღელვისაგან გული შეუწუხდა. ჩემს წივილ კივილზედ ექიმი მოგვეშველა დასამშვი-დებლად: სნეულება აღარ არის საშიში, მარწმუნებდა ის.

—გესმისთ? უთხრა თეოფილმა მოძღვარს: ესლა ჩუენთჳს საჭი-როღა არის მხოლოდ სნეულის მკურნალი... სულისათჳს საჭირო აღარ არის თქუენი მსახურება... ძალიან მოგიქ[illegible]ია ჩემი მეგობარი! კიდევ კარგი რომ დროზედ მოვასწარი... მშჳდობით ბძანდებოდე... ჩუენ ღჳდლები არ გვიყვარს, მე ეჭვიცა მაქუს რომ თქუენ ხშირს ვიზიტებს უფრო ავათ გაუხდიათ ჩემი მეგობარი.—

—შენ საიდგან მოგდის ეგ გამბედაობა? შეუტიე მე თეოფილსა. ის გაოცდა ჩემს საინჩხლეზედ და წაიბუტბუტა:

—მგონია, თქვენ უნდა იცოდეთ ჩვენი ჯაზრი ამ გვარებში.

—მე ვიცი, რომ შენ ბოროტი და ამისი დამღუპავი ხარ!.. დება-რო გარდასწყვეტს ვინ უნდა გავიდეს ამ სახლიდგან: მე თუ შენ! მანამდისინ დარჩით აქა, ღირსო მამაო, მოუმატე მე. რა მიუბრუნდი მოძღვარს: წმიდამან არ უნდა დაუთმოს ალაგი ეშმაკსა.—

—ჩემო შვილო! მითხრა მოძღვარმა: შენ მეტად გულფიცხლად მე-ხარჩლები მე: ჩვენ ქრისტეს მსახურნი, დაჩვეულნი ვართ მოვითმი-ნოთ მაგ გვარი წყენა, მაგრამ მე მაინც ბოლომდის აღვასრულებ ჩემის წოდების ვალდებულებასა. ის მივიდა ავათმყოფთან, აიღო მარ-ჯვენა ხელი და რა აკურთხა, წარმოსთქვა იმან ღვთიური სიტყვები, რომელნიც მიუტევებენ კაცსა იმის შეცოდებასა. შემდეგ მიუბრუნდა ის თეოფილსა და უთხრა:

—შვილო ჩემო, რაც რამ სადმრთოა ცაში და ქვეყანაში გაფიცებ არ ეცადო მეორეთ დაღუპო ეს სული! ეს უკვე დაუბრუნდა ღმერთსა, და ნუღარ ეცდები მიაბრუნო ტყუილს გზაზედ.

—ხა! ხა! ხა! რასაკვირველია! შეგიძლიანთ მენდოთ! უთხრა თეო-ფილმა ხარხარით.

დეკანოზმა მწუხარებით დაიკრიფა გულზედ ხელები და შეხედა ცა-სა. მე მიველ, დავუჩოქე და ვთხოვე მაკურთხოს. იმან აღასრულა. სა-ცოდაო შვილო ჩემო! მე კიდევ მოვალ ხვალა; ესთქვა და გავიდა.—

მეორეს დღეს მოვიდა ის; მაგრამ ჩვენი სახლის კარი იმისთჳს უკვე დაიკეტა, თეოფილი მომერია მე და ურწმუნოების მსხვერპლი იმან თავისკენ მიიქცია.

—მარიონ, მითხრა დებარომა: შენ მიაყენე შეურაცხება ჩემს ერთგულს და [illegible] მეგობარსა; შენ კარგათ იცოდი, რომ მაგ გვარი ქცე-ვა შენი მე მაწყინდა.—მე თუ ავათმყოფობაში გამოვაცხადე რამ ღვ-თის მიმა, ახლა ან გწუხვარ და კიდეც მრცხვენიან... მე ამბავი მომი-ტანეს, რომ მამა ჩემი ავათ არის და სასიკვდილოთ ემზადება; ერთს ჩემს დანახვას შეუძლიან დაუბრუნოს იმას სიცოცხლე. ექიმი მარწმუ-ნებს, რომ სამის დღის შემდეგ შემიძლიან მგზავრობა. მე წავალ პარიჟში ნელნელა; მაგრამ ჩემო საყვარელო, შენ ვერ წაგიყვან... უნდა ისე მოვახერხოთ, რომ მითომ მე და შენ გავიყარენით, თო-რემ მამაჩემი თავის ქონებას მე აღარ დამიგდებს. შენც აქ ველარ დარჩები, ამიტომ რომ ჩვენი სადგომელი გამოცხადდება და გაწვრ-

ცელდება. დღესვე წასვალ შენ იტალიაში, და მომიცდი მე ფლორენციაში, სადაც მე გნახამ, თუ შევიძლებ და თავს დავასწევ მამა ჩემსა...ბეხომბიერი გაგაცილებს ცოტა ოდენ გზასა.

მე შევკრთი და გავოცდი ამის გაგონებაზედ. მე სიტყვა ველარა მქონდა გამოსათქმელად, მრისხანებით გული მიდუღდა, მხოლოდ ცრემლით ვეწინააღმდეგე ამ საზიზღარს და მოულოდნებელს ბედის ცვლილებას.

—მე არ მინდა ბეხომბიერის გამოცილება! შევჰყვირე მე: ჩემს თვალში ეგეც ისეთი საზიზღარია, როგორც თეოფილი.

—როგორ, მარიონ? მკითხა დებაროშ..

—ისე, რომ ბეხომბიერმა ნახა, როგორც თქვენმა პატივცემულმა მეგობარმა აწყენინა სამღრთო კაცსა და ერთი სიტყვა არ გაჰკრა თეოფილს იმის გასამართლებლად!

—შეიძლება ვიფიქრო, რომ შენ თხოულობ ჩვენის კავშირის გაწყვეტას, მითხრა ცივად დებაროშ.

მე ვპალად ამოუშვი ტირილი. ამის მეტი ნუგეში არა მქონდარა.

დებაროშ გამომიცხადა, რომ ჩვენი მოსამსახურენი მე გამომყვებიან. ის მეტად ცივად გამომესალმა. მერე მე შევედი ჩემს ოთახში თერეზათი, მომზადებულვიყავ სამგზავროთ. ბეხომბიერი ცდილობდა მარტო ვენახე მე, მაგრამ მე ახლოს არ მოუშვი ის ჩემთან და არც გამოვესალმე. შუადღისას მე ჩავჯექ კარეტაში და ჩავისვი თერეზა. იმისი ქმარი გრასენიც ეკიპაჟის უკან მოიკუნტა თულუფში გახვეული. მკითხველმა რასაკვირველია იცის, რომ მე არა მაქვს იმ გვარი ხასიათი, რომ დიდხანს მივჰყოლოდი მწუხარებასა. ჩემი თერეზაც ისევ ისე მხიარული და ქარიანი იყო. იმის ყბედობა არა მწყინდებოდა და მართობდა მგზავრობის უსიამოვნებაში. რომელ ქალაქშიაც კი ჩამოვხტებოდით ხოლმე, უთუოთ ორი სამი საყვარელნი გამოიჩნდებოდნენ, რომელნიც არა ზოგავდნენ მხურვალის სიყვარულის განცხადებას თავიანთ მოწერილს წიგნებში. მგონია ამიტომ ჰზიდავდნენ ჩემთან ამ გვარს კადნიერებასა, რადგანაც მხედავდნენ მარტო მოგზაურს, მხოლოდ ერთი გოგო ბიჭის სინაზრად.—მე ყოველ მოწერილ წიგნებს ერთს პატარა ყუთში ვაგროვებდი; ზოგს არცკი გახნილი და ისე დაბეჭდილები მინდა მეჩვენებინა დებაროშისთვის და მეცნობებინა რაოდენი სათნოებიანი და ერთგული ვიყავ მე იმისი.—ერთს დღეს ეკიპაჟი გამიტყდა და იმის გასაკეთებლად ჩამოვხდი პატა-

რა ცისიან ქალაქში, რომელსაც ჰქვიან ყი. აქ მნახა ერთმა ლამაზის სახის ყმაწვილმა კაცმა, პროკურორმა, გვარად ლებრენი.—ამან შემამფიცა, რომ მზათ არის დღესვე ჯჳარი დაიწეროს ჩემზედ.—მე სიცილით უთხარ, რომ თანახმა ვარ იმის თხოვნაზედ, მხოლოდ მოვიცდი, რომ სამოცი წლის გავსდე მეთქი.—იმანაც შემომფიცა, რომ მოვიცდიო.—მაშინ დავრწმუნდი, რომ იმას უთუოთ ტვინი ჰსტკიოდა.

თერეზამ ერთხელ მითხრა, რომ ყოველ დღე შორი ახლო ერთი კარეტა მოგვდევს ჩჳენსაო; მართლაც იმან დამანახვა შორს მომავალი სამგზავრო კარეტა, მაგრამ რით დამტკიცებინა, რომ ეს კარეტა იყო ისევ ის, რომელიც გუშინ ვნახეთ.—

დებარომ, რა იანგარიშა დრო თავის მორჩენისა და პარიჟამდინ მისვლისა, მითხრა რომ ჩჳენის გაყრის შემდეგ ერთს თვეზედ მიიღებ ჩემს წიგნსა ანუ აოსტში ანუ ქალაქ ჟენევაშიაო.—მე მივედი ამ ქალაქში ორს მარტსა და ანგარიშით ერთი კვირა კიდევ აკლდა, ვიდრე დებაროს წიგნს მივიღებდი. მე გადავწყვიტე, ეს ერთი კვირა აქ შემეცადნა და შემესვენა. თერეზას გავგზავნე სახლის დასაჭერად და იმას ემოვნა პატარა სახლი ტბის ნაპირს. აქედგან მე ვჰსტკბებოდი სასიამოვნოთ მშვენიერის ადგილ მდებარეობისა და ალპიის მთის სანახაობით, ერთს საღამოზედ სახლის ფანჯარას გავაღე, ჩანგს ვუკრავდი და ვმღეროდი. უეცრად შემომესმა წყლის შრიალი და მაშინვე ვიღასიც ხელმა დასდო ფანჯარაზედ დაბეჭდილი წიგნი. მე შევამჩნიე სიბნელეში, რომ ეს იყო მაღალი კაცი მეთევზის ტანისამოსში. მაგრამ მეტად კეთილშობილურად დამიკრა იმან თავი და მსწრაფლად გაასცურა ისევ თავისი ლოდკა, რომელშიაც იჯდა.—ეს წერილიც მიუმატე იმათ, რომელნიც ეყარნენ ხელ უხლებელნი ჩემს ყუთში.—

ჩემის მოსვლის დროს ქალაქს ჟენევაში, აქ დიდი შიში იყო ერთის განთქმულის ავაზაკისაგან, რომელიც არც ერთს მოგზაურს თურმე არ უშვებდა გაუცარცვავსა; მაგრამ ერთის კვირის შემდეგ თქვეს რომ, მართებლობა ჰსდევნის იმასა და შორს გადეხვეწაო. ამ ხმებმა გამაბედვინეს ჟენევიდგან გასვლა, ამიტომ უფრო, რომ აქ დებაროს წიგნი არ მომივიდა. დღე იყო ცივი და ქარიანი; თერეზას ტკბილად ეძინა ეკიპაჟში; მე ჩემს გასართობლად მოვინდომე წავეკითხა იმ წერილებისა, რომელნიც ყუთში მქონდა. ჩქარა ბედზედ ერთი წიგნი ამოვიღე, რომელიც დაბეჭდილი იყო უბრალოდ, მოქალაქის-

გან მიწერილივით; მაგრამ ნაწერი კი აღმოჩნდა წვრილის უცხო ჴე-ლით რამდენიმე სიტყჳა: «ნუ თუ თქჳენ გგონიათ, ჩემო მშვენიერო, რომ დებაროს ისევ უყჳარხარ.»—ამის მეტი არა ეწერა რა.

გადავქმე ყუთი და კიდევ ვნახე იმ გვარივე ბეჭდით დაბეჭდილი წიგნი. ესეც იმ გვარათვე მოკლე იყო. «არა, ჩემო საყჳარელო, იმას აღარ უყვარხარ, და მე ჩქარა გეტყვი რისთჳსაც.» მე დავუწყე მესამე წიგნსაც ძებნა, მაგრამ აღარ იყო არც ერთი იმ გვარის ბეჭდით. მე არა მესმოდარა ვისგან იყო ეს მოწერილები. უეცრად მომაგონდა თერეზას ნათქვამი ეკიპაჟი, რომელიც ჩჳენ მოგვდევდა სოლმე მითომ.—მე მაშინვე ჩამოვსწიე მინა ჩემის ეკიპაჟისა, გავყავ თავი და შევხედე უკან გზასა.—მართლაც შორს კიდევ მოჩანდა ეკიპაჟი, და მე მეჩვენა, რომ ის ისევ ის არის, რომელიც ადრე ვნახე. მაშასადამე ამ უცნობ მგზავრსაც შეუძლია ჟენევაში იმდენივე, რაოდენი ხანიც მე იქ ვიყავ. მაშასადამე იმასა ჰსცოდნია დღეცა და საათიც, საიდგან როდის გამოვდივარ? ეს გამოცანას ემგზავსებოდა. მე განვიზრახე შევეცადო იქამდინ, მანამ საიდუმლო ეკიპაჟი ჩჳენ გაგვასწრობდა და გვაჩჳენებდა შიგ მჯდომს უფალსა. ამის გავლის ლოდინში მე გავხსენი კიდევ რამდენიმე წიგნი; ბევრი იმათგანი სასაცილო იყო. ერთი უფალი მწერდა, რომ, იმასა აქჳს ჩაბარებული უპოვნო საყჳარელი კნიაზ მონაკოსა. «მე უკვე მოვიარე მთელი იტალია, პრუსია და ნაწილი ფრანციისაო: მაგრამ არსად არ შემხვედრია ეგრეთი მშჳენიერი თვალები, როგორიც შენიო. თუ რომ გსურს დამიდოთ რამ პირობა, მე მზათ გახლავარ ყველაფერში გეთანხმოვო.» უცნობი მწერდა, რომ ის დამიწყებს ლოდინს ჟენევაში.—მე გულით გამეცინა და ვიფიქრე, რომ უთუოთ ეს მოგვდევდა საიდუმლოს ეკიპაჟით.—კიდევ დავუწყე კითხვა სხჳა წერილებსა. უეცრად, რა თვალი გადავავლე ერთს წიგნსა, მე შევკივლე შიშით. თერეზას გამოეღვიძა.—ღმერთო! რა იყო? მკითხა იმან, რა მნახა რომ ფერი წამსვლოდა.

მე ღონე არა მქონდა მეპასუხნა; სიტყვები გამიყინდნენ ტუჩებზედ; მე მხოლოდ თითით უჩვენე, ვისი სახელიც ეწერა წიგნზედა.

—მარქ უნტერვალდი! შეჰყვირა იმანაც და თითონაც გაყვითლდა.

—ოჰ, ავაზაკების ბელადი, რომელზედაც ლაპარაკობდნენ ჟენევაში და რომლის შიშითაც კანკალებს მთელი შვეიცარია!... ჩჳენ დავიღუპენით... თერეზამ გამომართო წიგნი და კანკალით წაიკითხა:

«სვალ მე წამოვალ იმ გზაზედ, რომელზედაც გაივლის მშვენიე-რი მომღერალი ტბის ახლოს სახლისა, რომ წარუდგინო იმას ბარკი ჩემის პატივისცემისა და ჰსთხოვო ერთი მოწყალება, რომელსაც იმედი მაქჳს, მე უარს არ მეტყვის. მარქ უნტერვალდი.»

—მოწყალება! იმის მოწყალების თხოვნა ის იქნება, რომ ან და-გვხოცს ან რაც რამა გვაქჳს წაგვართმევს! ჰსთქჳა თერეზამა.

—სვალ, გესმის თერეზავ?... სვალ ნიშნამს, რომ მითომ დღეს. ეს გუშინდელი წიგნია.

—ღმერთო! უნდა უკანვე გავბრუნდეთ, ჰსთქჳა თერეზამა. იმან მაშინვე გაჰყო ფანჯრიდგან თავი და უთხრა იზვოშჩიკს: ქალბატონსი შეუძლოდ შეიქნა და გთხოვს უკანვე დაბრუნდე ჟენევაში... ათ ოქროს გპირდე-ბა თუ ერთს საათს მიგვიყვან.

მაგრამ იმ წამს, როდესაც იზვოშჩიკს უნდოდა მოებრუნებინა ცხე-ნები, ვიღასიმეც ხმამ უბძანა იმას «შედექი» და ოცი მეტი დამბაჩა და-უმიზნეს იმას.—ამ დროს ჩუენ ვიყავით ვიწროს ხეობაში. ხშირი ფიჭვის ხეები აბნელებდნენ ორივეს მხრით გზასა, და კლდიდგან ჩხრი-ალით ჩადიოდა ღრმას ხევში წყალი, რომლის ხმაც აყრუებდა ჩუენს კივილსა.

ცხენოსანი მაღალის ტანისა, საუცხოვოს შავის ცხენით, მოახლო-ვდა ჩემის კარეტის კარებსა, საყვარლად დამიკრა თავი. მე მაშინვე ვიცან იმაში ტყუილი მეთევზე, რომელმაც წიგნი გადმოდო ფანჯა-რაში ტბიდგან. მაგრამ ეხლა ის იყო ჩაცმული, თითქო საბალოთ მომზადებულაო. ეს იყო თჳთ ავაზაკების ბელადი უნტერვალდი. ამან ანიშნა და ორი ავაზაკი მოვიდნენ და გააღეს ეკიპაჟის კარები. ბელა-დმა გაზდილობით გვთხოვა გადმოვიდეთ ეკიპაჟიდგან, ოთხმა კაცმა მოიტანა ტყავის ტახტრევანდი.

—ჰხედამთ, მითხრა იმან მე, როგორ დანიშნულს ვადაზედ გიახე-ლი თქუენს სანახავად. მე დიდად მადლობელი ვარ, რომ არ მაჩვე-ნეთ თქუენი უნდობლობა.—

—რა გინდა ჩუენგან, მოწყალეო ჴელმწიფევ? ვკითხე მე კანკა-ლით.

—მე გთხოვთ, მშუენიერო ქალებო, მხოლოდ პატივი მცეთ და გამიკეთოთ ვიზიტი ჩემს სამფლობელოში. რადგანაც თქუენი ეკიპა-ჟი ვერ ავიდოდა იმ გზაზედ, ამისათჳს მე მოგიმზადეთ ტრახტრე-

ვანდი.

—თქვენი თხოვნა ოცის დამნაჩით ყელში ისეთი დამამშვიდებელია, რომ ჩვენ არ შეგვიძლიან უარი გითხრათ.

—დამალეთ დამნაჩები! შეუტია ავაზაკებს ბელადმა, და ეცადენით ერთისილად ჩაიყვანოთ ამ ხევში ეს ქალები.

ამ დროს მოისმა შოლტის ჭახაჭუხი და ეკიპაჟის გრიალი, რომელიც თავ გაწირულივით მოაჭენებდა. ეს იყო ის საიდუმლო ეკიპაჟი და რაკი მოგვახლოვდა, მაშინვე შესდგა. შიგ მჯდომი კაცი ელდასავით გადმოხტა იქიდგან, იშიშვლა იმან ხმალი და შეუტია ავაზაკებს.

—ნუ გაჰყვები, მარიონ! ყვიროდა ის: შეუმაგრდი პატარა ხანს! ესლავ ამოვწყვეტ მე ამ ძაღლებს!...

ეს იყო ბესომპიერი. მე შიშით და განცვიფრებით შევკივლე.

—თქვენ იცნობთ ამ კაცსა? მკითხა უნტერვალდმა.

—ახ, უბედური! ვყვიროდი მე: მოჰკლავს მგონ... ერთი ოცში რას გააწყობს. უშველე! უშველე, თუ ღმერთი გწამს!... ეგ ჩემი ქმარია! მოსიო ფერუსაკი.

—გარე შემოერტყმენით მაგას! შეუყვირა მაღალის ხმით ბელადმა, იარაღი აჰყარეთ და არა ავნოთრა კია!

მაგრამ ბესომპიერი იქნევდა ხმალს, როგორც ცოფიანი ლომი. იმას სამი კაცი უკვე მიეწვინა: ბოლოს დიდის შრომით გააგდებინეს იმას ხელიდგან ხმალი.

—მეტად მაგარი ხელი გქონია! უთხრა იმას ბელადმა. შენთან გაცნობა ცოტა ძვირად მიღირს; ბედნიერი ხარ, რომ ამ ქალის ქმარი ყოფილხარ! მე საჩქაროთ თითი ტუჩებზედ მივიდე. ბესომპიერი მიხვდა ამ ნიშანს და უთხრა:

—შენ ისე თავაზით გვექცევი, როგორც არც ერთი შენი ხელობის კაცი არ მოგვექცეოდა. იმედი მაქვს, რომ დაგვინიშნავ ფასსა მე და ჩემის ცოლის დასახსნელად.—ერთი შენი კაცთაგანი გამოგვატანე ჟენევაში; იქ გიშოვნი დანიშნულს ფასსა და შენს კაცს დავაბრუნებთ მთელს და უვნებელს, გაძლევ პატიოსან სიტყვასა!

—ჩვენ მაგაზედ შემდეგ მოვილაპარაკებთ, უთხრა ბელადმა: ჯერ წავიდეთ! ეს მოსამსახურე თან წამოგვყვება, იმან მიიშვრა გრასენზედ ხელი. კარეტები ამოაფარეთ შავი კლდის ქვეშ, უბრძანა თავის კაცებს,

და თავში ესროლეთ ტყვია იმ იზვოშჩიკსა, რომელიც მოინდომებს გაქცევას. შემდეგ ამან ანიშნა; მე და თერეზა ჩავსხედით ტახტრევანდში, რომელიც აჭენეს ოთხმა ცხენმა და შეგვიყვანეს ბნელს ტყეში პატარა ბილიკზედ.—ესე ყოველი ისე ანაზდეულად მოხდა, რომ მე სწორედ სიზმარი მგონია. თერეზა ტიროდა. მე კი შიშით ცრემლი არ მომდიოდა, და გული მიწუხდებოდა: ასეთს ვიწროს გზაზედ მიგვატარეს, ასე ხევ ხევებზედ გადაგვიყვანეს, ერთს ჩვენს მტარებელს ფეხი რომ წასცურებოდა, ერთი მთელი ასო აღარ შეგვრჩებოდა. ბელადი და ბეხომშვერიც ცხენებით უკან მოგვდევდნენ. ერთის საათის სიარულის შემდეგ ბელადი მომიახლოვდა მე და მითხრა:

—რასაკვირველია, მომიტევებთ იმას, რომელიც გამოიარეთ ამ გზაზედ, მაგრამ შემიძლიან დაგარწმუნოთ, რომ ამის მეტი გზა არა აქვს ჩვენს ბინასა. აი კიდეც მივედით.—აბა რას იტყვით, მშვენიერნო სტუმრებო, განა მე ხევებზედ ტყუილად გხედგავარ?—

საკვირველი სასიამოვნო წარმოუდგა ჩვენს თვალებს. ჩვენ ვიმყოფებოდით გამოქვაბულს დიდს კლდეში, რომლის თლილი კედლები ჰგვანდნენ მარმარილოსას ბროლში არეულს. აქა იქ ანთებულის მაშხალებისაგან კედლები ბრწყინავდნენ როგორც ალმასი და ცის კამარა თითქოს ბროლისაგან იყო ჩამოსხმული. მე ჩამოვედი ტახტრევანდიდგან. უნტერვალდენმა მითავაზა მკლავი და შემიყვანა სიღრმეში ამ გამოქვაბულისა, სადაც იყო გაკეთებული მაღალი ტახტი, ინდოეთის სალიჩით მოფენილი; იქვე ხშილის მქლის სტოლზედ ეწყო შვეიცარიის ქალის ტანისამოსი და ჩემი გიტარა, რომელიც ბელადის ბრძანებით ამოეღოთ ჩემის ბარგიდგან და თან წამოეღოთ.

—მოწყალეო ხელმწიფავ! მითხრა მე ბელადმა, რა მომიწია მაღალი კრესლო ალის ხავერდით გადაკრული: პირველად ამ კრესლოზედ იჯდა ხოლმე ციდგან ჩამოსული ანგელოზი, მაგრამ ორი წელიწადია, რაც ცამგე მომაკლო და მომტაცა ჩემი საყვარელი ცოლი ამ მიუდგომელის სადგურიდგან, სადაც ვფარავდი იმას ქვეყნის თვალთაგან.—არეულობის დროს სარწმუნოებისა გამო გერმანიაში, მმართებლობამ, ანუ უკეთესად ვსთქვა, ჩემი საცოლოს მამამ მე შესწამა დანაშაულად, რომ მე რჯული მამაპაპისა არ გამოვიცვალე და გავბედე იმის ქალის შეყვარება: ეს მეტად საკმაო მიზეზი იყო, რომ წაერთმევინათ ჩემთვის ყოველი მამული და შეერიცხათ სახელმწიფოთ. მეც

მოვჰსტაცე ამ მოხუცე კაცს მშვენიერი ქალი, საუნჯე, რომელმაც მოინდომა გაეყოს უბედურება საწყალს გავარდნილს კაცს. მე დავდე აღთქმა, რომ დავუბრუნებ მეფური სიმდიდრე ჩემს ირინასა. მე გამცარცვა მმართებლობამ, მაშასადამე მომცა ნება სხვების გაცარცვისა. მაგრამ ოჰ! ოცნება ჩემი განქრა სიკვდილის შემობერვამ და მე აღარა მაქვს იმედი, ძალა, რომ დავუტევო ის ადგილი, სადაც ისე ბედნიერი ვიყავ, სადაც ყოველი განადგურებული იმისი ფეხი მაგონებს ჩემს ნეტარებას.... მე გუშინ ჩამოვედი ლოზანიიდგან ჟენევაში ტბითა, იმ ფიქრით, რომ იქ დამეგდო ხმა, მითომ მე დამეღუპნა ჯარი მმართებლობისა და გადავეხვეწა შორს... და წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როცა ტბის პირიდგან მე შემომესმა ტკბილი ხმა ირინასი და იმისივე სამწუხარო სიმღერა.—მე მოვახლოვდი შენს ფანჯარასა, და გაოცებით დავინახე ჩემი ირინა!... იმისი ტანი, იმისი ღვთიური სახე, იმისი ლაჟვარდი შავი თვალნი!... ახე მეგონა მეხი დამცეს მეთქი, ისე აღრეულებაში მოველ შენს დანახვაზედ. შენ მაშინვე მოეფარე ფანჯარას და მოხურე იგი.—

—ნუ თუ მართლა ეგრე მემსგავსებოდა მე ის საცოდავი? ვჰკითხე მე გაოცებით.

—ჰო, მითხრა იმან ამოხვრით. იმის შემდეგ მე ხშირად დავდიოდი ხოლმე ღოღვით შენის ფანჯრების ქვეშ, ხშირათ უგდებდი ხოლმე ყურსა შენს ხმას. შენ, ლექსებს, მაგრამ პირველი ლექსივი აღარ გიმღერია, რომელიც ქორეთ უმღეროდა ჩემს ირინასა.—მე განვიზრახე ახლოდგან მენახე თქვენ და გავბედე წიგნის მოწერა: რასაკვირველია, შეეძლო დავებეზღებინე, მაგრამ მგზავს ირინას ანგელოზს ვენდე, თითქოს დაჭეშმარიტებით ვიცოდი, რომ არ გამცემდი. მე გავიგე, რომ თქვენ ოჯის მოსამსახურით მოგზაურობდი. მე ყოველ გზაზედ გაცემი დავყავი—სადაც გაივლიდი, შემატყობინებდნენ. მაგრამ მე არ მეგონა, რომ ეგრე კეთილშობილურათ მენდობოდით და არ წამოიყვანდით ცნობისნებას; მე მომზადებული ვიყავ; მაშინ მე იმათ დავამარცხებდი და მოვიტაცებდი.

რასაკვირველია, მე არ გამოვაცხადე, რომ ჩემი მარტო წამოსვლა მოხდა მხოლოდ იმის წიგნის წაუკითხველობის წინათვე.

—რა მოწყალებასა მოხოვდით იმ წიგნში? ვჰკითხე მე.

ბელადმა მწუხარებით შემომხედა; წამწამზედ ცრემლმა იბრწყინა.

— თქუენ ხმა და სახე ირინასი გაქუსთ, მითხრა იმან: თუ რომ იმის ტანისამოსს ჩაიცვამთ და იმღერით იმ ლექს, რომელიც პირვე-ლად გამიგონეთ, თქუენ მაშინ ერთს წამს გამიცოცხლებდით ირი-ნასა, დამიბრუნებდით ანგელოზს ჩემის ოცნებისასა, მაშინ დამავალე-ბდით მსწრაფლ გამქრალით, მაგრამ დამმათრობელის ბედნიერებითა.

— აგისრულებ გულის წადილს, უთხარი მე ღიმილით.

მაშინ უნტერვალდენი გაშორდა ტახტიდგან და იმის ნიშნით ორმა კაცმა ჩამოუშო ორი დიდრონი ფარდა ჭერიდგან, ანუ, რომ მე და თერეზას დავრჩით ცალკე ოთახში, სადაც იმის შემწეობით ჩავიცვი ირინეს ტანისამოსი და ყოველი შემკულობა. სარკემ დამარწ-მუნა, რომ ამ ტანისამოსის ცვლილებამ არა წაართვა ჩემს სილა-მაზეს. მაშინ კვალად გაიღო ფარდები და უნტერვალდენმა დაი-ჩოქა, თითქოს ზეციდგან გამოეცხადა იმას ვინმე, და იმის კაცებმა შეჰყვირეს აღტაცებით. ჭიანი მართლად მქონდა დიდი მღელვარება პი-რველს ამ ღამის დედოფლობისას. მე ავიღე ჩანგი, ჩამოვჯექ კრეს-ლაზედ; მოვიხმარე ყოველი ღონე, რომ კარგათ მემღერნა მგოროგა-ხი ლექსი ბეჩავისა, რომელიც მგონივეიდის სადედნიეროთ, აღარცა მახსოვს. ლექსები თუმცა ისე კარგი არ იყო, მაგრამ მაინც ამან არ დაუშალა უნტერვალდის ეტირნა. როცა გავათავე, ის მომვარდა.

— ირინავ! შეჰყვირა იმან: ირინავ, მე ისევ გიპოვნე!... ეს შენა ხარ!... შენ დაუტევე ანგელოზები და მოსულხარ ჩემს სანუგე-შებლად უბედურებაში, ჩემს დასაბრუნებლად სანეტარო დღეებისა!.... ოო! დარჩი ჩემთან, ნუღარ განმშორდებით ერთმანერთს! რა მეუბ-ნებოდა ამეებს, ბეჩავი კვდებოდა თვით უგონო აღტაცებისა და მე-ხვეოდა რაცა შეეძლო.

— მოწყალეო ხელმწიფევ, უთხარი მე იმას ჩურჩულით: მე მგონია ცოტა ღრმათ შეხედისართ თქუენს ოცნებაში... თქუენ უნდა მოი-გონოთ ჩემი ქმრის აქ ყოფნა.

ბეჩავმა მოისვა შუბლზედ ხელი და თითქოს სიზმრიდგან გამოე-ღვიძაო.

— ეჰ მართალია... მომიტევე! მე გაგზიდი ბედნიერების სიმთვ-რალით... თქუენ მოსულხართ ჩემს პატიოსნებაზედ მონდობილი, და მეც ვეცდები არ ინანოთ.— იმან აიღო სტოლიდგან მშუენიერი ბე-ჭდის ყუთი და მთხოვა მივიღო სახსოვრად აქ ერთად შეხვედრისა. მე

ვერ გავბედე მიმეღო საჩუქარი იმ კაცისაგან, რომელიც გზებზედ ჰსცარცვავდა ყველასა. ის თითქოს მიხვდაო ჩემს ფიქრსა და მითხრა ვედრებით.

— გამომართვით ეს ნივთები, გევედრები თქვენ!... ესენი დღემდე ჩემს ეკუთვნოდა.,. ეს არის დანაშთენი ჩემის დიდის სიმდიდრისა, რომელიც მე მქონდა, ვიდრე სამშობლო გარემოებამ და სადასის უსამართლოებამ იძულებულ მყვეს დამეწყო ხელობა ავაზაკობისა.— აღარ შემიძლებოდა უარის თქმა, და გამოვართვი. ყუთში იქნებოდა ოთხი ათასის თუმნის ძვირფასი ქვები!

მოგვიტანეს ჩინებული სადილი; თითქოს ქომაგები ემსახურებოდნენ ამ კაცსაო, ისე ყოველი ანაზდად და ხუფთად მოდიოდა. ბესომბიერმა გამოიჩინა ჩვეულებრივი მხიარულება და ოხუნჯობა სადილზედ. მაგრამ ამ მოდასტაკემ მისერხა ოინი, რომელსაც ადრევე უნდა მიმხვდარიყავ მე. ამან საკვირვლად გარდამისადა იმ სიკეთისათვის, რომ მე თითქმის სიკვდილიდგან გადავარჩინე ავაზაკებსა. სადილს უკან ბელადმა რაღაც უჩურჩულა იმას ყურში, და მერე ხმა მაღლავ მე მითხრა:

— მშვენიერო ქალო! მე იმედი მაქვს, ისეთი კეთილი იქმნები, რომ ხვალამდის მოითმენთ თქვენს წასვლას....

— არა, არა, ეგ არ შეიძლება! უპასუხე მე.

— რატომ არ შეიძლება? ჰსთქვა დამშვიდებით ბესომბიერმა. აქ არის ერთი ოთახიცაა მაგარის კარებით, რომელსაც ჩვენ გვითმობს. ამასთანავე უცხო მიღება მასპინძლისა ვალათა ჰვდებს ჩვენსა არ უწინააღმდეგოთ ამის სურვილსა. ბესომბიერი ჩუმათ იცინოდა დამმარცხებითის სახით.

— აღარ გრჩებათ წინააღმდეგო მიზეზი თქვენა, მითხრა ბელადმა.

— უკაცრავად, უთხარი მე: ხვალ აოსტში უნდა მოვიდეს პარიჟის ფოსტა; მე იქ უნდა ჩქარა მივიდე, ამიტომ რომ ეს ფოსტა მომიტანს მე საჭირო ამბავებს, და ჩემმა ქმარმაც კარგათ იცის, როგორ საჭიროა ჩემთვის იმ ამბავების ჩქარა მიღება.—

— მაშ ის ხომ დარწმუნებით იცით, თუ რომ გამოგზავნი ლონისძიებას აქ მოუტანია თქვენი წერილები?

— განა ეგ შესაძლებელია?

—ადვილათ შესაძლებელია, მიპასუხა უნტერვალდმა და ამოიღო საათი. იმან ანიშნა ერთს თავის ისაულს, და რა აჩვენა საათი, უთხრა:

—უყურე. ეხლა შუა დღეა... ფრანცუზის კურიერი ჩქარა გამოივლის ამ ტყეში. წაიყვანე თან ხუთი მარდი კაცი და უბრძანე კურიერს მოგცეს ყველა წიგნები, რომელზედაც აწერია უფალს ფლერუსაგი... წადი! ამასთანავე. არა ავნოთ რა კურიერსა და რაც ეკუთვნოდეს საჩუქარი წიგნების მოსატანად, უხვად მიეცით... წადით და ჩქარა მოდით

მე ვაგები; ბესომპიერმა გაიმარჯვა.

მე წავავლე ბესომპიერს ხელი, გავიყვანე ტყისაკენ და უთხარი:

—ეგ სუმრობა თუმცა სასაცილოა, მაგრამ არ უნდა გააგრძელო. შენი წარსული ვაჟკაცობა არ გამართლებს ეხლანდელს უგვანო ქცევაში. მე ხომ ციხე არა ვარ, ამილო.

—მე არასოდეს არ მიფიქრნია, რომ შენ აუღებელი ციხე იყო, მიპასუხა იმან.

—ურცხვო! უთხარ, მე რა დავკარ თითებში მარიო.

იმან მაკოცა ამისათვის.

—მაშ გსურს დაარღვიო ჩვენი პირობა? მითხრა იმან: სიყვარულს ხომ შეესხა ფრთები და გაფრინდა.

—ჯერ ეგ საიდგანა სჩანს?

—უკაცრაოთ... შენ უნდა გზაზედ ორი წიგნი მიგეღო ფრთოსანი: როგორც მახსოვს, ერთში უნდა ეწერილიყო: «ნუ თუ შენა გგონია, რომ დებაროს კიდევ უყვარხარ?» და მეორეში ეწერებოდა: «იმას აღარ უყვარხარ, და მე ჩქარა გეტყვი რისთვისაც.»

—აა! ეს თქვენა ბრძანდებოდით იმ წიგნების მთხუზველი? კარგი, მაშ მითხარ რისთვის აღარ უყვარვარ.

—ნუთუ შენ ჰფიქრობ, მარიონ, რომ მართლად შეყვარებული კაცი ნებას მისცემდა თავის საყვარელსა მარტოკა ემგზავრნა სანგრძლივ, სადაც, კარგათ იცოდა, რომ უეჭველად გამოუჩნდებიან თაყვანის მცემლები?

—მაშ რა ექნა, თუკი განშორება აუცილებელი იყო? უთხარ მე.

—ეგ არის, რომ სრულებით არ იყო აუცილებელი, მარიონ. თქვენ პარიჟიდგან რათ წამოსვედით? განა იმიტომ, რომ შენ შენი ნათლია ეუმუქარებოდა მონასტერში შეწყობას და დებაროსაც გზა ბასტილიისაკენ ედო? არა?

—გჴსოვქჱსთ, ეგ იყო მიზეზი.

—მაშინ შენ ნათლიას სარჩულებით შეეძლო აესრულებინა თავისი მუქარები: ის მეგობარი იყო გერცოგინის დელფინისა, ერთი სიტყვა რომ ეთქო ამისათჳს, ესეც თავის ქმარს ეტყოდა, და თქჳენ ყაფაზაში მოგამწყვდევდნენ. მაგრამ ესლა შენი ნათლია მოაკლდა იმ ძალას: გერცოგმა ლუინმა ინება თავის წინაპარებთან წაბძანება.

—მართლა? მაშ საწყალი გერცოგინია დაქვრივდა?—

—ის თავის სიქვრივეზედ არა ჰსწუხს, მითხრა ბესომპიერმა: ამბობენ, რომ მითომ ადრეც გერცოგ დეშევრეზი პოულობდა წამალს იმის სანუგეშებლად და ესლა ჯერარიც დაიწერეს. ეს ჩუჱნთჳს არაფერია, საჭირო ეს არის ვიცოდეთ, რომ დელფინის ალაგი ესლა დაჭირა რიშელიემ; სოლო რიშელიეს ახსოვს სასიამოვნო მოგონება, რომლისაც ისრე უეცრად გამოუცხადდი შენ დიდ დედოფალს ბალის დროსა... რიშელიეს სჯერს თვითონ მოგცეს უთუოთ შენი იქ დავიწყებული მარაო. ერთის სიტყვით ის დაგიფარავს და დაგიცავს ყველა მტრებისაგან... მისვლი ესლა, სადამდინ მინდა მივიდე მე?

—მაგაყბის დებარომ ხომ არა იცოდარა? ვკითხე მე.

—არა, არა იცოდარა. მე თვითონ მოუტანე იმას წიგნი სორლენისაგან, რომელიც დაწვრილებით და ცხადად აცნობებდა ამბებს.

—მე რატომ აღარა მითხარი რა მაგაზედ?

—როცა ჩვენ მოვედით, დებარო სასიკვდილოთ გადადებული იყო, მაშინ განა შეიძლებოდა ამ გვარი ლაპარაკი დამეწყო შენთან?

—მეორეს დღეს?

—მეორეს დღეს შენ ახლო აღარ მიმიშვი; ამასთანვე დებარომა მთხოვა არა გითხრარა. თეოფილი შეუჩნდა იმას რომ შენზედ კელი აეღებინებინა, და კიდეც აასრულებინა.

მე გული ამემღვრა. ამ გვარი ქცევა დებაროსი მეჩუჱნა საზიზღრად. მე აღარ ვეჭვნეულებდი ბესომპიერის დარწმუნებაში, მე აღარა მქონდა ეჭვი, რომ წერილი, რომელსაც ველოდი დებაროსაგან, მაცნობებდა მე იმის გაყრას გარდაწყვეტით.—

ამ დროს იასაულმა მომართო ოქროთ ჯავერილის თეფშით ორი დაბეჭდილი წერილი. მე ავიღე ისინი გასხვალით. იასაული გაბრუნდა.

—გინდა აღრევე გითხრა, რაც იწერება მაგ წიგნებში, მარიო? მითხრა ბესომპიერმა.

—აბა მიბძანე, შენ ყველაფერს ადვილად ტყობულობ.—

—პირველად, ის, რომელიც პატარაა, სოფლენისაგან არის მოწერილი. ისა გწერს კეთილ განზრახვაზედ კარდინალისა.

—კარდინალისა?... ვინ კარდინალისა? ვჰკითხე მე განკვირვებით.

—ახ, ჩემო ლამაზო! შენ თითქოს ქვესკნელს გიცხოვრია, არა იცირა სასახლის ამბავები... ჰოო, რიშელიე კარდინალია. თვითონ მარია მედიჩიმ დიდმა დედოფალმა, რა ის დაბრუნდა ლუვრში, უშოვნა იმას კარდინალის ქუდი და ადგილი პირველის მინისტრისა... გესმის? დედა და შვილი სრულებით შერიგდნენ, აგრეთვე დიდი დედოფალი და რიშელიეც... ამას თავი დავანებოთ! იმას ვამბობდი, გარწმუნებ, რომ ეს პირველი წიგნი რიშელიეს სეკრეტარისაგან სოფლენისაგან არის. ისა გწერს, რომ შენი პარიჟში მისვლა აღარ არის შენთვის საშიშო. წაიკითხე, ჩემო საყვარელო, ნახავ!

მე გადავგლიჯე ბეჭედი და მსწრაფლად ჩავავლე თვალი წერილსა.

—პოლკოვნიკო, შენ სწორეთ კუდიანი ხარ.

—პოლკოვნიკო! განიმეორა ბასომპიერმა გაოცებით: განა არც ეს იცი, ლამაზო, რომ მე პოლკოვნიკი აღარა ვარ? ქალო, მარშალი, მარშალი ვარ! შენ მართლა ამ ქვეყანაში აღარა ყოფილხარ.—მე პატიოსნებით, ვაჟკაცობით შევიძინე მარშლობის კვერთხი—გასყონასში თჳთ მეფის თვალწინ.

მეორე წიგნი დებაროსი იყო. ის მატყობინებდა, რომ მამა მოკვდომია, მწუხარების გასართველად ის აპირებდა თეოფილით წასვლას ზაგრანიცას, მაგრამ სად? არას იწერებოდა. ის მავედრებდა ამიდისათჳს, რომელიც მივაყენე იმის მეგობარს თეოფილს, და მარწმუნებდა, რომ ეს იმისგან დაუვიწყარი იქნება. ერთის სიტყვით, მაგრძნობინებდა, რომ ჩვენში ერთად ცხოვრება აღარ შეიძლებაო, და ჩემის გულის დასამშვიდებლად მიგზავნიდა პირობის წერილს ექვსი ათასის თუმნისას, რომლისაგანაც უნდა ყოველ წლივ მიმეღო სამასი თუმანი სარგებელი, მხოლოდ ჩემი გაშორება იმასთან უნდა ყოფილიყო უცრემლოდ, კბილების უკრაჭუნოთ.—

—ნუ თუ დებაროსა ჰგონია, რომ ფულით შეუძლიან დაარბილოს თავისი უგვანო ქცევა? შეჰყვირე მე: მე ვიქნები მდაბალი დედაკაცი, თუ რომ მივიღო იმისაგან ეს საჩუქარი!

—კმარა, მარიონ, ნუ ყმაწვილობ! ნუ თუ უსვინდისობად გგონია

მიიღო საჩუქარი იმ კაცისაგან, რომელმაც პირველად ჩაუნერგო დრო-მა შენს გულშია? ყველა საქმეს მაგათ ნუ ჰხედავ. ამისთანა შემთხვეულებში სიცილი ყოველთჳს ჯობიან ცრემლს. — ის მოგცემს წელიწადში სამას თუმანს; ამითი მძლის ცხოვრება, მაგრამ შეიძლებაკი, ამასთანავე რასაკვირველია შენ ისეთი კეთილი იქნები, რომ რაკი პარიჟში მივალთ, ჩამოსდგები ძალიან კარგს სასლში, რომელიც ადრევე ვაყიდვინე ჩემს მოურავს შენთჳს, რასაკვირველია ჩემის ხარჯით.

— რავქნა მარშალო, უნდა დავიჯერო, უნდა მოთმინებით ავიტანო ჩემი უბედურება.

— განა უბედურებად მიგაჩნია, მარიონ, შეცვლა სოვეტნიკისა, ქარიანის საყვარლისა, ფრანციის მარშალზედ? შენ უკვე მომეცი ნება ქორწინებისა... წავიდეთ, მარიონ, ნუღარ აწყენინებ აქ დარჩენის უარის თქმით ავაზაკების ბელადს. გარწმუნებ ის მეტად კეთილშობილურად მოგექცა.

მე მივაწოდე მარშალს ჴელი, რომელიც სიტკბოებით მიიკრა იმან ტუჩებზედ, და ერთად მივედით გამოქვაბულს კლდეში.

ღამე იყო მშვენიერი. განცხრომითი ვახშამი გველოდა ჩვენ, და ჩვენის პატივისცემისათჳს უცხოდ გაანათლეს ჩვენი სადგური. —

მეორეს დღეს ჩვენ გამოვესალმენით უნტერვალდენს, რომელიც შეიქმნა ჩემში შეყვარებული, მაგრამ ეს სიყვარული იმან გამოიცხადა თექვსმეტის წლის შემდეგ, როდესაც ჩემა საკუთრებელმა ბედმა მეორეთ შემყარა ამ პატიოსან ავაზაკთან. — იქიდგან ჩვენ ისევ ჟენევაში დავბრუნდით. აქ დავრჩით კიდევ რამდენიმე დღე და დავცურაობდით ლოდკით ტბაში. მარშალმა ვეღარ გასძლო მოის ყოფნა პარიჟიდგან; მეც მოხარული ვიყავ, რომ მეჩქარულდა კადა ჩემის გაგდებისა. ჩვენ დავეშურენით პარიჟში წასვლას. —

მართლად უცხო სასლი ჰქონდა ბელომპიერის მოურავს ჩემთჳს. ეს იდგა ეზოს და ბაღს შუა; თუმცა ხმაურება ქუჩისა და ეკიპაჟებისა აქ არ მაწუხებდა, მაგრამ მეტად ახლოს იყო საიტალიო ბულვართან და სამეფო მეიდანთან. მარშალს თჳთონ მოეწყო ჩემი სასლი უკანასკნელის გემოვნების მებელით. ის მეტად ყურადღებიანი იყო ჩემზედ. უნდა სწორე გსთქვა, მე ის უფრო მეგობრულად მიყვარდა, ვიდრე სამიჯნუროდ, ამიტომ რომ ის უკვე ყმაწვილი აღარ იყო. იმის თმაში და წვერში გამორეულ იყვნენ ორგულნი ჭაღარა ბეწვები

რომელნიც აცხადებდნენ, რომ მარშალი ორმოც წელს გადასცილე-ბოდა; მაგრამ იმისი ოხუნჯობა და ჭკუა ისევ ჭაბუკისა იყო.

როდესაც ჩუჱნ მოვედით პარიჟში, იმან ცხადად დამისაზღვრა ერ-თი ერთმანეთის დამოკიდებულება.

—საყვარელო მარიონ, მითხრა იმან: მე ოცის წლით შენზედ უფროსი ვარ; მე ვთეთრდები, და თუ შენ აქამდისინ ჩემი ჭაღარა არ შეგიმცნევია, ჩემი ვალია დაგანახო. შენ კარგათ იცი, მარიონ, რომ მე არასოდეს განზრახულება არა მქონია ბორკილი შეგიყარო. შენს წლოვანებაში თავისუფლება მეტად ძვირფასი ნეტარებაა და მე ვერ მოგაკლებ მას. შეიძლება, რომ რომელსამე ქუჩაზედ შენის სეირნო-ბის დროს, შეგხვდეს შენი ძველი მეგობარი; მე დარწმუნებული ვარ, რომ იმას უარს არ ეტყვი ერთს კოცნასთან მისწოდო შერიგების ბზაცა. ესრეთ, შენ თავისუფალი ქალი ხარ. და ბედმა გიპოვნოს. თუ-მცა ბედიც ქალების ღმერთია, მაგრამ არა ჴსმულს ამას ორი მშვენი-ერი თვალი და სასიამოვნო ღიმილი. შენ გამოჴსცდი, როგორ ჩქარა დაგივაკუნოს ამან კარები; მაგრამ არ უნდა მიუშვა, რომ მტრებმა ხელახლად დაგიწყონ წვალება; შენთჳს საჭიროა მფარველობა რომელიე-ხი; ეცადე ჩქარა მოიპოვო ეს. საჭიროთ არცკი ვრაცხამ გითხრა, რომ შენ ამ მინისტრთან უნდა მოისმარო დიდი მშქლუცობაც და სიფრთხილეც. ეს მაგალითი გახსომდეს: ვისგანაც გინდა ყველაფერი მიიღო, იმას შენ არა უნდარა მისცე. მე შენს სანახავად მოვალ ხოლმე. მე ისე ხშირად, როგორც ნებას მომცემს ჩემი თანამდებობა და რიგი. ჩუჱნი საიდუმლო ჩუჱნ გვეკუთვნის: სხვას ნურავის მივანდობთ; იმის წახდენას არ ეცდებიან, ვისმიც ეჭვი არა აქვსთ. იყავ ლამაზი, სიმურ-ნით თვალები დაუყენე ყველას, იყავ ბედნიერი, და გახსომდეს მარიონ: იმ დღიდგან, როცა შენ მოინდომებ. რომ მიჯნური შეიცვალო მეგო-ბრად, ერთი მანიშნე და ცვლილება მაშინვე აღსრულდება. ამ დარიგების შემდეგ ბესოპიერმა მაკოცა ყელზედ და განჰქრა.

ჩემთჳს მოსამსახურეთ საკმაო იყო თერეზა თავისის ქმრით გრა-ხენით, რომელნიც თავ გადადებით ერთგულნი იყვნენ ჩემი; ამისგარდა, თერეზამ თავის მამა ბულმანიც გადმოიტყუა ჩემთან.—მე ვიყავ პარი-ჟში ერთი და თავისუფალი, ცოტაოდენის შეძლებით; ორი პირველი დღე მოვახმარე სახლის გამართვას. მესამეს დღეს მივსწერე რიშელი-ეს სეკრეტარს ხორლენსა, რომ იმას შეუძლიან მნახოს სამეფო მეი-

დანიშნულ. როგორც ტანთ ჩავიცვი და მოვემზადე სასეირნოთ, გრასხე-ნი მოვიდა კუჩრის ტანისამოსით და მითხრა: თქვენი კარეტა მზათ არისო.

— ხომ არ გაგიჟდი, გრასხენ, მე სად მაქვს კარეტა!

— უკაცრავად, ეხლა მოიტანეს, მითხრა იმან: ასეთი წყნარი და მშვენიერი ცხენები არის, რომ ბევრჯელ არ მინახამს ამათთანა. მე თუმცა მოურავიანთ ვარ თქვენს ხასიათში, მაგრამ შეუძლიან კუჩრო-ბაც გაგისწოროთ, თუ რომ ჯამაგირს მომიმატებთ. მართლაც, ბარათიც მომცეს თქვენთან; უთუოთ კარეტისავე ანგარიშის.

გამოვართვი ბარათი; მაშინვე ვიცან, რომ ის ბუხომბიერისაგან იყო. ისა მწყრალად თავის ჩვეულებრივის ხიმლუკლით: «გმადლობთ ვერცა (ღმერთი) ქვეყანა არ დაიღუპა.»

ამაზედ უკეთეს საჩუქარს ვერაფრის მოიგონებდა მართალი. მეტად მახარებდა იმის ყურადღებამ. სად ვიპოვნიდი ამაზედ კეთილს მეგობარს? ოცი წელიწადი მეტი ნავლებია არასის ნიშნამს კაცში, რომელსაც აქვს უცხო თავხედობა ქცევის და გულის.—

მე გრასხენს უბრძანე სამეფო შესვლისაკენ წასვლა. იქ დამხვდა ხოლ-დენი, რომელიც მაშინვე მიცნო, რადგან ივანესის კარეტის გავაცნე. ის მარდად ამოხტა კარეტაში და უბრძანა გრასხენს:

— ლუვრში წადი!

— რას ამბობ?

— ჰო, ჰო, ლუვრში! ერთი წამიც აღარ უნდა დავკარგოთ, მარიონ.

— რათა? განა მე კიდევ შიში მაქვს რისამე?

— რასაკვირველია, მითხრა ხოლდენმა: განა დაგავიწყდა, რომ და-ჭერას გიპირებდნენ ადრე? რა ფიქრით მოვიდა ქალა, რომ გრა-ფინას შეეცადა ბუდუარში წაართვა? უთუოთ გინდოდა შეეცნობენის იმისთვის, რომ ჩამოსულხარ პარიჟში?

— ახ, მართალია! რა მომივიდა!... სად მიგვყავარ ქალა?

— მინისტრ რიშელიეუსთან.

— ამ ტანისამოსით?

— მაგამაც დაუდარდებელი ხარ! ნუ გაწვალდებ. კარდინალს რიშელიეს კარგი გემოვნება აქვს, და რასაკვირველია ის ნუბას არ მიეჩვევა გააქ-რობს სამეფოლის ხიმხელეში იხეთი კარისკვლავი, როგორც შენა. ნუ გეშინიან. გრაფინია თვითონვე გამოვა დამნაშავედ.— ბებრებს

და მახინჯებს ნებას აქვსთ ბოროტნი იყვნენ... მართლა მარიონ, შენ მგონია მეტად არ ნაღვლობ შენს საქმროებზედ? ღმერთი გაგიჯავრდება, რაკი გრძნობ, რომ უფრო გადამეტებული ხარ სხვათაც. წყნარად

—მაშ შენს მეგობარს გგონია თავს მომაკვდინებდა? ტკბილად უფიქრია.—მიიღეთ მშობლის აცნობით ეს იმან.

—ვინ იცის ქალა ის სადა გდია! მითხრა ხორელენმა: ზოგი ჭკვი-ქრობენ, რომ ღონიერობითა, და ზოგნი ჭკუითა, რომ ამქვეყანაში წახდეს თავის მტრობის მეგობრითი თვალდაღებით.

—ოჰ, ღმერთო! უთხარ მე: იმ კაცს როგორ ჰყვარს ისა! საყვა-რელია...

—მეც მიკვირს, მიპასუხა ხორელენმა: იმ კაცის გულისათვის შენ როგორი გაგიჭირდა, იმ ლუკმის და ყლაპის გულისათვის, რომელიცა მე-ითრია გარყვნილებაში, ქალაქის თამაშობაში და ყოველს საზიზღარს საქმეში!... ღმერთმა თავის ნებით დაიჭიროს თვალები, რომ უფსკრუ-ლში ჩავარდეს... ოჰ, მარიონ, მე შენზედ ხშირად ვფიქრობდი.

—მართლა?

—მითომ გაიკვირე.—მგონია გახსოვდეს, რომ ყმაწვილობის სოფე-ლის ქალებს, რომელთანაც ჩვენ ერთად ვიზრდებოდით, საწყალად დამწყვა გულში.

—მგონია ეგ წყეული ხშირი არ არის? უთხარ მე ღიმილით.

—გინდეც რომ იცოდე, ვინ გამეყურება? მითხრა იმან ამოხვნეთით: ბედი არა მწყალობს; მე მიყვარხარ თქვენ და ხსნასავით მეგონეთ მხ-ლოდ შენთან თავისთან სიყვარულში!

—მე ეგ როგორღაც არ მესმის კარგათ.

—ამიტომ რომ არ გინდა. მე მართლად ვიყავ ღმერთის შუა კა-ცი....

—მერე?

—ქალა ვიქნები გარდაცვლილის რომელიმე შუა კაცი.

—ეგ უფრო არ მესმის! უთხარ მე.

—ნუ თუ შენა გგონია, მარიონ, რომ მე შენ წიგნს მოგწერდი და დაგარწმუნებდი რომელიმე მოგზაურობაში, თუ რომ იმას ძალა არ დაეტანებინა ჩემთვის? ეს საცოდავი იმავის ნების კაცია და კარგი მეხსიერებაცა აქვს: შენი მარტო მეტად ხშირად აგონებს სიტყვებს შენს თავზე. იმას დაუყვავებია, რომ ქმრიანს შევძლებ და ამის მაგ-

რონს ვიპოვნით.—მგონია თეოფილეს ეთქჳა ერთი სათოკე ბერისა-
თჳს შენი ლოტარინგიაში ყოფნა. ამ ბერს კარდინალი დიდათ ჰსწ-
ყალობს. უთუოთ შენი ისტორია ამ გზით გაუგია რიშელიეს. ერთ-
ხელ წიგნი მომაწერინა იმან დეპაროსთან ლოტარინგიაში, რომ შე-
უძლიან იმას უშიშრად ჩამოგიყვანოს შენ პარიჟში.. სოლო, რადგა-
ნაც იმან არ ჩამოგიყვანა და იტალიაში გაგისტუმრა, რიშელიე მე
მაბრალებდა, რომ წიგნი არ მიგიწერია დეპაროსთანაო. შემდეგ ამან-
ვე მითხრა სად უნდა მომეწერა შენთჳს მეორე წიგნი. ეს ჯერ არა-
ფერი, ჩემო მარიონ. გუშინ წინ მოველი ლუვრში და ვნახე კარდინა-
ლი გაცოფიანებულიყო. გრაფინია ეგრემონს მოეწერა შენზედ რაღა-
ებიც, და სხჳათა შორის ისიც, რომ იმისი შვეიცარი ზულმანი შენ-
თან გადაგიყვანია... კარდინალი განრისხებულიყო არათუ იმ ზუზრის
უბედობაზედ, არამედ ამიტომ, რომ მოსულხარ პარიჟში და ჯერაც
არ გეთხოვნა ნება იმის ნახვისა. რიშელიეს უნდოდა ჩაები სადღაც
მონასტერში; მაგრამ ამ დროს მომივიდა შენი ბარათი მეიდანზედ
ნახვისა, და მე დავამშვიდე კარდინალი. ესლა ის გელის შენა... ამ გა-
ცისა მეც მეშინიან. აი რისთჳს მიმყავხარ იმასთან ეხლა სასწრაფოთ.—
ერთი რამ საიდუმლო კიდევ მინდა გითხრა, მარიონ, იმედი მაქჳს
რომ არ გამცემ.—იცოდე, რომ მე მძაგს კარდინალი. ეს ამიტომა
მძულს, რომ ამას უნდა, ყველამ ამის წინ მუხლი მოიდრიკოს; ამისი
ყოველი საქმე პირმოთნეობა და მოტყუებაა; ეს ყოველთჳს ატყუებს
ღმერთსა და კაცსაც; ამას არა აქჳს არც გული, არც კეთილშობილო-
ბა, არც სინიდისი. ეს ყოველს საზიზღარს ცოდოს ჰფარავს თავის
წითლის ფარაჯის ქჳეშ!... გახსოვდეს, მარიონ, ესლა შენ თჳთონ
ტარტაროზთან მიდიხარ!... შენი დიდი უბედურება ამაში მდგომა-
რეობს, რომ შენ მიიზიდე იმისი ყურადღება.—მე მეშინიან, რომ
ამ ცოფიანს გველს კლანჭებში არ ჩაუვარდე.—გვიან იქნება თუ
ადრე ეს ჰფლეთამს ყველას, რაცკი ამას მიასლოვდება.—

—გულს მიხეთქამ, საყჳარელო სოროლენო, უთხარი მე: განა შენ
ჰფიქრობ, თომ კარდინალი სიყჳარულზედ დამიწყებს ლაპარაკსა?—

—მაგაზედ სრულებით დარწმუნებული ვარ. მითხრა იმან.

—მალიან კარგი. და კიდევაც ჰფიქრობ, რომ მე უთუოთ უპასუ-
ხებ იმის კეთილშობილურ გრძნობას?

—ემაგისი მე რა მოგახსენო.

—იცი რა მართლა? უთხარ მე: შენი კარდინალი საშიშია, მაგრამ ის მეტად მადიანი საჭმელია სიყუარულისათჳს!... შენ მეუბნები, რომ ის ვეფხვი არისო... ვეცადნეთ გავაბატკნოთ. თუ რომ იმას გულებში აქუს რამე ჩემს გამო, ძალიან მებრალება ისა. ნეტავიკი მხოლოდ ერთი შემოვიტყუიდო და მივიღო იმის მოვარჯელობა, დანაშთენისაკი მე ვიცი... თუმცა ქარიანი ხასიათისა ვარ, მაგრამ გარწმუნებ, გული და ხელი შენახული მაქუს მტკიცედ. მე არაფერი საზიზღრად ისე არ მიმაჩნდება, როგორც სამღუდელო მთავარი, რომელიც მიჯნურობას დამიწყებს.—

—ბარაქალდი, მარიონ, ბარაქალდი! გეჭიროს ეგ ხასიათი მტკიცედ! ნუ შეიბრალებ იმ ქოფაკს... შენ არ იცი რამდენი საყვარლები ჰყავს, სხუათა შორის თავისი ძმისწულიც... და კიდევაც სადამდინა ჰსწუდება იმისი პატივის მოყვარეობითი იმედი.

—როგორ არ ვიცი! განა დამავიწყდა შემთხვეულება დიდ დედოფალთან და იმისი სანჯალი?...

—ის კიდევ იმას არა ჰსჯერდება; დედოფალი დედოფალს მიჰხდევს, მაგრამ ერთიმანერის არ ემგზავსებიან.—

—როგორ? განა ის ჰბედამს... პატარა დედოფალზედაც...

—ჩუმათ... ის ყველასა ჰბედამს. მე მეშინიან, როცა ვფიქრობ ხოლმე ჩემგან დაწერილს ლექსებზედ იმის ბრძანებით, რომელთაცა უგზავნის ხოლმე აქეთ იქით, და თუ ვინიცობაა შენც მოგივიდეს რამ ამ გვარი ლექსი, შენ შეგიძლიან ყველანი დაიჯერო, რომ ის ჩემი დაწერილია, და არა რიშელიესი.

ჩუჳნ მივახლოვდით ლუვრსა. კარეტა შეჰსდგა; გრასენმა გაგვიღო კარი და გადმოვხდით. ხოლენმა მითხრა, სასეზედ ლუჩაქი ჩამოვიფარო, და შამიყვანა პატარას ბნელს ტალანში, რომელშიაც დაგვხვდებოდნენ ხოლმე ხან წვერიანი შვეიცარი და ხან ყარაულები. ხუთის მინუტის შემდეგ ხოლენი მიადგა ერთს ფიცრის კედელსა ჩუქურთმით გაკეთებულსა, რომელშიაც კარები არსადა ჰსჩანდა; მაგრამ იმან სადღაც პრუჟინას მოუჭირა ხელი და კედელი გაიხსნა; მე შემგზავნა იმ გამოხვრეტილში და თითონვე იქვე დარჩა; ეს კედელი ისევ მოეხურა და მე მარტო ვიდექ კარდინალ რიშელიეს პირის პირ. მინისტრი რაღაცას ჰსწერდა სტოლზედ, რომელზედაც არეულათ ეყარა გახსნილი წერილები, საქვეყნო კარტები, პლანები, გროვა ნაწერი ქაღალ-

დუმილს არღვევდა დაღრიალის ჯახმურის ზეწრებით. პირველად იმან ყური არ მიუგდო, თითქოს არცკი შეამჩნია ჩემი იქ მისვლა; ბოლოს შემამჩნია და ხმა ამოუღებლივ თავით მაჩვენა კრესლო ბუხართან. მე ჩამოვჯექ და ვცდილობდი გული გამემაგრებინა შიშისაგან, რომელმაც მე ამიტანა. თუმცა აპრილის თვე იყო და იბილოდა კიდეც, მაგრამ ბუხარში ცეცხლი ენთო.—მე მაშინვე ვიცან ის ოთახი, რომელშიაც ოდესმე დავუმალეხით ამასა და დიდ დედოფალს, დობარო, მე და ხორდები. ხასილებს ჰქონდა თითქოს მაგი ახალი გაკრული. აქა იქ დიდრონი გაწყობილები წიგნებისთვის, სქელი მტოვის ფარჩის ფარდები. ხიტილის პირ და პირ ეკიდა მეცამეტე ლუდოვიკის დიდი პორტრეტი, ცხენზედ მჯდომი, თავ იარაღით. ცხენს უკან იდგა პაჟი, მე-ლია დიდის ქუდით, რომელზედაც ფრიალებდნენ თეთრი ბუმბულები, როცა ჩემი თვალი შეხვდა სიბნელეებს, მე სხვა პორტრეტებიც ვნახე, რომლებიც არ იყვნენ შესაფერნი სასულიერო კაცისათვის. მაგრამ მე ამით უფრო გავკვირდი. როდესაც ვნახე მეორე მხარეს ბუხრის ყუხო გადათ საყვარლისა, სადაც ლამაზი თეთრი კატა ძუძუს აწოვებდა კნუტებს.—უეცრად კარდინალმა წერას თავი დაანება, და მკითხა მკაცრად.

—შენ მართლა დელორმი გეწოდება?

—დიახ.

—რამდენი წლისა ხარ?

—ოც და ორისა.

—ჰმ! შენ მეტად ლამაზი ხარ, შენი სულის დახსნისათვის.

რიშელიემ მოიწია თავისი კრესლო ბუხართან, შესწყო ორიოდე შეში ბუხარში, აიღო მაშა და დაფიქრებულმა დაუწყო ცეცხლს ქექა.

მე მქონდა დრო იმის გასინჯვისა. იმის სახეს ეტყო რაღაც ბეჭედი სასტიკობისა, თუმცა მოწყალებისაგი სახისა უჩივლ არ იყო. ცხვირი ჰქონდა წვეტიანი, თვალები დიდრონი და მკვირცხლი, ტუჩები წითელი და ცოტა წინ წამოშვერილი; მაღალი შუბლი და წვერი ხოლივით წოწოლა; ბრტყელი საყელო გადაფენილი ჰქონდა წითელს ფარაჯაზედ, რომლის ქვეშიდანაც ჩანდა ლენტი წმიდა სულის ორდენისა. იმან მიხედა მაშა და მითხრა ცოტა რბილის ხმით:

—შენ ძალიან გაგიჯავრების გრაფინია ეგრემონი.

—ის მეტად მკაცრად მოიქცეოდა მე, საწყალს გამოუცდელს, ახალგაზრდა ქალსა!... იმის ვითომ რჩევას უფრო დაუჯერებდი, ვიდრე სიმკაცრეს, მოვახსენე მე ამოსკვნით.—

—ისა მწყინს, რომ მეტად გიყვარდესთ იმის მეუღლისა.—

მართალია. მაგრამ სიყვარული ეკუთვნის ჩემის ხნის ქალსა. ის მაყვედრის, რომ მსურდა იმის მკლავზედ ჯვარის წერა. აქ რა დანაშაულობა არის? მე ისეთის გულმოდგინებით ჯვარის წერასა, რომ არ მოგეწყობოდი ვიყავ სხვაფრივ.

რომელიმე ყურადღებით ახედა თვალი და ხმა არ გამცა. მე მოთომ შევკრთი [illegible]თვალები მისნ დავილე.

—ჰმ! წაიბუტბუტა თავისთვის: დამინახა! ძალიან კარგა!...

მართალია, აბა მითამ, როგორ იყო ეს ისტორია? მკითხა კარდინალმა.

იმან ჩაყო ხელი საყურდის ყალთაში და ამოიყვანა ხუთი კენტი, რომლებიც დიდად მოელაპარაკნენ იმას ფურცლისა და ქაღალდის ქწევით.

მე მოვყევი ჩემს ამბავს თავიდგან, და როცა მივედი იქამდინ, სადაც დიდი დედოფალი მართლა მეცნო თავისის ხასიათით აქ ოთახში გვიანი, რომელიც ხმის ნაკლებ შემომეს.

—შეწყალე მითხარ, რა იფიქრე იმ საათზედ დედოფლისა? მკითხა იმან.—

—მე... მე საზოგადოდ უბედური ხასიათი მაქვს—ცოტას ვფიქრობ, და მეტადრე მაშინ... სიტყვებით არ მიფიქრია რა.

—ეგ ძალიან მოსწონებული მახასია, მითხრა რომელიმე დიმილით: გატყობ სულელი არა ხარ. იმან უფრო ახლოს მოიწია თავისი კრესლო ჩემკენ, და კარის კრუტები კარდამოიწყო კალთაში,

—დაუმატე ჩემს ხაყვარლებს, მითხრა იმან.

კარტი რა ნახა თავისი მუხლების კარდმოსახსლება, შემოდგომდა იგი და თვითონაც გადმოსცა ჩემს მუხლზედ. მე კარტები სიტყვებით არ მიყვარდნენ და იმათი აღურიცხი არ ვიცოდი.—ამ დროს რომელიღაც წამოდგა და განჯინის კუთხიდგან ვამოილო ჩემი მარაო.

—შენმა მოისროლამ მოშავტის მე, მითხრა კარდინალმა, რომ უნდა დავიბრუნო შენი საკუთრება. ვინცე ვინახამდი ამას ჩემთან, რომ ჩემის ხელითვე მომეცა.—ამასთან მომცა იმან მარაო და ხელი მომაჭირა; შემდეგ ისევ დაჯდა კრესლოზედ და დაუწყო აღერსი თავის

კნუტებს ჩემს მუხლებზედ. — რა ჩვილი ტყავი აქვსთ, რა ჩჩვილი ძვლები აქვსთ; რა მოქნილი და მარდობა ექვსთ სახსრებში!

მე ძალიან მძელს მდგომარეობაში ჩამაყენა. ამისმა კატების ალერსმა და კელების ცაცუნმა ჩემს მუხლებზედ. მე ვგრძნობდი, რომ იმ კატა-კნუტების ბრჭყალები ისე სამიში და მოსარიდავნი არ იყვნენ, როგორც იმ ჯეოვხვისა, რომელზედაც მითხრა სორლენმა. თუ გამექავრებინა იმ დროს კარდინალი, როდესაც ის სავერდის ტოტებს (სულებს) მისვამდა, მაშინ შეიძლებოდა, რომ იმას ეგრძნობინებინა როდისმე ჩემთჳს კლანჭებიცა. — ამ მდგომარეობიდგან გამოსვლისათჳს მე უკეთესი ვერა მოვიგონერა, როგორც შემეკივლა და გული შემღონებოდა.

— ახ, საწყალო შჳლო! შეჰყვირა კარდინალმა: უთუოთ ამათ დაგაკაწრეს... წადით თქვე უმგზავსებო! იმან მაშინვე კალათაში ჩაყარა კნუტები და დამიწყო კაბის ღილების ხსნა გონზედ მოსაყვანათ.

მე ის აღარ შევაწუხე; ნელა გავახილე თვალები და უთხარ: გმადლობთ, გაიარა... იმათ არა დამაფხაჭნესრა. მე ვერ გავიბედე მომეხსენებინა, რომ სიყმაწვილითვე მძულს კატები და კელს ვერ ვახლებ.

— მართლა? საკვირველია... დამშვიდდით. რიშელიემ მომცა შუშა სასუნებელის სპირტით, მე დაუწყე ტყუილად სუნვა.

— ესლა კარგათ გახლავარ, შემიძლიან განვაგრძელო ჩემი ისტორია.

— არა, არ მინდა. მე სულ ვიცი. თუ რომ გათქმევინე, ეგ იმიტომ, რომ გვქონოდა დრო ერთმანერთის დასლოვებისა... მადლობა ღმერთსა, ჩუენ დავასლოვდით.

— როგორ? თქუენმა ყოვლად უსამღუდელოესობამ იცის...

— ტყუილი ქორწილი სასახლის ეკკლესიაში?... ჰო, ჰო, ვიცი. სორლენმა მითხრა დაწვრილებით და მე ძალიან ვწუხვარ, რომ გრაფინიას კელი შეეხო ამ მშუენიერს ლოყის ატლასსა, ამ ვარდის ფურცელსა, რომელიც ჭეშმარიტად უკეთესი ნარნარების ღირსია, — ვიდრე სილისა.

კარდინალის თვალები გაჰმოსთქუამდნენ გამბედაობას, რომლისათჳსაც ჯერ ის ვერა ჰბედავდა ჩაეცმევინებინა სიტყვები.

— ახ, თქუენო ყოვლად უსამღუდელოესობავ, მოვახსენე მე, რა ვცდილობდი გავწითლებულიყავ და მიმეღო სახეზედ ჭმუნვარება. ნუ

ამაღლებთ თქვენის ქებით ამ ამაო ღირსებას. ბუნება გვაძლევს ქალებს ამ საჩუქარსა იმიტომ, რომ უფრო ადვილად დაგვღუპოს... მე მინდა მოვინანიო ჩემი დანაშაული და ადრინდელი კეკლუცობა სამაგალითო ქცევით. ამისათჳს გიახელი მე თქუჱნთან, იქნება გამხადოთ ღირსი თქუჱნის შემძლებლობის მფარველობისა და დაუმალოთ გრაფინიასა ჩემი მტრობა და დევნა.—თქუჱნს მადლსა ვფიცავ, რომ ჩემს სიცოცხლეში აღარავის მივცე მიზეზი ჩივილისა ჩემს ურიგო ქცევაზედ. ამ სიტყვებით მე დავიჩოქე კარდინალის წინ გულხელ დაკრეფილი, კურთხევის მისაღებათ.

რიშელიემ წარბები შეიჭმუხნა აღშფოთების სახით; შემდეგ თავის გამხმარის ჴელით ამოწია ნიკაპი და რა თვალებში ჩამამაცქერდა ახლოდგან მითხრა:

—იმედი მაქვს, რომ შენ ჩემთან კომედიას თამაშობ?

—ოო! როგორა ფიქრობთ მაგას...

—უთუოთ შენ დებარომ გასწავლა ეგ ღუთის შიში და მონანება? მე იმას კარგათ ვიცნობ: მეტად სულიერი კაცია... აბა, კარგი! მითხრა იმან, და მრისხანებით ჰკრა წიხლი კრესლოსა. იმან დაიწყო ბოლთის კვრა და ჩუმათ ტუტუნი. ბოლოს ის კიდევ მომახლოვდა, დამიჭირა ჴელები, მაგრა მომიჭირა და მრისხანებით მითხრა: «თუ რომ მატყუებ, ვაჲ შენი ბრალი! ის გაყვითლდა, თვალებში მოუვიდა რაღაც ბნელი ცეცხლი. მე შიშის ოფლმა დამასხა. იმის თვალები ეშმაკს გაუგებდა ეშმაკობას. მაგრა მე ვეღარ დავბრუნდებოდი იმ გზიდგან, რომელსაც დავადგე პირველს ლაპარაკში: უნდა ისევ ეშმაკობა გამეგრძელებინა, როგორც დავიწყე.

—თქუჱნ გატყუებთ? წავილუღლუღე მოთრთოლვარის ხმით: ვინ გაბედამს თქუჱნთან ერთს ტყუილ სიტყუჲს?—

—ვინ გაბედა შენი ქცეილი გზაზედ მოქცევა? დაიყვირა კარდინალმა. მე გამიოცდა ამისი ამ გვარი კითხუ̂ა. მე შევხედე იმას განკვირვებით, ის დამშვიდდა მრისხანებისაგან. იმანვე უნებურად გაიცინა თავის სიტყუ̂აზედ, რომელიც უეცრად წამოსცდა გაჯავრებაში.

—სხუა აზრს ნუ მიუწერ ჩემს სიტყვებს იმის მეტს, რომელიც მე თჳთონ მინდოდა გამომეთქვა, მითხრა იმან რა დაჯდა კვალად კრესლოზედ: მე თჳთონ მინდოდა მომეპოვებინა ქება შენის ჭკუმა-

რიტს გზაზედ მიქცევით... რადგანაც უკვე სხჳას დაუსწვრია, ჯავრით ველარ მოვითმინე... მომიტევე ჩემო შჳლო, ეს სიაჩხლე. იმედი მაქუს, რომ შენს განზრახვაში არ იმალება არც სიმტყუვნე არც მტბიერება. — ამოგირჩევია სულიერი მამა, რაც პარიჟში მოსვედი?

— ჯერ არა, უპასუხე, მე, თუმცა ვერ მივსვდი რა ლაპარაკის გზაზედ მიმიყვანდა ეს კითხუა. —

— ეგ უკეთესი! მითხრა კარდინალმა: მე თჳთონ ვკისრულობ გაგიხდე მოძღვრად და სინიდისის განსწმენდელად. — როგორც ყველაზედ უფროსსა, მე მეკუთვნის მზრუნველობა დავამყარო საქებურს განზრახვაზედ და მონასხებაზედ, რომელიც გულში ჩაგიდვია.

მე ვიგრძენ, რომ ბადეში გავები; აქედგან გამოძრომა შეუძლებელი იყო. მე გამიკვირდა, რა ოსტატობით არღვევდა ის სიძნელეს. ის იმედოვნებდა, რომ თუმცა გვიან, მაგრამ უეჭველად აისრულებს წადილს. ამ დღიდგან მივსვდი, რომ იმას დიდი ნაწილი ჰქონდა პოლიტიკურს საქმეებში; მაგრამ მე მაინც კიდევ ვცადე მასიდგან თავი დამეხსნია როგორმე.

— ახ! თქუენო ყოვლად უსამღვდელოესობავ, მოვახსენე მე: მე არ შემიძლიან გამოგიცხადოთ ჩემი მადლობა!... თქუენი მოწყალეობის მიღება ჩემში მამაღლებს მე ჩემს თვალშივე... მე მოვიპოვებ მხნეობას ვებრძოლო ამ ქუეყნის სიტკბოებას, ამიტომ რომ დღე დღეზედ შევიქმნა ღირსი თქუენის პატივისცემისა. — მაგრამ როგორ უნდა გავბედო, რომ თქუენ გაკისრებინოთ ჩემი სულიერი მამობა... თქუენი დრო მეტად ძვირფასი ნივთია.... მეფე და საფრანგეთი უფრო საჭიროებენ მოისმარონ თქუენი დრო.

— მე თჳთონ ვიცი ჩემი ვალდებულება, მითხრა კარდინალმა, და თუ რომ კიდევ ერთით მეტსა ვკისრულობ, იმის აღსრულებასაც შევიძლებ.

იმან კვალად დამიჭირა ხელები და ალერსით დაუწყო იმათ თამაშობა თავის ხელებში. — იცი რა, შჳლო ჩემო, განაგრძელა იმან: ჩემთჳს საჭიროა გულითადი სიყუარული, მე მტრებით სავსე ვარ... ჩემი სიცოცხლე მართლად შესაბრალისი იქნებოდა, თუ რომ ხან და ხან მწირველი ერთგულება და სიყუარული არ მიბრუნავდნენ ხოლმე სულსა. მე მინდა, რომ შენც შემიყუარო... ქრისტიანურის სიყუარულით, უბიწოს სიყუარულით, როგორც დას უყუარს ძმა... უარს ნუ

ჭკუით მარიონ; ამ ფასით შენ მოიპოვებ ჩემს მფარველობას და სიკეთეს.—თვეში ორჯელ აუცილებლივ მოხვალ ხოლმე ჩემთან... ეს ხომ ბევრი არ არის... შენ გამიხსნი შენს გულს, მე დაგინერგავ დამხსნელს რჩევასა, და ვილაპარაკებთ ერთად, როგორც ორნი კეთილნი მეგობარნი. დამშვიდებული იყავ. მე კარდინალი ვარ (ქათალიკოზი) და წმიდა წერილების ძალით შემიძლიან გითხრა, რა კიბემდინ შეიძლება გაგრძელდეს მეგობრობა კაცსა და ქალსა შორის ღუთის უწყენოდ.—ესრე, მარიონ, მე მომეტებება გპოვო შენ მშვენიერად და მივირთმევ შენში საოცარ ქმნილებას, რომელიც გამოსულა შემოქმედის ხელიდგან... მომენდე, მარიონ: ჩუენი მეგობრობა გვაძლევს ტკბილის ალერსის ნებას; სინიდისის უწინააღმდეგოთ მე შემიძლიან გაძლიო ეს ალერსი,—შენც იმ გვარათვე უნდა მიიღო. ცოდო არ არის შენს ხელზედ ხელის წასმა, ეგრეთის რბილისა, თეთრისა... აგრეთვე შემიძლიან შევეხო ტუჩებით შენს მშვენიერს შუბლსა, რომელიც ბრწყინავს ეგრეთის წმიდის ნათელით... შენ მხოლოდ მაძლევ დიურს კოცნას.—ამ ურცხვს კარდინალს მართლა არ შერცხვა კოცნა ჩემთვს!—უეცრად მე შევვივლე; კარდინალის კრესლას უკანამე დავინახე საშინელი მოჩვენება: გაყვითლებული სახე, მოტკლეპილი თავის ქალა, გრძელი წვერი, და დიდრონი გადმოვარდნილი თვალები, რომელნიც დამაცქერდნენ მე, როგორც გაშმაგებულნი.—მე წამოვხტი და დავადგი ფეხი კატის კუდსა, რომელმაც აუტეხა საშინელი ჩხავილი!

—რისთვის მოხველხარ მე ბრიყვო? შეუტია განრისხებულმა კარდინალმა, რა აავლო თავით ბოლომდინ თვალი ამ მოჩვენებასა.

მამა იოსებმა (ამ ბერის სახელია) უპასუხა მდაბლის თავის დაკვრით:

—გუშინ არ მიბძანეთ, თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ, რომ მაშინვე მოგახსენოთ ხოლმე, რაც რამ მოხდება ღირსი ყურადღებისა?

—მართალია, გიბრძანე; მაგრამ შენ მეტად ცუდათ ამოგირჩევია დრო; ამ ქალს არ უნახავს გაზეთები და შენმა დანახვამ ისე შეაშინა, რომ მაგის სიმწარე ჩემის კატის კუდს გამოაჩნდა.

—არ ვიცოდი, რომ სულის შვილი აქ გახდებოდა თქვენის კურთხევის მისაღებად, წაიბუტბუტა ბერმა.

—უნდა ყველა იცოდე, იმან ნახა, მარიონ, მე რომ გაკოცე?

მე ვიგრძენ როგორ ამენთო ლოყები ამ მოულოდნელს კითხვაზედ და თავდაღუნული უპასუხე: ნასა მეთქი.

— მაშ მე უნდა გითხრა შენ, მამაო იოსებ, რომ ეს ქალი ჩემი დეიდის შვილის შვილია; მე მახსოვს ამისი დაბადება... ჩუენს ერთმანეთის ალერსში არა არისრა დასაძრახისი... სირცხვილი იმისთჳს, ვინც ჩუენში ავს გაიფიქრებს რასმეს.

— ო! ღმერთმა მაშოროს! ჰსთქუა ბერმა, რომელსაც მე შევამჩნიე ტუჩებზედ მიუნდობელი ღიმილი.

— კმარა!... უთხრა კარდინალმა: ვნახოთ რა საჭირო საქმემ შემოგიყვანა შენ ჩემთან?

— კარდინალ გიზმა შემოჰკრა სილა გერცოღს გონზაგოს, საქვეყნოდ, სადაც ორმოც და ათი კაცი მეტი იყო. მოახსენა ბერმა.

— ოჰ, ეგ დიდი ამბავია! ჰსთქუა რიშელიემ: ჰსწორეთ იცი?

— მსახური გონზაგოსი აქ გახლავს, მოახსენა ბერმა: ის თავის ბატონს უახლებია თქუენთან სათხოვნელად, რომ თქუენმა ყოვლად მაღალ უსამღვდელოესობამ ინებოს შეამავლობა მეფესთან მოჰსცეს მას ბრძანება გარდუხადოს სამაგიერო თავის მტერს ხმლითა ამ აბიდისათჳს.— ამისათჳს გავბედე თქუენთან ამ დროს ხლება.

— დუელი! (ხმალში გათხოვა)! ეს არ შეიძლება: კარდინალებს არ შეუძლიანთ დუელში გასვლა.— რასაკვირველია გონზაგოს აქვს ნება მოჰსთხოვოს კმაყოფილება... მე ძალიან მსურს, რომ მაგ ლოტარინგელებმა ცხელ გოგრიანებმა, სულ ერთმანეთი ამოჟლიტონ.

— შემიძლიან მოგახსენო ჩემი ჰაზრი? ჰკითხა მოწიწებით ბერმა.

— ჰსთქვი!

— მე საღამოზედვე ჩავასხმევინებდი საპყრობილეში თავის ამშლელსა.

— რასაკვირველია... ეგ მეც ვიფიქრე.. ამის მეტი ღონისძიება არ არის, რომ დუელი მოუშალოთ; შემდეგ მე ვეცდები დავაჯერო გონზაგო, რომ იმან იკმაროს ეს კმაყოფილება... ოჰო, მამაო კარდინალო გიზო! მე შენ გაცნობებ რაც არის ბასტილია... შეუდგეთ ჩქარა ამ საქმესა.

რიშელიე გარდაჯდა სამწერლო სტოლზედ და მანიშნა მივსულიყავ იმასთან.

— ნახვამდის.. ჩქარას ნახვამდის, ძვირფასო მარიონ, მითხრა იმან ჩუმათ. ჩემის კამერდინერის ბურნეს ჴელით გამოგიგზავნი ას ოქროს.

ყოველთჳს, შენის აქ მოსვლის მეორეს დღეს მიიღებ ხოლმე ჩემგან ას ას ოქროს. შენ უნდა შენი სახლი დააყენო რიგიან მდგომარეობა-ში. პირი მოჭერილი გქონდეს! ნურავის ნუ ეტყვი, რა დამოკიდე-ბულება არის მე და შენში. მიიღე ხოლმე შენთან მთხზველები, სასა-ხლის ხალხი, ყური უგდე ჩემზედ რას ილაპარაკებენ... ხან და ხან კიდეც ეცადე გამოათქმევინო, და შემდეგ დაწვრილებით მაცნობე ხო-ლმე ყველა..

—თქუენო ყოვლად მაღალ უსამღუდელოესობავ, თქუენ იმ გვარ მოვალეობას მაძლევთ, რომელიც...

—გაჩუმდი, ჩემო საყუარელო! არასოდეს წინააღმდეგობა არ უნდა გამიწიო: მაშ ჩემს მტრებს ხომ ვერა ვსთხოვ იმ სამსახურს, რომე-ლსაც შენგან მოველი? წადი! დამჯერი იყავ... და გახსოვდეს კარგათ, რომ მე ვჭყლეტამ იმათ, ვინც ჩემს წინააღმდეგობას გულებში გაა-ტარებს.—

—ჰსწორეთ მოგახსენოთ, მე სრულებით არა მსურს გავერიო თქუენის საპოლიტიკურო საქმეებში, უთხარ მე.

—საქმე ისკი არ არის რაც შენა გსურს, ის არის, რაც ჩემთჳს სასარგებლოა. მოკლეთ გითხრა, უნდა აასრულო რასაც გეუბნები.

—დაგემორჩილები, უპასუხე მე შიშით.—კვლა შევამჩნიე კარდი-ნალის თვალებში რაღაც ბნელი ცეცხლი. იმის ხმაში იყო რაღაც სი-მკაცრე, სიმშრალე. ყოველი იმისი სიტყუა ცულივით აპობდა.

—მე უკეთესი, მითხრა იმან: მაკოცე და წადი!

მეორეთაც მაკოცა კარდინალმა შუბლში და უბძანა ბერსა:

—პრუყინს გამოჰსწიე კედელში და გასცილე ეს ქალი კიბემდინ. შემდეგ აქვე მოდი დავწეროთ ჩუმი ბრძანება გიზის დაჭერისა; მე მივართმევ მეფეს ჴელის მოსაწერად.—

ჩუენ გამოვედით იქიდგან, ბერი წინ გამომიძღვა, მე მინდოდა გან მეთავისუფლებინა ის შრომისაგან და უთხარი:

—მამაო, ნულარ შეჰსწუხდებით: მე თჳთონ ვიპოვნი გზასა.

—ჰმ! წაიბუტბუტა ბერმა: თუმცა თქუენ კარდინალის დეიდის შჳლის შჳლი ხართ, მაგრამ არა გცოდნიათ იმისი ხასიათი.

—როგორ?

—ვინც მხოლოდ ერთის ნაბიჯს გადაჰსცდება იმის ბრძანებიდგან, იმას ფეხს მოჰსჭრის.—

— განა ეგრე საშინელი კაცია?

— დიახ.

— ამბობენ, რომ სასახლეში არავის არ უყვართ კარდინალიო.

ბერი მობრუნდა ჩემკენ; შემომიბღვირა განძვინებულის თვალებით და პასუხი არ მომცა; ხოლო როცა კიბესთან მივედით, იმან კიდევ დამიჭყიტა თვალები და მითხრა: «ქალო, კარდინალი წმიდა კაცია და დიდი მინისტრი.» — ჰსთქვა და გაჰქრა.

მე ჩავჯექ კარეტაში და შინ წაველ.

იმ ხანს ჰყვანდა რიშელიეს ეს ბერი იოსები თავისთან, და ასეთი ძალა მოიპოვა იმან რიშელიეზედ, რომ ყოველი დიდი კაცი თრთოდა იმის შიშით. თუმცა კარდინალი სასახლეში დაჰსცინოდა ხოლმე ამას, მაგრამ ის ყოველთვის სარგებლობდა იმ ბერის რჩევით და ჭკუით, და ყოველ დიდრონ საქმეს იმას ჩააბარებდა ხოლმე. კარდინალი ამას არ ახლოვებდა მეფესთან იმ შიშით, რომ ოდესმე იმან არ გამოაგდებინოს ისა და არ წაართოს ადგილი. ბევრნიც ამტკიცებდნენ, რომ ამ ბერს უფრო დიდი პოლიტიკური ნიჭი აქვს კარდინალზედაო. ეს ჰაზრი თვითონ რიშელიემ დაამტკიცა, როდესაც ამ ბერის სიკვდილის დროს, იმან ჰსთქვა:

— მე მოვჰკალი ჩემს მარჯვენა ხელსაო! —

მე ჩემს სახლში დამხვდნენ ბესომპიერი და ხოლეინი, რომელთაც ბევრი იცინეს, რა უამბე ყოველი გარდასავალი ჩემს თავზედ კარდინალთან. რასაკვირველია არც ის დაუმალე ამათ, რომ რიშელიეს ჰგონია ფულით მომისყიდოს მე და თავისი მეთვალავი და ჯაშუში გამხადოს.

მე დავნიშნე კვირაში ორი დღე სტუმრების მისაღებათ — ოთხშაბათი და შაბათი. მე ვთხოვე ხოლეინსა, რომ ჩემი სახლის ძველნი და ახალი მცნობნი მომგვაროს ხოლმე ამ დღეებში სტუმრად. იმან ამისრულა თხოვნა. ვინც კი პარიჟში იმ დროს გამოჩენილი იპოვებოდა რითიმე: ჭკუით, მოსწავლობით, დიდის კაცობით, სილამაზით, ოხუნჯობით, ყოველთა ჰქონდათ ნება ჩემს სახლში სიარულისა. მე არა ვზოგავდი რიშელიეს ფულებსა. ჩემი ნათლია გრაფინია ნაღვლით სკდებოდა, რა ხედავდა, რომ იმისმა სტუმრებმა იმისაგან ხელი აიღეს და ჩემკენ გადმოვიდნენ; თვითონ მარკიზ ვილარსოც შემოჰსწყრა იმას და ჩემკენ გადმოვიდა, და მიწოდებდა თავის საყვარელს

ნათლულად. იმასა ჰყვანდა ერთი ვაჟი შვილი ოცის წლისა; მე ვჰსთხოვე ამის გაცნობაცა, მაგრამ ვილარსოს შეეშინდა — არ შემიყვაროს და არ მოიყვანსა; მაგრამ ბოლოს ამ ყმაწვილმა გაცმა შეიტრფიალისა სხვაგან ფრთები: ამან შეიყვარა ერთი ჩემი მეგობართაგანი ქალი ნინონა. ჩემი ვეჩერები ბრწყინავდნენ ჭკუით, ყმაწვილნი და მოხუცნი გაჯიბრებულივით ცდილობდნენ ეჯობინებინათ ერთმანერთისათვის მხიარულებით და ოხუნჯობით; ყოველი მათი სიტყვა ბრწყინავდა როგორც ელვა, და ისე მსწრაფლად ესროდნენ ერთმანეთს, როგორც ტყვიას. ამ სახლში ჰსწორეთ ჭკუის სიტყვა და ოხუნჯობის ქარიშხალი ტრიალებდა. ერთის სიტყვით, საქმე იქამდინ მივიდა, რომ გამოჩენილი მადამ რამბულიე შეშფოთდა, და შიშობდა, რომ იმისი გაქებული ლურჯი ოთახი არ დაბნელებულიყო ჩემის სასტუმროს ოთახით.—

თვრამეტი თვე ჩემის დაბრუნების შემდეგ პარიჟში, ჩემი სიცოცხლე იყო სასიამოვნო და პატივცემული. მე და ბასომპიერის კავშირი დავიწყებული იყო ბნელის საბურველით,—დასაშთენ თაყვანის მცემლებსაც მეტადრე უარს ვეუბნებოდი; ამისათვის ყველანი პატივცემულნი შეიქმნენ ჩემი.

პირობისამებრ, თვეში ორჯერ მივდიოდი ხოლმე რიშელიეს სანახავათ, მე მხნეობით ვიტანდი იმის ალერსს, წმინდასა და უმანკოსა, როგორც ის მარწმუნებდა. მაგრამ თუ რომ სან და სან მინისტრი გადასცდებოდა ხოლმე წრეს მამობის სიყვარულისას, ანუ ცდილობდა დავევიწყებინა, რომ ის იყო ჩემი სულიერი მამა, რომლისაგანაც მხოლოდ სასულიერო დარიგება უნდა მიმეღო. მაშინ ვაცხადებდი გაოცებას და მორცხობით თავს ჩავღუნავდი ხოლმე, ამითი კარდინალს ვაყენებდი იმ მდგომარეობაში, რომ ის უნდა ანუ დარჩენილიყო ისევ სასულიერო წრეში ანუ ურცხვად მოეხსნა მას პირმოთნეობის მასკა. ჯერ აქამდინ ვერა ჰბედავდა გამოეცხადებინა აშკარათ თავისი სიყვარული ჩემთვის.—იმ ჯაშუშობის თანამდებობას, რომელიც ჩამაბარა კარდინალმა, ვასრულებდი, ანუ ვაჯერებდი იმას, რომ მითომ ვასრულებ ერთგულათ. ამაში დიდ შემწეობას მაძლევდნენ მარშალი ბასომპიერი და სორლეინი, რომელნიც არწმუნებდნენ იმას, რომ მითომ მიღებულნი მყავანან ყოველთვის სახლში მხოლოდ კარდინალისტები, და მითომ მე თვითონ აღტაცებაში მოვდივარ ხოლმე ყოვლის იმის მოქმედებით. მაგრამ კარდინალი მეტად ეჭვიანი კაცი იყო და არ

ენდო იმათ მოწმობას: იმას ებრძანებინა ჩემზედაც აჯაშუშნათ, ანუ ჩუმათ ეთვალთვალნათ.—ეს მოხდა მაისის თვრამეტს ათას ექვსას ოც და ხუთსა წელსა (1625 წ) საღამოზედ ცხრის ნახევარი იქნებოდა, დაიწყო მხაზუნა წვიმამ ქარით. ამათ მოჰყვა საშინელი სეტყვა. ძალიან ცივი საღამო იყო. ჩემი სტუმრები განკალებდნენ სიცივით. ჩემის ბრძანებით თერეზამ ბუხარი აანთო. მაშინვე ბუხრიდგან შემოგვესმა ხველა და რაღაც ხმა. წარმოიდგინეთ ჩვენი შიში! ვინც უშიშარნი იყვნენ, შეყვეს ბუხარში თავები და ნახეს, რომ კაცი ცდილობდა ბუხარში ასვლასა, რომ იქიდგან ბან და ბან გაქცეულ იყო.—სახლში ერთი კიჟინა შეუდგათ.—შეშინებული ამ კიჟინით და ბოლოსაგან დაბნედილი, კაცი ჩამოვარდა ბუხრიდგან.

—ვინა ხარ? ჰკითხა ბუსომპიერმა, რა მიადგა იმას ხმალ ამოღებული.

—შემიწყალეთ! გებრალებოდეთ ჩემი ცოლშვილი! შემოევედრია იმ კაცმა. მე სხვა ხელობა არა მაქვსრა ჩემი ცოლშვილის საცხოვრებლად

—როგორ? ქურდობას შენ ხელობათ უწოდებ?

—მე ქურდი არ გახლავარ, თქვენო ბრწყინვალებავ.

—მაშ რა ხარ?

—ყურის მგდებელი გახლავარ... მე ვეკუთვნი რიშელიეს საიდუმლო პოლიციასა.—ამ კაცმა გვაჩვენა მოწმობა თავის წოდებისა.

—აი რა ამბავია, მარიონ! მითხრა ბუსომპიერმა: ვერც მე, ვერც შენ ვერ მოვიფიქრებდით, რომ კარდინალს ისეთი გრძელი ყურები ჰქონდა, რომ აქ მოსულიყვნენ ჩვენი ყურის საგდებლად!... ხომ არ მიბძანებ ფანჯრიდგან გადვისროლო ეს პატიოსანი უფალი?

—თავი დაანებე, უთხარი მე: რას დავსდევ თუ ყურს გვიგდებდა? რისა შეშინიან?... ეგ მხოლოდ დარწმუნდებოდა, რომ ამ სახლში სულ კარდინალის მეგობრები არიან და იმის თაყვანის მცემლები.

—მართალსა ბრძანებთ, ქალბატონო. მე ყოველთვის მაგას მოვახსენებდი ხოლმე მამა იოსებ ბერსა, ჰსთქვა ჯაშუშმა.

—რა დროიდგან დაიწყე შენ ჩვენი ყურის გდება? ჰკითხა ბუსომპიერმა.

—ერთი თვე იქნება.

—ყოველ დღე?

—არა, მხოლოდ იმ საღამოებით, როდესაც აქ სტუმრები გრო-

ვდუზიან.

—შენ ბუხრიდგან ჩამოდიოდი.?

—დიაღ, ხან და ხან გადმოვდიოდი, როცა ბნელდებოდა და ჩამო-ვქრებოდი ხოლმე. მე ასლოსა ვდგევარ აქა.

—კარგა რამ, მარიონ, რომ რიშელიემ ვერ შეიტყო ჩვენი უკეთე-სი ნაწილი ისტორიისა. მითხრა ჩუმათ ბესომპიერმა.

შემდეგ ჩვენის ბრძანებით გააგდეს მსახურებმა ეს კაცი და მიჰს-ცეს დარიგება, რომ თუ კიდევ გაბედამს ის ამ ეზოში ცხვირის შემო-ყოფას, ის მთელს ვეღარ გაიტანს ცხვირსა.

მეორეს დღეს მე მიველ კარდინალთან, რომელსაც უკვე ყველა ჰქონ-და მოხსენებული.

შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, როგორ გავანჩხლდი და რა სიტყვებით ვაყვედრე იმას ჩემი უნდობლობა. მე ვჰსტიროდი, მე ვყვიროდი, მე ვჯავრობდი, ბოლოს როგორც იყო დამამშვიდა, მაგრამ დავემუქრე, რომ თუ კიდევ ის გაბედამს ეჭვი შეიტანოს ჩემზედა, მაშინ ჩემი ერთგულება გარდექცევა იმას მტრობათ და მძულვილებად.—მე ჩემის ქცევით დავარწმუნე რიშელიე, რომ იმისი ერთგულიცა ვარ და მეტად ლუიის მოყვარეც, რომელსაც არა ვითარი ძრახვა არ გაუბედება. ის კაცი, რომელსაც არა გამოეპარებოდა რა და რომლის ჭკუაც ყველას ჰსწვდებოდა, მე მოვატყუე, ეხლაც ვატყუებ—და კიდევაც მოვატყუებ.

(განგრძელება იქნება შემდეგომ ნომერში.)

## თ. გ. ბ. მ. პორტრეიზედ.

გსჭვრეტ სულ-შეფრფინვით შენსა სახესა,
რომელსა ჰხსედავ მშჳდსა, დიდებულს;
ჭაბუკთ მხართ ზედა მოხუცებულს თავს,
მშჳენიერებას ზედ დამკჳდრებულს;
შუბლსა, მოწამეს პატიოსნების,
სიბრძნის ლამპრისგან სინათლე ფრქვეულს;
სამშობლოს შენსა მზის შუქის მხარეს
მადლობით ვეტყვი ამას შემცნეულს!...

კოლხიდელი.

---

### ა...

იმ ჩემს სამშობლო მხარეზედ,
ულეველ ზინდზედ შევჰსჭვრეტ ცასა,
იქა ვჰპოვებ ჯუარის სახედ
მკრთალს მიბჟუტულს ოთხს ვარსკვლავსა,
საღმრთოს ნიშანს თაყვანსა ვჰსცემ,
ვეტყვი ხრულს ჩემს აღსარებას,
იმითი ხომ მას არ მივსცემ
ტანჯვას, ცრემლს და მწუხარებას.
ვიცი იმ ყამს ნაღვლიანი,

ჩჳჱნს ქჳჱყნებში ხეირობენ.
და იმათში ვისაც თჳალნი
მასვე ჩუენებრ შეჰყურებენ.
უთხრას აქაც მზე ანათებს,
მთვარე ღამეს აძლევს შუქსა,
აქაც ხალხი მრავლად ჰსცხოვრებს,
ჰზოვებს გრძნობით გული გულსა.
აქაც მჴდარა გმირად გმირი,
დღესაც ნათლად აჩნია კვალს,
თითქო მოჰსთქჳამს მთა და ბარი,
წვრილად ყოველ გარდასავალს.
ერთხელ აქაც ქმელუც მეფას,
სხივით ბნელი განუფანტავს,
ქალაც შორით დამზრალ ყველას,
განაცხოველებს ჩრდილ ქჳჱშ ჰფარავს.
არადა ჰსჩანს მას სავრობა,
რადგან დრო და ჟამი ბრუნავს.
ღელვის ზჳრთში მშვიდი თმობა
მოაშველებს ნავს, არ დანთქავს.
კაცი თჳს ტკბილს სამშობლოსა,
აბა როგორ დაივიწყებს,
ძუძუთ ზრდიდა უგრძნობ ჩვილსა,
თვალწინ არ წამოიყენებს?

კ. ბ. ჯ.

1864 წ. ზუგდიდს.

---

## შენ ბეჟუნები!

კარგათ განსაჯე, კარგათ იგრძნი,
იყო ჭკვიანი, გინდ იყო ბრძენი;
მაინც არ მოხწონთ არა რა შენი,

მაშ კმარა შრომა, შენგან ამდენი!
შენ რამდენიცა ჰსთქუა ანუ ჰსწერო,
მაინც შენს ბედსა ვეღარ დამღერო,
დაწყნარდი გულო, ნუ გსურს ნურა რა,
რაც ივაგლახე, მერწმუნე კმარა!
რაც იყოს შენზედ ღუთიური ნება,
იმ გუარად მიეც გულს განსვენება:
მოხველ შიშველი, წახვალ შიშველი—
და ამის მეტსა მითომ რას ელი?...

დიმ. ბერიევი.

1864 წელსა. ქ. ტფილისს.

---

## გულს.

ოდეს გულო ტრფიალება—
უეცრად შენ წინ შეგხვდება;
მაშინ რისთჳს უმეტეს ჰსძგერ
და იმ ბედსა ეშხით დაჰმღერ?
თუნდ ლასვარსა თუალით ჰსჭურეტდე,
ხასიაჳდინეთ შენ უმზერდე;
მაშინც იგი არად გიჩანს—
მხიარული ხარ მაინც იმ წამს.
გარდამატობს ტრფიალება—
მაშ ყოველსა ბედის წერას?
სხუა საგანი რაც შეგხუდება,
ვერ ამსგავსებ იმას ვერას?
მაშ თუ ეს ასე იქნება,
შენ ის აღარ დაგეთმობა,

რომ მისი ზნე არ დაიცვა,
და მის ქეშმი არ დაიწვა!...

დიმ. ბერიძე.

1864 წლისა. ქ. ტფილისი.

---

## იეფთაის ასული.

(ბაირონით.)

ოჰ! თუ ჩემს გამჩენს და ჩუენს ხალხსაცა
ჰსურს, მამა ჩემო, ჩემი სიკუდილი,
რადგან მის გამო დღეს ჩუენ მოგვეცა
მტერზედა ძლევა — ჰა, ჩემი გული!
გაამე. სავსე ის სიყუარულით
მამულისადმი, მე არ ვინაღვლი:
შესრულებული საყუარლის ვლით
ვერ შემაშინებს მწარე სიკუდილი!
ვით დედისგან შჳლთ სიყუარული
ისე წმინდაა ეს ჩემი სისხლი!..
დეე. მივარავდეს მე შენი სული,
რომ მეტკბოს ჟამი უკანასკნელი.
დეე ვიტირო ნუ გენაღვლებს!
იყავ მამაცათ და მხნე მსაჯულად!
მით შენ მოგეცა მე გამარჯუება,
და ჩუენს ტკბილს მამულს — თავს ვწირავ მსხვერპლათ.
იცოდე, ოდეს სული ამომხდეს
და საუკუნოთ ამ სოფლად გავქრე,
თუ როგორ მოვკუდი არ დაგავიწყდეს:
მხნეთ, წმინდათ, წყნარათ და მომცინარე. —

თ. აკ. წერეთელი.

1864-ს წლის.

# მ ა ს ე.

«პირს-ავერობა, უკან ზრახვა არა თქმულა საფარისაგო,
ჰსჯობს ტყუილით ქვე ყოფასა ზე სიმართლით ავიბარგო,
კაზის მრგვლეთან ის არ გაქო, გინდ მის ნაცვლად ქმქვი დარგო,
და მაშინ სული არ წავწყმინდო რა გინდ ხორცით დავიკარგო.»

დავით. გურამიშვლი.

გული ჰკრთის, როდესაც წარმოიდგენ, რომ ჩუენი კურთხეული საზოგადოება ნელ-ნელა იღვიძებს, და აკვირდება ბუნების მოვლინებას, რომელნიც მის თვალწინ ხდება. მადლობა ღმერთს, გამოჩნდნენ ეხლა ჩუენ ქართველობაშიაც ისეთნი კაცნი, რომელნიც მწუხარებენ და წრფელის გულით ჰსურთ ქართველობის წინ წაწევა, განათლება და გაბედნიერება. მაგრამ ჩუენდა საუბედუროდ ეს იმათი სურვილი სრულებით უნაყოფოა ჩუენთჳს. იმათი სულის კვეთება ცუდად იკლის. ამ იერემიადობასთან საქმის გაკეთებაც რომ იცოდნენ, მაშინ გარწმუნებთ, იმათ კაცი ვერ შეედრებოდა, მაგრამ ეს დალოცვილნი, ამაო მღლოგარენი, არაფერს არ აკეთებენ. სხვებს ავალებენ, რომ რამე გააკეთონ, თჳთონკი სურთ გულხელ დაკრეფილნი უცქეროდნენ ყველაფერს, რაც იმათ არ მოსწონთ, და სურთ რომ ის მოუწონარი თავის-თავად მოისპოს. სხუას აყვედრიან, რომ იმათ არაფერი არ გაუკეთებიათო, მაგრამ ამასთანავე თჳთონაცკი არაფერს არ აკეთებენ. ამისაგამო შეიძლება გაბედვით წარმოვსთქუათ, რომ იმათი თჳსება მარტო ქუხილია და არა წვიმაცა. იმ ერთი ანდაზისა არ იყოს: «როგორც ქუხს ისე არა წვიმს.» როგორც ქუხან, ისე რომ იწვიმონ, მაშინ ისინი, ვერ კიდევ მძინარე საზოგადოებაში, ემგზავსებოდნენ ღამის ციცინათელასა, რომელიც ღამის სიბნელეში ისე ანათებს,

რომ კაცი ჰხედავს იმის ბრწყინვას. მაგრამ ის კვეთება იმას ამტკიცებს რომ მოახლებულა ის ბედნიერი დრო, როდესაც ჩვენშიაც მრავალი უმაწვილი კაცი შეჰსწირავს თავის თავს სწავლის განათლების საქმეს, მის სარგებლობას; ამისავით იმათი ასეთი მწუხარება ჩვენ საზოგადოების დაცემულობაზედ და დაძინებაზედ, თუმცა უსაფუძვლოა, მაგრამ მაინც კიდევ სასიქადულოა და სასურველია. თათრები იტყვიან: «სიტყვის თქმიდამ საქმის აღსრულებამდის, ერთი ნაბიჯილა არისო.»

მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ ჩვენ მოღვაწეებს ერთი ცუდი ზნე სჭირთ. იმათ სურთ, რომ თავის ჭუჭყი მამაპაპას მოახვიონ კისერზე. ისე არ დაიწყებენ ლაპარაკს ქართულს ლიტერატურაზედ, რომ იმას არ მისწვდნენ და ერთი კარგად არ გამოლანძღონ. აი მაგალითებრ **1865** წლის «ცისკრის» ივლისის №-ში, ვიღაცა უფ. ლვიმელი, თავის სტატიაში, «ჩვენი დროების მწერლები» ძლიერ უწყრება ჩვენს მამაპაპას იმაზედ, რომ იმათ გაჩაღებული ლიტერატურა არ დაუტოვებს მის ბრწყინვალებას; ლანძღავს, რომ ისინი თვითონვე არიან მიზეზნი ჩვენი ენის დამცირებისა და გაუქმებისა, მაგრამ ახალ შთამომავლობაზედ კი იძახის, რომ სტანჯავთ ჩვენო. «ოჰ, თქვენ ფარისეველნო და მწიგნობარნო (სახარების კილოა?) ამბობს ის **75** «ცისკრის» გვერდზედ, რათ გსურთ, რომ ყოველი თქვენი ბრალეულება და შეცდომილება (?) ახალ გაზრდა შთამომავლობას მოახვიოთ კისერზედ. ნუთუ თქვენ გულწრფელად ლაპარაკობთ ახალგაზრდა უმაწვილ კაცობაზედ? რას გაუმხნევია მაშინ თქვენი ხნიერი? რატომ თქვენ თავს არა ჰკითხავთ, თუ რომ ეხლა ყველანი არიან უმაწვილ კაცობა, მიზეზი რა არის? მაგრამ თქვენ ბრმა ხართ თქვენის თავის მოყვარეობით?» ამის ცოტა ზევით კიდევ, ის თავს აბრალებს მამა პაპას და ამბობს: ისინი (ესე იგი მამაპაპა) დაგვძახიან, «ჯვარს აცვ ეგე» რისთვის, ღმერთი არ არის თქვენშიდ? რა დანაშაულობა გვაქვს? არა მამებო! თქვენ ჩვენის ცოდვით, არც ამ ქვეყანაზედ და არც საიქიოს საშველი არ გექნებათ! თქვენ ისეთი ტვირთი მოგვკიდეთ, რომ თქვენ ენის სამძრავიც არ უნდა გქონდეთ სირცხვილის გამო! ჩვენი დანაშაულობა თქვენის ჭაზრითი ისაა, რომ ენა დავკარგეთ! მამებო, რას გვერჩით, რა ენა დავკარგეთ, როცა რომ არა გვქონია რა?» (მაშ ჩვენ ენა ვიყავით?) ამ სახით მთელი ეს სტატია შესდგება მამაპაპის, ჩვენიანების და ერთის, როგორც ესასის

პატივცემული კრიტიკოსი, ღვიძელი, «ქართულის მიწის შვილის კრიტიკოსისა» ლანძღვით, თავებით და დამცირებით, ჩუჱნი ენის დაცემის მიზეზის მამაპაპის კისერზედ მოხვევით; ერთის სიტყვით ამ სტატიის განსაკუთრებითი ხასიათი არის ლანძღჳა, მამაპაპის დამცირება და ახალგაზდა შთამომავლობის ქება და მისი მფარველობა.

ტყუილად ხომ არ არის ნათქჳამი: «ღონიერთან ყოველთჳს უღონო დამნაშავეაო.» წარსულ საუკუნოების შთამომავლობა ესლა გჳნდარია, ხმის ამოღება არ შეუძლიან, ამისათჳს ახალი შთამომავლობა ისე სეირნობს მაზედ, როგორათაცა სურს; რაცცუდი რამ არის ჩუჱნში, ამის მიზეზათ სულ ის გამოჰყავთ ახალ მწერლებს, როგორაც არის უფ. ღვიძელი. უფ. ღვიძელო! აბა რაში არის ძველი შთამომავლობა დამნაშავე? ჩუჱნი მამაპაპა, ესე იგი ის მამაპაპა რომელნიც დასოცილან ადრინდელ საუკუნოებში ის სრულებით არ არის ლიტერატურის უქონოებაში დამნაშავე; რომელნიცკი იმას აქეთ,— ისინიკი ძლიერ დამნაშავენი არიან. თუ შენ ამათ აძაგებ და ამათზედ ამბობ და მას მიმართავ შენ ლანძღვას, მე შენთან თანახმა ვარ. თუ არა და, მაგრამ შენ ყველაზედ ამბობ, მთელს მამაპაპას ლანძღავ. მაგალ. თქუჱნ ანბობთ: «ლიტერატურის გამოკვლევასაც, რომ ასრე შეუდგეთ, ეჭვი არ არის, რომ ყოველი ბრალი და დანაშაულება განსვენებულთ აბრაამის წიაღსა შინა ჩუჱნს მამაპაპებს მოუხვევავთ კისერზედ;» — ესე იგი იმისი ბრალია, რომ ჩუჱნ ლიტერატურა არა გვაქჳს. მართალია, მკითხველო, რასაც ამბობს, უფ. ღვიძელი? მე არ გეთანხმები, არც არავინ დაეთანხმება, ვისაცკი ცოტათი მაინც არის გაგება რამე ჩუჱნი მამაპაპის ცხოვრებისა. საწყლებს, როდის უნდა ესწავლათ წიგნი, განათლებულიყვნენ, ეწერათ, როდესაც რომ იმათ ყოველ დღეს ომი ჰქონდათ თავისუფლების მტერთან. აიღეთ მაგ. გადასინჯეთ მთელი ქართლის ცხოვრება და შეიტყობთ, რომ ჩუჱნი ქართველი ხალხი ორს დღესვე არ ყოფილა მშვიდობიანათ, გარდა ორ საუკუნოისა, ორ საუკუნის განმავლობაში. ერთის მხრით ლეკი, მეორეს ოსმალები და სპარსეთი, იმას არ აძლევდა მყუდრო და მშვიდობიანს ცხოვრებასა. ეს მტერნი მუდამ მოუშლიდნენ ხოლმე ცხოვრების ბუდესა და მდუღარე ცრემლით ატირებდნენ. იმათ ჟამში ქართველ ხალხს დღე ცხოვრებისა შავი ჰქონდა. ბევრი ჭირი და მწუხარება გამოუვლიათ ქართველებს ამ უწ-

ჳალო მტრებისაგან. საწყალს ქართველს, ყოველ დღე უომნია და სი-სხლი უღვრია თავისუფლების დასაცველად. იმას დღე მშვიდობისა არ უნახავს და იმთენი მოცალეობა არა ჰქონია, რომ მოსულიყო სახ-ლში პური ეჭამა ცოლშვილში; ან თუ მოვიდოდა საჭმელად, საწყალს მხედარს ერთ ხელში თოფი უნდა სჭეროდა, მეორეში კოვზი, და ისე შიშით პური უნდა ეჭამა. თუ კიდე ომიანობა მოჰხდებოდა, მაშინ კიდე მრთელი საქართველო ამხედრდებოდა თავისუფლების დასაცველად, რადგან იმან კარგათ იცოდა, რომ უთავისუფლოთ კაცს კაცის ღირსება არა აქჳს. მთელი ხალხი, რომ არ ამდგარიყო ამისთანა შემთხვევაში, რასაკჳრველია ვერ მოიშორებდა მტერსა. მარ-ტო მრთელი ხალხის აღჭურვა აძლევდა საქართველოს შეძლებას მტ-რის მოშორებისასა. ამისათჳს კიდევაც ომიანობის დროს მთელი საქართველო ლაშქრათ გადიქცეოდა ხოლმე; და აი ამისათჳს საქართ-ველოს ისტორიას «დრამას» უწოდებენ; და ეს «დრამა» უფრო კარგათ აცხადებს იმ აზრს, რომ ჩვენ საქართველოს ბევრი შავი დღე უნახავს და გამოუვლია, რისაგამო იმას სხვა საქმის გაკეთება სრულებით არ შეჰძლებია, ომიანობას მისთჳს წელის გამართვის ნე-ბა არ მიუცია, ამ ნათქვამს იმასაც დავუმატებ, რომ ომიანობის დროს, თუ მთელი ხალხი არ აღიჭურვებოდა, მტერს ვერაფერს ვერ დააკლებდა ხოლმე მარტო ჯარი, თითო კაცი სახლიდგან გამოსული, რადგან ქართველები, როგორაც ქსნა, ცოტანი ვყოფილვართ.— ამა ამ ნაირ მდგომარეობაში როგორ უნდა ეწერა ჩვენს მამაპაპას, წა-რემართა ლიტერატურა; როგორ შეეძლო მიეციან ნახევარ ხალხს კიდევაც ეწერა, ლიტერატურაც წარემართა, და ამასთანავე თავის თავიც დაეფარა მტრისაგან. განა ეს შესაძლებელი საქმე იყო იმათთჳს? სა-ქმე შეუძლებელი იყო, და ამისათჳს იმათ ვერ გამართეს. ლიტერატუ-რა მაშინ გაიმართება და მიეცემა წარმატებაში, როდესაც ხალხი მშჳ-დობიანათ არის, როდესაც ხალხს გარეგანი მტერი არ აწუხებს. ში-ნაური ამღვრეულება და შფოთი იმას არ უშლის საქმიანობას, აქჳს შინაური კეთილშობილი მდგომარეობა; ერთის სიტყვით არის ბედნიერი ყოველის მხრით.

რომ ჩვენში ხალხს მუდამ უომნია ან უკეთ გსთქვათ, თითქმის მუდამ კაცი ჯარში ყოფილა. ამტკიცებს ისიცა, რომ ჩვენში ძველა-გაცაგასხმა უფრო მეტმა იცოდა წიგნი და კიდევაც იცის; კიდევ

გაცთაგანმა. კაცები რომ ყოველთვის ომში იყვნენ, დედაკაცები წიგნ-სა სწავლობდნენ. კაცებსკი სრულებით არა ჰქონდათ დროება იმის სწავლისა, რისგამო ჩვენ ლიტერატურა არა გვაქვს. მაგრამ ამ ნა-ირი უსიამოვნო, უბედო ცხოვრება რო არა ჰქონოდა ჩვენს ხალხს, უთუოთ საქმეს გააკეთებდა. მე ამაში ეჭვი არა მაქვს. ამისათვის რომ, როდესაც მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნოებში ჩვენ საქართვე-ლოს მტერი მოშორებული ჰქონდა, ლიტერატურა წარმატებაში იყო, და მრავალნი გამოჩნდნენ მწერალნიცა; და თუ მართლაც რამე არის დაწერილი ჩვენს ენაზედ და ჩვენი ლიტერატურა როდისმე ყოფი-ლა წარმატებაში—ეს მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნოებში, როდესაც ქართველ ხალხს ჰქონია პოლიტიკური თავისუფლება. სხვა საუკუნოებშიკი ამას მოკლებულიყო. ამ დროს საერო ლიტერატურაში მრავალნი წარჩინებულნი პოეტნი და მწერალნი გამოჩნდნენ. ამ პოე-ტებ შორის რუქა პოეტიც ერია, რომელიც, უფ. ლვიმელო, თქვენ «გენიოს» წერეთელს, ვგონებ, მოსწონს, თქვენკი არა, არ ვიცი კი რა მიზეზით, როდესაც ამბობს:

ყოველს წვეთში რუქას ნახავს,
ქართვლის ტანჯვის გამომხატველს,
და მწარესა ნაკადულში
უიმედობას გულის მწყვლელს.

ჩონგური.

სასულიერო ლიტერატურა ამ საუკუნოებში ხომ მძიერ გამდიდრ-და. მრავალი წარჩინებული მწერალი გამოჩნდა სასულიერო ლიტერა-ტურაში. ერთის სიტყვით, რაცკი კარგი რამ არის გაკეთებული საე-რო და სასულიერო ლიტერატურაში, სულ ამ დროს არის... ლიტე-რატურამ უკანასკნელი თავისი წარმატება მიიღო. ღვთის მეტყვე-ლება, ფილოსოფია, მეტაფიზიკა, სიტყვიერება და სხვა—სულ ამ დროს გაიხსნენ უკანასკნელად. შემდეგ ამისა ჩვენი ლიტერატურა დაეცა, რადგან ჟამთა ვითარება შეიცვალა და ხალხმა მშვიდობა, და პო-ლიტიკური თავისუფლება დაჰკარგა და ხალხი აირია, მოიშალა მისი კეთილმდგომარეობა, რომელიც პირველი პირობაა ლიტერატურის წარმატებისათვის.. –ამ დროზედ ჩვენ აქ ამისათვის ვილაპარაკეთ, რომ მეთერთმეტე საუკუნიდგან დაწყებული მეცხრამეტე საუკუნემდისინ ყველა ქართველს კაცს ხმალი, ხანჯალი, თოფი, ტანით არ ჩამოუღია

და ამისათვის ლიტერატურაც დაცემულია ამ დროს, და ამასთანავე მეჩვენებინა ისა, რომ როდესაც მშვიდობიანათ ყოფილა ჩვენი ხალხი, მაშინ უკეთესი რამე,—ლიტერატურაც და მეცნიერებაც ჰქონია. მაშასადამე ძლიერ უსაფუძლოდ ყოფილა უფ. ლვიმელისაგან მამაპაპის უკედრება და გაკიცხვა; კაცმა ის როგორც უნდა გალანძღოს და განკიცხოს, რომ არაფერს არ აკეთებსო, რომელსაც თავისი ფიზიკური შეძლებულობა უშლის. ამ გვარი უძლური კაცის გამლანძღველი კაცი სწორეთ უნდა ვსთქვა, ძლიერ უსაფუძლო და წინ დაუხედავია. ამ კაცთაგანია სწორეთ უფ. ლვიმელიცა. იმ დალოცვილს, რატომ არ უხარიან, რომ წარსულ საუკუნოების შთამომავლობამ დაიცვა ენა და სარწმუნოება— ნაცია, ოისკუთისვ შემოსეულ მტრის გაქრევისაგან, და მოგვცა ჩვენ, თავის შთამომავლობას, არსებობა. ამისაც ძლიერ დიდი მადლიერნი უნდა ვიყვეთ იმ ძველ შთამომავლობისა—წარსულ საუკუნოების მამაპაპისა. მაგრამ თუ შეიძლება, რომ ერთ ორ აზრით მწერლის ნიჭი შევიტყოთ და მას დავარქვათ გენიოსი, მე ვიტყვი ამისათვის, რომ მეთორმეტე და მეცხრამეტე საუკუნოს შუაში, თუმცა უფ. ლვიმელი ბრძანებს, რომ «ვერც ერთს დროს შესანიშნავს პირს ვერ ვიპოვნით ლიტერატურაშიაო; იყვნენ კარგი მწერლები, ეს მწერალნი თუმცა იყვნენ ნიჭიერნი ისეთ დროს, რომ მის მეტი, რაც გააკეთეს სხვა მათგნით არ შეიძლებოდა. ყველა კაცი თავის საუკუნეს მისდევს, რისათვის შთამომავლობის და მწერლის გონება უსაფუძლო იქნება. იმათ რა ქნან, იმ საუკუნეში ხალხს ქუდი როგორც ჰხურავს, ისინიც ისე იხურვენ. საზოგადოების აზრს, მიმართულებას ისინიც მისდევენ, და ვერ იშორებენ მის თავის თავზედ გავლენას, იმ საუკუნეს ემორჩილებიან აზრითაც, ყოფაქცევითაც, აი ამაზედ არის ისიც ნათქვამი, რომ «დრონი მეფობენო.» ამ დროების მეფობას ვერ გადურჩნენ საბა სულხან ორბელიანიცა, ანტონ ქათალიკოზი, პოეტი დავით გურამიშვილი, ნიჭიერი ალ. ჭავჭავაძე და გეოგრაფი ვახუშტი, ისტორიის ლიტერატურისა ამ პირებს რომ არ შეეხოს არ შეიძლება, თუმცა იმათ მწერლობაში ისეთს დიდს სარგებლობას ვერა ვნახავთ. მაგრამ ჭეშმარიტების ნატამალებს მრავალს ვიპოვით ამ კაცების თხზულებებში, თუმცა უფ. ლვიმელი ბრძანებს, რომ ჭეშმარიტის ნატამალებსაც ვერ ვიპოვითო. ჩემის აზრით კარგი წიგნიც ის არის, რომელიც ჭეშმარიტის ნატამალებს მოგვცემს, გარდა იმ

აზრისა, რომელიც ჩუენ თავში გვქონდა, კიდე სხუა აზრები შეგვატყობინა და უფრო კარგათ გაგვაცნობა საგანი. ყველა ამ გვარ წიგნს მე კარგს უწოდებ. რასაკვირველია მე იმას არ ვამბობ, ეს მწერალნი ძრიელ დიდი ნაყოფის პატრონნი და სასარგებლონი არიან თავის მწერლობით. ჩუენი აზრი მხოლოდ ის არის, რომ ეს პირნი ნიჭიერნი, არიან მწერალნი, იყვნენ და ამათ მწერლობაში ჭეშმარიტის ნატამალებს ვიპოვით. აი მაგალ. გურამიშვილი რას ამბობს: აბა ვნახოთ, მოგწონს ეს ჭეშმარიტება, თუ არა, მეკი ვიტყვი, რომ ეს პოეტი სხვაზედ ნაკლები პოეტი არ არის.—

მართალს ვიტყვი, შევიქნები ტყუილისა მოამბერად.
ვერას ვუქებ საძაგელთა უფერულთა პირსაფერად,
მე თუ გინდა თავიც მომჭრან, ტანი გახდეს გასაბერად,
და ვინც არა ჰგავს კაცსა ზერსა, მე ვერ ვიტყვი კაცაბერად.

. . . . . . . . . . . . . . . .

მართალია, მძრახველს ძრახვა თვითვე ავად მოუხდების,
მაგრამ ფარგა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების,
წამხდენელთა და მბაძველთა კიდევ სხუაც რამ წაუხდების,
და ძრახვავე ჰსჯობს საძრახავთა, ძრახვას კაცი მოუფრთხების.

დავ. გურამიშვილი.

ვახუშტი კიდე ამბობს თავის ისტორიის მშუენიერ შესავალში: «წარწყმდეს ის დრო, რომელშიაც ჩუენ ნაყოფს არ მოვიტანთო.» იქნება ესლა ერთიც არ იყოს ჩუენში ამ აზრის ამსრულებელი, და ამ ნაირ აზრის კაცი. ეს აზრი ამტკიცებს, რომ ვახუშტი ეხლანდელ ჩუენ უსაქმო და ცუდ უბრალოთ ხეტია და ქარაფშუტა ყმაწვილებს არ ჰგავსნებია. ეს ისეთი კაცი ყოფილა, რომელსაც არც ერთი წამი უბრალოთ, და უსარგებლოთ არ დაუკარგავს.

მაგრამ, საბა სულხან ორბელიანი ამათ ორივეს ჰსჯობია თხზულებითაც და ნიჭითაც. ის ორივეზედ მაღლა დგას თავის ნიჭით, და განათლებით; მის «სიბრძნე სიცრუე» ამტკიცებს ჩუენს აზრსა. იმის ყველა სიტყვიდამ თითქმის რამე ჭეშმარიტებას გაიგებთ და რამე ჭკუას ისწავლით. რასაკვირველია ამასთანავე ბევრია ამ თხზულებაში სასაცილო და გასაოცარიცა; მაგრამ იმაში იმდენი ჭეშმარიტების ნატამლებია, რომ ეს ნაკლულევანებას სრულებით არა ხნანს. იმის არაკები ჩუენთვის შეადგენს პრაქტიკულს ჭეშმარიტებასა, ამასთანამო კიდე-

ვაც იმის წიგნისთჳს დაურქმევიათ წიგნი «სიბრძნე სიცრუვისა,» რადგან ამ წიგნიდგან კაცი იტყობს ჭკვის მიხრა მოხრასა, ცხოვრების ხრიკებსა, კაცის ჭკვის განონებსა, მის ცბიერებასა. ერთის სიტყვით ეს წიგნი შეადგენს კაცის ჭკუაზედ დარიგებაებსა პრაკტიკულ ცხოვრებიდგან. «ეჰა, მეფეო, სწერს ერთს ადგილს საბა სულხან ორბელიანი, ენით მოჰკუდება კაცი, სხვით არა; უძლურთ ენით მკუდარი ენამ ვეღარ აღადგინოს და აღარც ენით წყლულს ელხინება.» რაო! უფ. ღვიმელო, ეს ჭეშმარიტება არ არის? მაგრამ ეს შენთჳს ცოტაა. მოვიყვან კიდევ. უფ. ღვიმელო, მე-47 გვერდზედ ერთი ვინმე დიდებული მეფე შვილებს რომ არიგებს ერთობა ჰქონდეთო.—ეს აზრი როგორ მოგწონს? ცუდი ჭეშმარიტებაა ესა? თუ შენ ეს ჭეშმარიტებათ არ მიგაჩნია და არც მიგიღია?! აი ამ ჭეშმარიტებას: «მეფე იყო ვინმე დიდებული, ოცდა ათი ვაჟი ჰყვანდა. რა მოიწია დრო სიკუდილისა მისისა, მოუწოდა ძეთა თჳსთა, მოაღებინა ოცდა ათი ისარი, შეჰკრა მაგრად და მოიზიდა, რათა გატეხოს და ვერ გატეხა, მერმე თითო თითოდ მოიზიდა და ყოველივე დალეწა.» მერე ეუბნება თავის შვილებს: «თუმცა ერთად ხართ და ერთ პირზედ სდგეხართ, მტერი ეგრე ვერ გაგტეხსთ, ვითა მე წელან შეკრული ისარი ვერ გავტეხე; თუ გაიყარენით, ესრეთ თჳთო თჳთოდ დაგლეწოსთ მტერმან, თვითცა მოგსთხსაროსთ და მოყვარენცა. აწ თქუენი საქმე მას გავს: თქუენი სიტყუა თუმცა ერთი იყოს, დაუმყაროს მეფობა ჩემი. რადგან მტერნი ხართ, ჩემს საქმეს წაუხდენლს არ გაუშვებთ. ვეზირთ წესია, რამდენიც იყვნენ პირნი ერთი ჰქონდესთ, ერთის ჭკუა და ქცევა სწორეთ არ წავა, უამხანაგოთ არ იქნების, რაგინდ ბრძენი იყოს. ერთიც არი, საქმე არ დაასცდინოს, არ ეგების და ერთის საქმის დაცდენით ბევრი წახდების, ამისათჳს ორისა და სამისა რჩევა ჰსჯობს;» და სხუა. კიდევ მოვიყვანდით რამდენიმე უფრო კარგს ჭეშმარიტების ნატამლებს. მაგრამ ესეც კმარა იმისათჳს, რომ შენ დაიჯერო, უფ. ღვიმელო, რომ ჭეშმარიტების ნატამლები არის ძველს ლიტერატურაში. მაგრამ, უფ. ღვიმელს მე სხუაფრივ დაუმტკიცებ ამ ჭეშმარიტებას. ამისათჳს მე გკითხავ, უფ. ღვიმელო; ჩვენს ლიტერატურაში ჭეშმარიტების ნატამლები არის თუ არა? ჩემ კითხვაზედ, შენ პასუხს მაძლევ: «არ არის,» — მე გიპასუხებ წინააღმდეგს და გეტყვი: სტყუი! არის! — რით დამიმტკიცებ? მკით-

ხარ შენ. — მე პასუხს გაძლევ: გარდა იმ ლიტერატურისა, რომელ-ზედაც შენ ლაპარაკობ, უფ. ღვიმელო, არის კიდევ ლიტერატურა რომელშიაც ტყუილი იშვიათად იქმნება. ეს არის ლიტერატურა, ის-ტორიული, პირუთვნებელი და ჭეშმარიტი — უტყუვარი. მაგრამ უფ. ღვიმელს ამისათვის ყური არ უგდია, აუღია ხელში კალამი, გაუკრავს ხელი და ისე გაუფიქრებლად წამოუსვრია, რომ ძველს ლიტერატუ-რაში ჭეშმარიტის ნატამალსაც ვერ ვპოვებთო. ხედავ, როგორა სტ-ყუვი! უფ. ღვიმელო! ისტორიულს ლიტერატურაში სულ ტყუვილი ვის გაუგონია! მაგრამ იქნება შენ არ იცოდი და არც იცი, რომ ჩუენ ამ გვარი ლიტერატურა გვაქუს. უნდა გრცხვენოდეს, მართლაც თუ არ იცოდი; და თუ დაუფიქრებლათ სთქვით — ეს უფრო ცუდი. ვითარცა ლიტერატორსა, შენ დაუფიქრებლად სიტყვის თქმა არ შე-გფერის. შენი ყოველი სიტყვა აწონილი უნდა იყოს. რადგანაც ას-რეთ წინდაუხედავათ იცი ლაპარაკი, ამისათვის კიდევ გაგიმეორებ, რომ ისტორიულის ლიტერატურაში ჭეშმარიტების ნატამალსაც ვპო-ვით, თვით ჭეშმარიტებასაცა და სარგებლობასაცა. ეს სარგებლობა ძველს ლიტერატურაში უფრო ენის მხრითაა «მე არ მესმის, ანბობთ თქუენ უფ. ღვიმელო, და ვერა გამიგია რა, თუ რას ნიშნავს ენის აღდგენა?» თუ შენ არ გესმის, ნება მიბოძეთ, მე აგიხსნა: ეს ხომ შენ თვითონ კარგათ იცი, რომ ჩუენში არავინ არ იცის ქარ-თული ენა ლიტერატურულად, ანუ უკეთა ვსთქუათ, ლიტერატურის ენა იცოდეს ვინმემ, ისე ლაპარაკსაც კი ვერც ასრულებს ჩუენში ქარ-თველი რიგიანათ. რატომ? რა არის ამის მიზეზი? მიზეზი ის არის, რომ ჩუენ ძველს ლიტერატურასა არა ვკითხულობთ და ისე არ ვსწავ-ლობთ ჩუენს ენასა. იმის უკითხველად ჩუენ ენას ვერ ვისწავლით და არც არავის ეცოდინება ჩუენი ენა რიგიანათ, — ვიდრემდისინ იმის სწავ-ლას ძველ წიგნებიდამ არ შეუდგებიან. უეჭველია, რომ ძველს ლი-ტერატურაში ბევრია ესლა გამოსადეგი და სახმარი სიტყვები, რომე-ლნიც ჩუენ უთუოთ უნდა ვიცოდეთ, მაგრამ არ ვიცითკი, ამისგამო «ჭევრმეტყველების» ნაცვლად ჩუენ ლიტერატურაში მრავალმა დიდ-ხანს იხმარა «წითელ სიტყუაობა». ამ სიტყვის მხმარებელი ძველი ლიტერატურა რომ ეკითხნათ, თვით ნამდვილი სიტყვა ეცოდინებო-დათ და ესმაც გამართული იქნებოდნენ, ძველ ლიტერატურის ენის სწავლაც, ჩემის აზრით, აი ესრე შეიძლება: უნდა კაცმა იკითხოს ძვე-

ლი ლიტერატურა და ისწავლოს რამდენიც შეიძლება სიტყვები და მერე ეს სიტყვები, როგორიც კილო არის ახლა მიღებული ლიტერატურაში, ისე ისმაროს. ამ ნაირათ რომ ისწავლოს ჩვენმა ახალმა შთამომავლობამ ენა, უეჭველია რომ კარგათ ეცოდინება, თავის დროზედ იმას ლიტერატურის ენა. მაგრამ ამასთანავე ის ძლიერ ერთგულად უნდა ცდილობდეს, რომ ეს სიტყვები ახალ კილოზედ ისმაროს, ისე რომ ძველი ენის გრამმატიკის ფორმები ახალ ენაში აღარ ერიოს. ძველ ლიტერატურის ენის კილოზედ, რომ ვწეროთ — აქედამ არაფერი სარგებლობა არ გამოვა. ჩვენ უნდა ვეცადნეთ, რომ ძველი ლიტერატურის ენა კარგათ ვიცოდეთ და იმის სიტყვებს იმ ხასით ვხმარობდეთ, როგორათაც ეხლა ხმარობენ და ხალხი ლაპარაკობს. თორემ ძველი ლიტერატურა რომ ავადგინოთ თავის წინანდელ სახით, როგორც სურსთ ზოგიერთებს, იქიდგან არაფერი სარგებლობა არ გამოვა და ჩვენ ლიტერატურას არ ეშველება. მე რასაც ვწერ იმისათვის ვწერ, რომ ჩემი აზრი სხვამ გაიგოს. თუკი იმ ძველ ლიტერატურის ენის კილოთი და ფორმით დაწერილს — ვერ გაიგებს ჩემი მკითხველი, — რასაჭიროა ისეთი ენა. ჩვენთვის არ არის საჭირო ამ ნაირი ენა; და თუ ვინმე იძახის, რომ უნდა აღსდგეს ძველი ლიტერატურის ენაო — ის სცდება და ტყუის. იმის აღდგენა არ შეიძლება, რადგან ის თავის ძველებურით არვარგა გრამმატიკის ფორმებისა გამო, — ჩვენთვის მკვდარია, და სიტყვების გარდა ჩვენ იმ ენისა არაფერი არა გვსურს; ამ სახით ჩვენი ენა აღსდგება, განმშვენიერდება და წარმატებაში მიეცემა, აღარავინ დაამახინჯებს მას, აღარავინ არ ისმარებს უცხო ენის სიტყვას მაშინ, როდესაც ჩვენი სიტყვა ეცოდინება, კარგათ გამოსტავს თავის აზრებს, რადგან ენაში კარგათ იქმნება გამართული. თვითონ შენც უფ. ღვიმელო, უფრო უკეთ გეცოდინება ენა და აღარ იხმარებ ამ გვარად ამ სიტყვებს: «კიო, ამხელილი, ნამყოფი, ბაშვურ, სამძრავი, გამომკვლევა» და სხ. ამ სახით ნელა-ნელა ენა აღსდგება და ამას დაერქმევა მაშინ ენის აღდგენა და აი ამაში მდგომარეობს, ჩვენი აზრით, ძველი ლიტერატურის ენის აღდგენაცა. თორემ ეხლა ჩვენი ენა ძლიერ არეულია სხვა ენებში, ესე იგი ნამდვილი ქართული ენა, თუ ასე შეიძლება ვსთქვათ, რუსულ-სომხურ-ქართულად მოქცეულა. მაგრამ ამისი მიზეზი, შენის აზრით, მამაპაპაა და არა ჩვენ, იმათი ახალი შთამო-

მავლობა. მეკი გეტყვი, რომ მამაპაპაკი არ არის დამნაშავე, თჳთონ ჩუჱნა ვართ მიზეზი ჩუჱნი ენის დამხობისა. მაგალითი: ვინ არის დამნაშავე იმაში, რომ ჩუჱნ ენაში ეხლა ბევრი სიტყვები ურევია უცხო ხალხებისა, ისე რომ ჩუჱნი ენა დაკოჭლებულა და დამახინჯებულა? ვინ არის იმაში დამნაშავე. რომ ეხლა ჩვენ ენას არა ვსწავლობთ სასწავლებლებში ჩუჱნა—თუ ჩუჱნი მამაპაპაა? უფ. ღვიძელო, შენ რას იტყვი ამაზედ? შენ გჯერა რომ ჩუჱნა ვართ ამაში დამნაშავე! მე ძლიერ მტკიცეთა ვარ დარწმუნებული, რომ ჩუჱნა ვართ მიზეზი ჩუჱნი ენის დაკარგვისა, და არა მამაპაპა. რა ქნას იმან, რომ ეხლა ჩუჱნ ჩუჱნის არვარგობით საკითხავი წიგნები არა გვაქუს და ამ მიზეზისა გამო უმეტესი ნაწილი ქართველთაგანნი შჳდებს ევროპიულ ენაზედ ასწავლის წიგნსა; შენი მეცხრამეტე საუკუნის შთამომავლობა კიდე სუფრაზედ რომ დაბძანდება და გლეხ კაცებს შემოეყრება, სურს, რომ სულ უცხო ენაზედ იტირტიროს, და ამითი ისინი გააკვირვოს! ერთ აკადემიელთან თურმე გლეხ კაცები მოვიდნენ და შეჴსჩივლეს, რომ ასე და ასე დაგვემართაო: იმან თურმე მოისმინა და მერე უთხრა, ვინც თანა ჰყვანდა: საწყალი, **что съ ними это случилось!** აი შენი მეცხრამეტე საუკუნის შთამომავლობის ტიპი ეს არის. უფ. ღვიძელო! ეს არის შენი ნაქები შთამომავლობა! ამისთანაებში ძლიერ გამოქნილია; მეტადრე იმაში, რომ ყველაფერში წარსულ საუკუნის მამაპაპა გამოიყვანოს დამნაშავე. «მამაპაპამ აფუშულ-დაფუშული დაგვიგდო საქმეებიო» ამბობ შენ და ამისაგამო ეხლა ჩუჱნი ცხოვრების მიმდინარეობა სანატრელი და სანუგეშო არ არისო. «თუ მამაპაპამ აფუშულ-დაფუშული დაგვიგდო საქმეები», ჩუჱნ რატომ არ გავასწორეთ, რიგზედ არ მოვიყვანეთ?! ანუ არ მოვიყვანით?!

უფ. ღვიძელი დიდ ალტაცებაში მოდის, როდესაც დაიწყებს ახლანდელ შთამომავლობაზედ ფიქრსა. წარსულ საუკუნოების შთამომავლობასკი დიდად უწყრება. არა—უფ. ღვიძელო, წარსულნი შთამომავლობანი, ჩემის აზრით, კარგნი იყვნენ, რაც შეეძლოთ და საჭირო იყო იმათ ის აღასრულეს. მამული მტრისაგან მფარველობას ითხოვდა და იმათ თავიანთ სისხლით და მხნეობით დაიფარეს და რაც დაიცეს მტრისაგან, რა უნდა გაეკეთებინა იმან იმის მეტი, რაც გააკეთა; ყველა შთამომავლობას თავისი დანიშნულება აქუს. იმის დანი-

მიუღებს მართველობის, ნაციის, ენის და სარწმუნოების დაცვაში მდგომარეობდა და თავისი როლი მშვენიერად ასრულა. ახლა ჩვენი ვალია მოქმედებისა, განათლების და ლიტერატურის სცენაზედ. ეს ჩვენი დანიშნულება უნდა კარგათ ვიცოდეთ და ამის გვარად ვმოქმედებდეთ. თორემ ჩვენ მამაპაპას ვღანძღავთ და ჩვენ არაფერი არ გვინდა რომ გავაკეთოთ. ლიტერატურის წარმატებაში მოყვანა ჩვენ წილობაში ამოსულა; ეს არის ჩვენი დანიშნულება, ჩვენ უნდა გავამრავლოთ ჩვენი ქართველობაში წიგნები და სწავლა. «ჩვენ უნდა ვშობოთ ჩვენი მეობადი, ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს».. ამას ავალებს ახლანდელ შთამომავლობას თვით უფ. ი. ჭავჭავაძეც თავის «ქართლის დედაში.» ამისაგამო მარტო ლაპარაკით არაფერი არ კეთდება და მამაპაპის ლანძღვა ჩვენ არ შეგვშვენის. ეხა ჩაგვიგვირდება რომ ვინმემ გვკითხოს: «იმათ უომნიათ მაინცა, აბა თქვენ რა გაგიკეთებიათო, რომ გვკითხოს, გარწმუნებთ, ხულ გადვირეკვით, შევკრთებით და ვერას პასუხს ვერ მივცემთ. აი მაგალ. ეხლა რომ შენ აწარმოებ ახალ შთამომავლობას, ჩემო ძმაო, აბა რა გაქვს იმათი გასამართლებელი, ერთი სთქვი, ჩვენც გავიგოთ; თქვი რაც გაქვს გულით, განსაკუთ რით არის ის ღირსი ქებისა, რით მოიგო იმან ისეთი შენი ქება, რით დაავალა შთამომავლობა. მეცხრამეტე საუკუნის შთამომავლობას ჯერ არაფერი არ გაუკეთებია ლიტერატურისათვის; ის ჯერ კიდე ბურანშია და ქვეყნას ვერ ასვლია, — მაგზედ ლაპარაკი იმ გვარათ, როგორც შენ ლაპარაკობ, მაშინ შეიძლებოდა, რომ იმას რამე საკუთარი გაეკეთებინოს. იმას ჯერ არაფერი არ გაუკეთებია, მაგრამ შენცა ძლიერ აქებ და იმას თითქმის ცაში აიყვან. ახალი შთამომავლობა იმ წინაპარით, რომელიც შენც გაჰქონს, ძლიერ ბევრშია დამნაშავე; ამისაგამო ისინი არცა უნდა იქონ, არამედ იმაგონ. ახალგაზრდა შთამომავლობას (მეცხრამეტის) სრულებით არ მოუტევებს სისუსტე, უსაქმოება და ცუდ-უბრალოდ ტრაბახობა . . .
. . . . . . გამოხატავს ამ გვარ გაცემის საქმის სიმძლავრე და ხასიათი. იმან, უფ. [illegible], დაუფიქრებლად არა სთქვა ეს დიდი ჭეშმარიტება: საქმის გაცდა დაუფრთხობლად აკეთებს თავის დიდ საქმეს.» — მე კიდე ვიტყვი, რომ კაცს უნდა ჰქონდეს სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი, რაც სთქვას იმის სისრულეში მოყვანას მინდიოს ვიდრემდისინ თავისი სიტყვა არ ასრულოს, თავი არ და-

ანბობს; ხელ-გულზედ დაკრეფილი ჯდომა ეხლა ჩუჱნ აღარას გვარგებს. ახლა დროა სიტყუა საქმით აღვასრულოთ, ვიმოქმედოთ, თუ რომ ჩუჱნი სურვილი გულითადია, და რამე სარგებლობა შეგვიძლიან შევძინოთ ჩუჱნს შთამომავლობასა; უსაქმოთ დგომა ჩუჱნ აღარას გვარგებს მაშინ, როდესაც ვხედავთ, რომ ჩუჱნ დროში ყველა ხალხი მოქმედებს, ზრუნავს, ცდილობს რამე კეთილი გააკეთოს საზოგადო ძალით. გვეყოფა ამდენი ძილი და ლაჩრობა. ახლა დროა მივხედოთ სხუა ხალხებს და იმათსავით ჩუჱნც ვეცადნეთ ჩუჱნი ხალხის განათლებაზედ.

მაგრამ უფ. ლევიძეო, თქუჱნ სტატიაში ეს ყველაზე უფრო გასაკვირვია, რომ თქუჱნ ჩუბინოვს იმისათჳს ლანძღავთ, რომ იმას თავის ქრისტომატიაში ილ. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის ლექსები არ დაუბეჭდია. ეს ძლიერ გწყინსთ და ამისთჳს იძახით, რომ ბატ. ჩუბინოვმა «ინჩი მინჩიც არ იცის.» განა ეს მართალია? იმან არაფერი არ იცის?! განა შენზედაც ცოტა იცის!? «ისეთმა ფურმა დამწივლოს, რომ ჩემზედ მეტს იწველოდესო», ჩუჱნში ანდაზათ არის ნათქუამი. ამ ანდაზის ძალით მეც ვიტყვი, რომ უფ. ჩუბინოვს ისეთმა კაცმა უნდა დასცინოს, რომ იმაზედ ბევრი იცოდეს და ბევრი გაეკეთებინოს. თუ იმასაც არაფერი გაუკეთებია და ვის გაუკეთებია?! მაშ ჩუჱნი ლიტერატურის მცოდინარე და დამფასებელი კაცი არ იშოვება ქართველებში. რასაკჳრველია ჩუჱნ ყველაფერს შედარებით ვლაპარაკობთ, როგორც რიგია ხოლმე ამ გვარ შემთხვევაში, მაგრამ თქუჱნ აქ არ ზმანდებით! თქუჱნ რადგანაც არ მოგწონთ ძველი ლიტერატურა, მაშ სჩანს, კარგათ აგიწონიათ იმისი ღირსება და ამასთანავე ჩუბინოვის ცოდნაცა. არა, არა — ჩემო ძმაო, თუმცა არ შეიძლება გსთქუათ. რადგანაც უფ. ჩუბინოვი პროფესორია, ბევრი იცისო. იმან სიბრძნე ყელში მოჰბჯენიაო, მაგრამ შეგვიძლიან მაინც კიდევ შენი წინააღმდეგი გსთქუათ, რომ იმან რამე იცის და თქუჱნი «ინჩი მინჩი» სრულებით არაფერს არა ნიშნავს. მარტო ცარიელი ფრაზაა, უსაფუძვლოდ წარმოთქმული. თქუჱნ ტყუილათ გაშმაგებული ლანძღავთ იმას. მაგრამ უკაცრაოთ, თქუჱნი ლანძღვის მიზეზი ის არის, რომ იმას, თქუჱნის აზრით, ჩუჱნი დროების პოეტების ლექსებისა, გარდა ბარათაშვილისა, არც ერთისა არ დაუბეჭდია. აქ კიდევ გაუბედავ თქმას თქუჱნს ბრწყინვალებას, რომ

სტყუით! 1863 წლის ქრისტომატიაში «შეშლილი» რომ არის დაბე-ჭდილი, ეს ვისია, ჩვენი დროების მწერლებისა არ არის?! თუ ბარა-თაშვილი ჩვენი დროების პოეტია, გიორგი ერისთავი ჩვენი დრო-ბის მწერალი რატომ არ უნდა იყოს! ის ბარათაშვილზედ უკან სც-ხოვრებდა! მაშ რაღათა სტყუი უფ. ლევიძეო, რომ ჩვენ დროების მწერლებისათვის მარტო ბარათაშვილის ლექსები დაუბეჭდიაო. განა მწერალი ისე უნდა გაჯავრდეს, რომ წერის დროს გონებაზე-შეიშალოს? გარწმუნებთ, თქვენ ჩუბინოვზედ იმ ნაირათ გაჯა-ვრებულხართ, რომ ამ გულფიცხობას დაუშლია თქვენთვის კარგათ გადაშინჯვა იმის ქრისტომატიისა და გაგება—ვისა და ვის ლექსები ანუ თხზულებები დაუბეჭდავს ჩვენი დროების მწერლებთაგანისა. მაგრამ იქნება თქვენ მარტო ბარათაშვილი განგებ ახსენეთ და გიო-რგი ერისთავი დამალეთ, რომ გინდა ამათ უფრო გამაგებინა უფა-ლი დავ. ჩუბინოვი და გეჩვენებინა იმისი საგონებელი მტრობა ახალ შთამომავლობისადმი? განა ასეთი მტრობაც იქნება!? მაგრამ შენ იმას უფრო გარდუწყვეტიხარ და დაუკარგვინებია შენთვის დავთრები, რომ ილ. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლისა ვერ დაგინახავთ ქრისტომატი-აში ლექსები. ამას ისე დაუფიქრებიხარ, რომ წარმოგიდგენია: ილ. ჭავჭავაძე და აკ. წერეთელი ასეთი დიდი გენიოსები არიანო, რომ რუსთველს არ დაუვარდებიანო, და დავით ჩუბინოვს ამათი ლექსები როგორ არ დაუბეჭდია თავის ქრისტომატიაშიო! ამ აზრს გაუ-ტაცნია შენი გონება, რადგანაც გსურვებია ახსნა უფ.* დავ. ჩუბინო-ვისა ამ გვარი ულოვაქცევის მიზეზისა, შენ უეცრად მოგხვედრია თავში ის აზრი, რომ უფ. დ. ჩუბინოვს სიშურით არ დაუბეჭდიაო; და აი ამ გვარათ შენ დაგიკმაყოფილებია შენი ცნობის მოყვარეობა და აგი-ხსნია შენი ეჭვი. მაგრამ, ვგონებ, მოტყუებულხარ დ. ჩუბინოვს შენ გენიოსებთან ვგონებ არავითარი მტრობა და სიშური არ უნდა ჰქონ-დეს. იმას მხოლოდ არ მოსწონებია და ამისათვის არ დაუბეჭდია. ნათქუამია, გაცს გემო არ გაემინჯვისო: იმას რაც მოსწონდა ის და-აბეჭდინა. შენ ილ. ჭავჭავაძისა, აკ. წერეთლისა და სხვებისა ლექ-სები მოგწონს,—აიღე შენც რაც მოგწონს ის დაიბეჭდინე, ვინ და-გიშლის, მე დალოცვილო. თორემ ეხლა რამდენიც გინდეს იმდენი იძახე, რომ ჩუბინოვს ტყუილათ თავი ნუ მოაქვს და ნუ მოსწონს, იმას არაფერი არ გაუკეთებიაო, მე ვიტყვი, რომ იმას შენზედ მეტი

გაუმჯობესობისა, მეტი და მეტი. შენცა მარტოდ გიქადაქმიტავნის და ამაში დაგინახავს მწერლის ღირსებას. ამისათვის მე ძლიერ ვწუხვარ, რომ თავს მოუკვარებლობით დამთვრალი და გამოსულელებული ცხვირმაღალი არ მიადევნო მეტად ლიტერატურას. მეზობლობა, ცოდვა ხარ, ნუმცა მხარ! «გეთიქრესთ ალექსანდრე მაკედონელი დიდი კაცი იყო, ასეთა ამისათვის შენ ცხვირობით რაღა იღირო,» გეტყვიან. ამასთანავე იმასაც გეტყვიან, რომ როგორც შენ, აგრეთვე იგი. ჭავჭავაძეს და აკ. წერეთელს არაფერი არ გაუმჯობესებიათ. მართალია, იმათ შენზედ მეტი უწერიათ, მაგრამ კი იმათი მწერლობა არ წერას ჰგავს, რადგან მისი სარგებლობა არა აქვს, მათი თხზულებანი ხალხმა არ გაიცნობა. გარდა ამისა იმათ მეტი შეუძლიათ გააკეთონ, მაგრამ სიზარმაცის გამო არ აკეთებენ. ამის გამო იმათი ნაშრომი ჩვენთვის სრულებით უსარგებლოა. რომ ნიჭიერნი არიან, აბა რას გვაკეთებენ? აბა რათ გასწორებენ ღირსნი თქვენის ქებისა და ღირსნი გვირგვინისა? გვირგვინები ხალხისათვის გარა ვერც უსარგებლო უნდა იყვნენ?! არა, იმათ არაფერი არ გაუმჯობესებიათ ისეთი, რომ დაიწვნის გვირგვინის ღირსნი იყვნენ. როდესაც გააკეთებენ, იმათი ღვაწლი ხალხმა გაუფრთხილდება, მაშინ ბატონონი ზომანდლებით, მიართვით. რომ გასთიალის ცისკარისავით თავი ამოაყოლოს თავის ყურნალს და მერე ისე ხანქართო გააქროს, რომ ვერცკი დაინახავთ ვერსად. აი ეს არის შენი «გენიოსი» პოეტი ილ. ჭავჭავაძე თავის საქმით! იმან თურმე მარტო ყმაწვილებისათვის სწერებია თავის ნაწერება ხალხისათვის, და არა იმისათვის გამოდიოდა თავის ყურნალით («საქართველოს მოამბით»), რომ სარგებლობა მოეტანა საქართველოსთვის. არა, ილ. ჭავჭავაძე გვირგვინის ღირსი არ არის. კიდევ ვიტყვი, იმან არაფერი არ გაუმჯობესებია, თუმცა, გიდრემდისინ გამოსცემდა თავის ყურნალს, ივიწყოდა, რომ იმან დაჰკარგა თავისი თავი საქართველოს ლიტერატურისათვის და ამასთანავე იმასაც თან მოსძახოდა:

«აყვავდება სიყრმისდღესავე ჩვენი ქართველის ენამა
და დღე გვიბრწყინავს ჩვენ მის მზისით დაუღალავ დღეს.»

როგორ ცხადად და მკაფიოდ ეტყობა ილ. ჭავჭავაძის მისი სიტყვებით და თუ «სიყრმისდღესავე ქართველის ენამა აყვავდა,» მაშ გინდა რადგან გაასწორებინა იმან თავისმიტოვებული სახელისათვის კარგ პატივი და ადგილი თავის გასწორებას შეიძლებს? მართალს ვიტყვი, არ დავმალავ, იმან რომ აქ

გვარ დუქნებით გამოსცა შირეული ნომერი თავისი ჟურნალისა, ჩვენ გვეგონა რომ ჩვენში მზე ახლა ამოვიდა, აღმობრწყინდა. გამოგვიჩნ-და გზა, რომელიც გვიშველის რასმეს. მაგრამ თქვენ მტერს მოსწ-ყდეს წელი. როგორც ჩვენ მოგვწყდა, როდესაც შევიტყეთ. რომ ჟურნალი აღარ გამოვა, საქართველოს მოამბე ერთი წელიწადიც მთლიან გამოვიდა და მერე უგზო-უკვლოდ გაქრა! აი ეს არის შენი გენიოსი იღ. ჭავჭავაძე, უფ. დვიმელი. ამას გსურს რომ გვირგვი-ნი დაადგა! გსურს რომ ყველამ აქოს!—ხაზოვანობის და მამულის მოყვარე, ერთგული შვილი მამულისა, მისთვის სიკეთის და ბედნიერე-ბის მსურველი, მარტო ლაპარაკითვე არ გაატარებს დროს, საქმესაც გააკეთებს. ისე მოეცდება, რომ რამე სახსოვარი, თავის ამ საწუ-თროში ყოფნისა, ეთიოდეთ მოსაგონებელი რამე დაუგდოს; ყოველთვის იმას ეცდება, რომ შთამომავლობამ იმაზედ მარტო ის არა სთქვას, რომ ესა და ეს კაცი ცხოვრებდა, მოკვდა და წაიღეს, დამარხეს; ამ საწყალს წუთის სოფელში ამის მეტი არაფერი არ გაუკეთებია, რომ მარტო ცუდუბრალოთ პური უჭამია თუმცა იმასაც. როგორათაც ყოველს კაცს. ვალათ ედვა კისერზედ რამე სარგებლობა მოეტანა ქვეყნისათვის. ვინც ქვეყანაზედ ცხოვრობს ყველას ვალი. დიდი ვალი ჰმართებს, რამე სარგებლობა მოუტანოს, და უამისოთ არ მოკვდეს. აი რასაც სწერს დიდი პოეტი ბარათაშვილი.

... რადგანაც კაცთა გვქვიან შვილნი სოფლისა,
უნდა ვიდევდეს მისწრაფით მას, ვეყმნათ მშობლისა:
არც კაცი კაცობს, თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსის,
იყოს სოფელში და სოფელსკი არარა არგოს.

ნიკ. ბარათაშვილი.

მე ზევით ვსთქვი, რომ უფ. იღ. ჭავჭავაძეს და აკ. წერეთელს არავითარი სარგებლობა არ მოუტანიათ ჩვენ ხალხისათვისა. ეს სი-ტყვები ჩემგნით ახსნას ითხოვენ. ეჭვი არ არის, რომ მწერალი ხალხისათვის დიდი რამ არის. კარგ მწერალს შეუძლიან ხალხს სული ჩაუდგას, ფრთები გამოასხას, გაანათლოს და მიიყვანოს მისი გონება მა-ღლით საცხოვრებლად სიბრძნის ღირსებათან. რასაკვირველია, კარგ მწერალს კარგი გამგონეც უნდა; მაგრამ ერთი კაცის გენია მთელი ხალხის გონებაზედ მაღლა ვერ იდგება. მაშასადამე სტყუიან ისინი, რომელნიც ამბობენ, რომ დიდს ნიჭიერს მწერალს ხალხი ვერ

გაიგებსო. მწერალმა იღონოს ხალხის ენით გამოხატოს თავისი მაღალი აზრები,—ხალხი გაიგებს და კიდევაც შეისმენს. პრუდონი მართლაც დიდი გამოჩენილი მწერალი იყო, მაგრამ იმის აზრებს ხალხი კარგა იცნობდა. შეიძლება კაცობრიობის ისტორიაში იშვათი მაგალითები ვიპოვოთ, რომ გენიოსი თავის ნიჭით ხალხზედ მაღლა დგომილიყოს, როგორც მაგალ. გალილეი, კოპერნიკი და სხვა, მაგრამ ამისთანა გენიოსებს დღეისობით ვერ ვიპოვით ისტორიაში: ამ გვარის მწერლები დროებით წინ წარმოუძღვიან კაცობრიობასა მის ცხოვრების მესაცვლელად. ამ გვარი დიდი ღირსება და მნიშვნელობა კარგი მწერლისა მე იმას მაფიქრებს, რომ ჩვენ გენიოსებს, რაც უწერიათ, ის რომ ხალხმა იყოს გამორავლებული, სარგებლობა იქმნებოდა რამე ხალხისათვის. აი მაგალითებრ ილ. ჭავჭავაძის მშვენიერი «გლახის ნაამბობი და კაცია ადამიანი» ხალხისათვის ცალკე რომ იყოს დაბეჭდილი და ხალხსა ჭკვიანებულობდეს, უეჭველია რომ რამე სარგებლობას ნახავდა: იქნება მიმართულება და აზრი შეეცვალა, მაგრამ, ისინი რადგანაც ჟურნალში არიან დაბეჭდილები, რომლის არსებობა ხალხმა სრულებით არ იცის, და თუნდ რომ იცოდეს ვერ იყიდის,— იმას ჭკვიანებულობენ ისევ ცოტათ თუ მეტად განათლებულნი. ამისათვის სრულებით ვერ გამოუსადეგია ჩვენ ხალხისათვის ილ. ჭავჭავაძე თავის მწერლობით და ნიჭით. გამოსცეს კი თავისი თხზულებანი ცალკე წიგნებად და თუ ისინი «მოსწმენდენ ხალხს ტანჯვის ცრემლსა და წარუძღვებიან წინა ერსა;» მაშინ ვიტყვით, რომ იმან სარგებლობა მოუტანა ხალხს და დიდი «გენიოსი» პოეტიც არის. ამას იმისათვის ვამბობ, რომ თვითონ ასე ჰხსნის პოეტის მნიშვნელობას. თვითონ იმასივე აზრით პოეტი ცამ ტკბილ ხმებისათვისკი არ გამოგზავნა, არამედ იმისათვის, რომ «ხალხისა მოძმედ იყოს ჭმუნვაში და სიხარულში და წარუძღვეს წინა ერსა, რომ ტანჯვის ცრემლი მოუგწმინდოს.» ეს შენი სიტყვები უფ. ილ. ჭავჭავაძემ აღასრულა? თორემ დამტკიცებ, რომ ახალი შთამომავლობა იმ ქების ღირსი არ არის, როგორათაც უფ. ღვიმელი აქებს.

ბოლოს ამას გეტყვი, ჩემო ღვიმელო, რომ ახალ შთამომავლობას «ვმაყოფის გზა ვსცდეგ დასრულისათვის, სურვილი გულს შერჩომია; ის მარტო მისთვის მღერის, რომ იმღეროს.» ის ცარიელი სიტყუა არის გადაქცეული, საქმით არაფერი არ ჩხანს. ბევრი კარგი რამ

მოსწონს, მაგრამ რაც მოსწონს იმას არ ასრულებს. ცარიელი მოწონება ხომ არ არის საქმე: ის არის, რაც მოგწონს, რასაც ჭირით ამბობ, იმას საქმითაც ასრულებდე. კაცი ის არის და ქუდიც იმას ეხურავს თავზედ, რომელიც გაასრულებს თავის სიტყვას. თორემ ეხლა ჩუენში ბევრნი არიან ისეთი კაცები, რომ ჩქარ-ჩქარა იმეორებენ უკვდავი რუსთველის სიტყუებს: «ჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკუდილი სახელოვანი;» მაგრამ ამსრულებელი არავინ არ არის. ამათ ამაში არ გავამხელდი, მაგრამ რადგან მასწოლოდა გურამიშჳლის პოეტის სიტყუებში, რომ რაგინდ ჭკუმან მადლობს ჭირი თავს არ დაიმალავს, ამისათჳს გამჟღავნებ.

მართალია, მძრახველს მძრახვა თჳთვე ავად მოუხდების,
მაგრამ ფარვა სხვისის ქუეყანას არ მოუხდების,
წამხდენელთა და მხამელთა გულებ ხსნაც რამ წაუხდებას
და მძრახვავე ჭკუიანს სამძრახავთა, მძრახვას ვარა მოუხდენისების.

. . . . . . . . . . . . . . . . . .

ამას ვწერინობ, ავნი ავს თჳთ იქმენ და სხვასა მძრახვენ,
ბაძით მოიცვენ გაურცხვნელობის ურცხვილების თუ არ არცხვენ,
ვინ დაჭიდავსავს მათის ნათესას, თჳთ უმიწოდ ქმას ფარცხვენ,
და ქვე საწუთროს ქვეტკორსა სდგმენ, ზე სამკვდროს ფიცხით ფარცხვენ.

დიმ. ჯანაშჳლი.

1865 წელსა, 14 სეკტემბერსა.

# დამატებითნი კანონნი.

## 13 ოკტომბრის 1864 წლის წეს-დებათადმი.

## გლეხთათჳს გამოსულთა ყმობითის დამოკიდებულე-ბისაგან

## ქუთაისის გუბერნიაში

1. ბატონური უფლება ქუთაისის გუბერნიის გლეხთა ზედა, და-სახლებულთა საპატრონო მამულზედ, ანუ რომელნიცა ჰსდგანან ხიზ-ნად სხვათა მებატონეთა ანუ უწყებათა, ესე იგი სახაზინოსა, გინა ეკკლე-სიის მიწებზედ, ანუ ჰსცხოვრობენ ქალაქთა და სავაჭრო სოფელთა შინა მოისპობა სამარადისოდ.

2. გლეხთა ზედა, გამოსულთა ესრედ ყმობითის დამოკიდებულე-ბისაგან, განვრცელდებიან უმაღლესად დამტკიცებულნი ტფილისის გუბერნიისათჳს, 13-ს ოკტომბერს 1864 წელსა, სჯულ-დებანი, სოფელთა იმა ნაწილთა შინა, რომელთაცა ზედა არა დაწესდებიან განსხვავებანი ამა დამატებითთა კანონთა შინა, და რომელნიცა არა ეწი-ნააღმდეგებიან ჰაზრსა მათსა.

შენიშვნა 1. ესე უმაღლესად დამტკიცებულნი 13-ს ოკტო-მბერს 1864 წელსა სჯულ-დებანი არიან: 1) დამატებითნი კა-ნონნი 19-ის თებერვლის 1861 წლის წეს-დებათადმი გლეხ-თათჳს, გამოსულთა ყმობითის დამოკიდებულებისაგან ტფილი-სის გუბერნიაში; 2) ადგილობითი წეს-დება თუ როგორ უნდა დაბინავდნენ ანუ გაეწყვნენ მამულეთა გლეხნი, დასახლებულნი იქ საბატონო მიწებზედ, და 3) კანონნი დაწესებისათჳს სოფ-ლის საზოგადოებათა, იმათის სასოფლო მმართველობისა და გარდასახადთა სახელმწიფოთა და სასოფლოთა იმავ გუბერნიაში.

შენიშვნა 2. თუ როგორ უნდა გაეწყოს მდგომარეობა გლეხთა, დამოკიდებულთა პირთაგან ჩამომავლობით არაკეთილშობილთა,

დაიდებიან საკუთარნი კანონნი, ამა კანონების ბოლოს დამატებ-ულნი.

3. კავკასიის ნამესტნიკს მიენდობა, აღსასრულებლად ამა დამატებითთა, კანონთა მიჴსცეს დაწვრილებითი დარიგებანი, შეთანხმებულნი წესდებათა-თანა უმაღლესად დამტკიცებულთა 13-ს ოკტომბერს 1864 წელსა ტფილისის გუბერნიისათჳს.

## I. გლეხთათჳს, რომელნიც არიან მებატონის ოჯახში მოსამსახურედ ანუ მოხელედ, და აგრეთვე რომელნიც სახლობენ ხიზნად სხვა მებატონის ანუ უწყების მიწაზედ.

4. წესდება 19-ის თებერვლის 1861 წლისა დაბინავებისათჳს შინა-მსახურთა, გამოსულთა ბატონყმობიდგან განვრცელდება ქუთაისის გუბერნიაში მოჯალაბეებზედ, რომელნიც არიან რა მებატონეებთან ოჯახში მსახურად ანუ სხუა რაიმე მოხელედ, არა აქვსთ არა ვითარი მიჩენილი მიწა ანუ აქვან მარტო ეზო ანუ სამოსახლო.

შენიშვნა. წესდება 19-ის თებერვლის 1861 წლისა შინა-მსახურთათჳს არა შეეხება იმ მოჯალაბეთა, რომელთაცა აქვსთ მიჩენილი მიწა, და არცა იმ გლეხთა, რომელნიც თუმცა იმსახურებიან მებატონეებთან ოჯახში ანუ აქვსთ რაიმე მოხელეობა, მაგრამ ეკუთვნიან სახლობათა აზნაურთა, მსახურთა და გლეხთა; გლეხნი ესე, თანახმად მუხლისა 139 (შენიშვნა 1) ადგილობითის ტფილისის გუბერნიისათჳს წესდებისა, უნდა აასრულებდნენ თავანთ მოვალეობათა ორის წლის განმავლობაში დღიდგან ამ დამატებითთ კანონთ დამტკიცებისა.

5. მოვალეობანი ფულად გარდასახადის ძლევისა გამო, ორის წლის ვადის განმავლობაში, დაწესებულნი 19-ის თებერვლის 1861 წლის კანონებითა შინა-მსახურთათჳს, განვრცელდებიან იმა გლეხთაცა ზედა რომელნიცა, დგანან რა ხიზნად მიწასა ზედა სხუათა მებატონეთა ანუ უწყებათა (ესე იგი ხაზინისა გინა ეკკლესიისა), ანუ რომელნიცა ცხოვრებენ რა ქალაქთა და სავაჭროთა სოფელთა შინა, ისინი ეს-

ლაცა ამ გვარ გარდასახადისა. გარდასახადი, რომელსაც ეს გლეხები ისდიან ეხლა, არ უნდა იყოს იმაზედ მომატებული, რაც ამ კანონით დამტკიცებამდინ იმათ უძლევიათ. ყოველს შემთხვევაში, ფულის გარდასახადი არ უნდა აღემატებოდეს ოც და ათ მანეთს წელიწადში თჳთოეულს მოზდილ მამაკაცზედ.

## II. მოპოებისათჳს გლეხთა-მიერ საკუთრებად მიჩენილისა მათდა მამულისა და შემწეობისათჳს ამაში მმართებლობის მხრით.

**6.** მოპოვება გლეხთა-მიერ საკუთრებად მიჩენილისა მათის სანიადაგოს სარგებლობაში მამულისა, როგორათაც ერთიან, ესე იგი: ეზოთი ანუ სამოსახლოთი, მაღლარის და დაბლარის ვენახებითა (მუხლნი ამ კანონების **31** და **32**) და მინდვრის ანუ ველის მიწებითა, აგრეთვე ცალკე-ცალკეც თჳთოეულისა ამ მიჩენილის მამულის ნაწილებისა, მოხდება მხოლოდ მებატონის დათანხმებით.

**7.** მებატონეს ნება აქვს მოსთხოვოს გლეხთა, რომ იმათ მოპოვონ მიჩენილი მათდა სანიადაგოს სარგებლობაში მამული; მაგრამ ამ გვარის მებატონის მოთხოვნილებით უნდა მოიპოვოს მიჩენილი მამული მთელმა გლეხთ საზოგადოებამ, და არა ცალკე-ცალკე კომლთა; ამასთანავე-კი გლეხნი არავის შემთხვევაში არ იქნებიან მოვალენი უეჭველად შეისყიდონ ვენახები. როდესაც საკუთრად მოპოვება სამოსახლოსი და ველის მიწებისა წარმოსდგება მხოლოდ მებატონის მოთხოვნილებით, მაშინ გლეხთა, უკეთუ არ მოინდომეს ვენახების შესყიდვა, შეუძლიანთ დასტოვონ ვენახები იგი თავიანთ სანიადაგო სარგებლობაში და აძლიონ მათთჳს დაწესებული გარდასახადი. მაგრამ-კი, თუ მებატონე დათანხმდა, რათა სავლეხო მაღლარები შეიერთნენ ველის მიწებად, მაშინ უნდა შესყიდულ იქმნენ ეს ვენახებიცა.

**8.** როდესაც შესყიდვა მიჩენილის მამულისა მოხდება ნებითის ურ-[illegible] მოლაპარაკებით, რომელიც-კი უნდა დამოწმდეს მიროვის [illegible] და [illegible] თა გარემშსვინიდლისიანათა კაცთა, რიც-[illegible] მაშინ დაწესება ფასისა ამ მამულისათჳს [illegible] დაითვალისწინებული იქმნება თჳთ მომრიგე მხარეთგან. ამავე

მორიგებით დადგინდების შინაარსი, თუ რა წესით და რა ვადებში უნდა შემოტანილ იქმნეს ფული.

9. როდესაც მიწყნილის მამულის მოწოდება მოხდება მარტო მებატონის მოთხოვნილებით, მაშინ ფასი ამ მამულისათჳს დაინიშნება შესაბამისად იმ ზომისა, რომელსაც მიეცემის მმართველობისაგან, ამავ მამულის გირაობით, ფულის სახით, წოდებული შესასყიდავ ფულად, ძალით ამ კანონების მუხლთა 10—18.

10. მმართველობის შემწეობა მომავლობისათჳს გლეხთა-მიერ სავუთრებად მიწყნილის მათდა მამულისა გარდარჩომა მაღლარის ვერსადებზედაც (მუხლი 7); ამ შემთხვევაში მიწა, რომელზედაც გამოწვეულია ეს ვერსადები, შეიძლება. დროის შესასყიდავის ფულის დანიშვნისა, თანასწორ მიცემ ლირსების ანუ ქმნილებს მიწათან (მუხლი 14).

11. შესასყიდავი ფული, რომელიც მიეცემის გლეხთა სახსრად, მომავლისათჳს მათ-მიერ მიწყნილის მამულის გირაობით, დაწესდება სხუა და სხუა ნაირის ზომით, მიხედვით იმისა, თუ რა სახით აძლევენ გლეხნი მებატონეს შესასყიდრო მათგან, ამ მიწყნილის მამულისათჳს, გადასახადთა: ფულად, თუ მიწის მოსავლით, გინა საქონლით და შინაურის ყველასამუშავოთა რაგვარი (მუხლნი 65, 69—75, 79).

12. როცა გლეხნი მიწყნილის მამულისათჳს შემოიტანენ გარდასახადთა, უსტავის გრამოტის ძალით, ფულად, მაშინ საფუძვლად დაწესებისათჳს შესასყიდავის ფულის სახსის რაოდენობისა მიიღების ერთი წლის ფულის გარდასახადი, იმ გრამოტით დანიშნული; ეს წლის გარდასახადი მიიქცევის, ექვსის პროცენტის ანუ სარგებლის ანგარიშით, კაპიტალად ანუ თავნად, და იგი განმარტებულების თიქვსმეტს და არის მესამედ-ექვსი. შემდგარი ამა საფუძველით კაპიტალი ანუ თავნი იქნება მსგავსი შესასყიდავის ფულის ზომას, თუ ეს თავნი იქნება არა აღემატება იმ გადაწყვეტილი მისთა ზომათა, რომელნიც დაწესებული არიან ქვემორე მუხლთა შინა 13. 14 და 17.

13. თუ იმ თავნი იქნებოდეს, რომელიც 12-ის მუხლის ძალით არის ნასხვავრიშევი, მისდა თჳთო ქცევას (*) ვრცლის მიწისას (მუხლი 22) თითოეულად მაწყინველ და სულო შეგროვებელი, მაშინ სასყიდველი ფული,

(*) ადგილობითი მიწის ზომა—ქცევა ყოველის განაწევით, მიიღება ცხრაას კვადრატის სავენად.

ანგარიშით თჳთოს ველის მიწის ქცევისათჳს, ამ ზომაზედ ზევით აღარ წავა.

**14.** უმეტეს ნაყოფიერ ადგილებში, სადაც ერთ ქცევა მიწაზედ მოდის საშუალი მოსავალი არა უმცირეს ოც და ათის ფუთის ხორბლისა ანუ ღომისა, გინა ორმოცის ფუთის სიმინდისა, აგრეთვე სადაც მოდის ბამბა გინა სხვა კაი ფასის მოსავალი, ანუ სადაც გაშენებულია მაღლარი ვენახი (მუხლი 7), ზომა შესასყიდავის ფულის სესხისა ყოველ ამ გვარ მიწის ქცევაზედ დაიდება, შემთხვევასა შინა წინამავალ მუხლში დაწესებულსა, ოც და ორი მანეთი და ათი შაური.

შენიშვნა. კავკასიის ნამესტნიკს მიენდობა მოაყვანინოს ჭეშმარიტ ცნობაში, თუ რომელი ადგილები ოთხს ქუთაისის გუბერნიის უეზდებში, სადაც იმყოფებიან მებატონის მიწებზედ დასახლებულნი გლეხნი. უნდა შერაცხულ იქნენ მაღალ ღირსების ანუ უმჯობეს მიწების ანგარიშში ნაყოფიერების გამო. მიწების შერაცხვის დროს საუმჯობესოდ მიიღება აგრეთვე ერთობ ყურადღებაში, თუ რომ სადაც მაღალი ფასები აქვს მიწასა, რომელსაც ვაჭრობა ანუ სხუა აღებ-მიცემა და ხალხის სიშირე აღმოუჩენენ გლეხების ჭირნახულს კარგ ბაზარს და ააღებინებენ კიდეც მუშაკობით კარგ ღირსეულ ფასს.

**15.** როცა გარდასახადს მიჩენილის მამულისათჳს აძლევენ გლეხები, უსტავნის გრამოტის ძალით: სამოსახლოსათჳს — ფულად, ხოლო ველის მიწებისათჳს — მიწის მოსავლით, მაშინ სესხად მისაცემის შესასყიდავის ფულის ნაწილი, რომელიც შეხვდება სამოსახლოსათჳს, იანგარიშება, თანახმად 12-ს მუხლისა, თავნად შეყენებითა წლიურის გარდასახადისა; გარნა დანარჩენი სასესხებელის ფულის ნაწილი ველის მიწისათჳს შესახვედრი დაწესდება ანგარიშით თჳთო ქცევაზედ, შვიდი მანეთი და ათი შაური, — ხოლო ადგილთა შინა წინა მუხლში მოხსენებულთა — თხუთმეტი მანეთი.

**16.** ზომა სესხად მისაცემის შესასყიდავის ფულისა კომლზედ არას დროს არ შეიძლება იყოს მეტი, 13 და 14 მუხლში დაწესებულს შემთხვევაში, სამას ორმოც და ათს მანეთზედ, ხოლო 15 მუხლში დაწესებულს შემთხვევაში — ორას ორმოც და ათ მანეთზედ.

**17.** რაჭის უეზდის მთიან მამულებში (მუხლი 59, შენიშვნა), ზომა სესხად მისაცემის შესასყიდავის თეთრისა, იმ შემთხვევაში, რომელიც ნაჩვენებია 12 მუხლში, დაწესდება, ანგარიშით თჳთო ქცევაზედ:

სამოსახლოსთჳს ორმოც და ათი მანეთი, ველის მიწისთჳს — ათი მანეთი და სათიბისათჳსაც — ხუთი მანეთი; მაგრამ სრული სასყიდებელი თეთრი არ უნდა აღემატებოდეს ორას ორმოც და ათს მანეთს თჳთოეულს კომლზედ, რომელსაც აქჳს მიჩენილი სარგებლობად არა მარტო სამოსახლო, არამედ ველის მიწაც.

**18.** ადგილთა შინა წინა მუხლში აღნიშნულთა, რომელსაც გლეხნი მიჩენილის მამულისათჳს აძლევენ გარდასახადთა, უსტავნის გრამოტის ძალით, საქონლით ანუ შინაურის გლეხსამუშავრით, ზომა სყისად მისაცემის თეთრისა დაწესდება, ანგარიშით თჳთოს ქცევაზედ: სამოსახლოსთჳს ორმოც და ათი მანეთი, ველის მიწისთჳს — შვიდი მანეთი, ხოლო სათიბისათჳს — სამი მანეთი; მაგრამ ერთიან სასყიდებელი ფული არას დროს არ უნდა აღემატებოდეს ას ორმოც მანეთს თჳთოეულს კომლზედ, რომელსაც აქჳს მიჩენილი სარგებლობად არა მარტო სამოსახლო, არამედ ველის მიწაც,

## III. დაწესებისათჳს სოფლის საზოგადოებათა, მათის სასოფლო მმართებლობისა და გარდასახადთა საკელმწიფოთა და სასოფლოთა, აგრეთვე ადგილობითა საგლეხო საქმეთათჳს სასამართლოთა.

**19.** კანონნი, რომელნიცა შეეხებიან წესდებათა შინა **13** ოკტომბრის **1864** წლისა დასაწესებლად სოფლის საზოგადოებათა, მათის სასოფლო მმართებლობისა და გარდასახადთა საკელმწიფოთა და სასოფლოთა ტფილისის გუბერნიაში, აგრეთვე ადგილობითთა საგლეხო საქმეთათჳს სასამართლოთა იმავე გუბერნიაში, განევრცობიან ქუთაისის გუბერნიასა ზედაცა იმ ცვლილებებითა, რომელთაც დაინახავს საჭიროდ კავკასიის ნამესტნიკი.

## IV. თუ როგორ უნდა გაეწყვნენ მამულებითა გლეხნი, მებატონის მიწებზედ დასახლებულნი.

### ა. მიჩენა გლეხთადმი მიწისა და სხვა მამულებისა.

**20.** უწინარეველ-საყოფელად გლეხთა და ასატანათ მათ მიერ მოვა-

ლეობათ მმართებლობის და მებატონის წინაშე. მიენდობათ გლეხთა ნიადაგ-სარგებლობად, საფუძველთა ზედა ამა კანონთა შინა გამოც-ხადებულთა, ჯეროვანი ადგილობითის მიხედვისამებრ მამული, რომ-ლისათჳსაც გლეხნი მისცემენ დაწესებულთა გარდასახადთა.

21. თუ რაოდენი უნდა მიჩენილ ექმნასთ გლეხთა მიწა და სხჳა მამულები ნიადაგ-სარგებლობად. ეგე დაწესდება უპირო უმეტეს კეთილ-ნებითის მებატონეთ და გლეხთ შორის თანხმობითა, როდესაცა კეთილნებითი თანხმობა არ შეჰკრდება, მაშინ მიჩენა გლეხთადმი მიწის ნიადაგ-სარგებლობად უნდა მოხდეს საფუძველთა ზედა შემ-დგომთა მუხლთა შინა თქმულთა.

22. ყოველს სოფელში გლეხთ დაუტოვებათ ნიადაგ-სარგებლობად: იმათი სამოსახლოები, ვენახები: დაბლარი (მიწის, სარდანზედ გაშე-ნებული) და მაღლარი (მაღლა, ხეზედ გაშენებული), აგრეთვე ველის მიწები (სახნავ-სათესი და სათიბი), რომლებითაც თვითოეულ კომლს ამ კანონების დამტკიცებამდის უსარგებლია. მაგრამ ამ შემთხვევაში ველის მიწებისათჳს დაიდებიან სხვა პირობები, ქვემოდ, 24 და 25 მუხლში განცხადებულნი.

შენიშვნა. იმ მიწების ნაწილის როგორც ველისას, აგრეთვე სამოსახლოს და ვენახებისას, რომელიც დაუტოვებათ გლეხთა ნიადაგ-სარგებლობაში, სახელად ეთქმევა გლეხთადმი მიჩენილი მამული.

23. თუ რომ გლეხთა, გარდა მიჩენილის მათდა სანიადაგოდ (სამკვიდროდ) მიწისა, უხნავთ, უთიბავთ და შეუმუშავებიათ საბატონო (სასახო) ველის, ესე იგი სახნავი და სათიბი ადგილები და ვენახები, რომელიც მებატონეს უძლევია მათთჳს დროებით მოსავლის ნაწილის გამორთმევით ანუ სხჳა რიგის ქირით, მაშინ ამ გვარი ადგილები და ვენახები არ შემოვლენ გლეხთადმი მისაჩენის მამულების ანგარიშში.

24. თუ რომ შემდგომ დატოვებისა, თანახმად 22 მუხლისა, გლეხთა სარგებლობაში სახნავის და სათიბის ადგილებისა, აღმოჩნ-და, რომ მებატონეს რჩება ნახევარზედ ნაკლები მთლად კუთვნილი მისდა იმ სოფელში, სადაც სახლობენ გლეხნი, სახნავ-სათიბი ადგი-ლები. მყოფი როგორადაც გლეხთ სარგებლობაში, ეგრეთვე საკუთა-რს მებატონის განკარგულებაში, ზედ დართვით მათზედ გლეხების მაღლარებისაც, შერიცხვისა ძალით მუხლთა 34 და 35 ველის მი-

წების ანგარიშში, მაშინ მებატონეს აქვს უფლება დაიგდოს თავის საკუთარს განკარგულებაში ნახევარი მიწის ამ გვარის მიწებისა, ესე იგი სახნავ-სათიბისა, აგრეთვე გლეხების მაღლარებისაც ვენახის მიწებად შერიცხულისა, ზოგიერთი პირობებითა, რომელნიც 40-ის მუხლში დაწესებულნი არიან.

**25.** მებატონე არა რომელ შემთხვევაში არ არის მოვალე დაუტოვოს სანიადაგო სახმარად ერთის კომლის გლეხს ველის მიწა უმეტეს იმ უმაღლესის ზომისა, რომელიც დაწესდება კომლეულად მისაჩენად. უმაღლესი ესე ზომა კომლეულად მისაჩენის ველის მიწისა დაწესდება თორმეტი ქცევა.

**26.** თუ რომ ერთის კომლის გლეხის ხმარებაში ერთად ველის მიწა (მუხლი 24) აღმოჩნდება უმეტეს უმაღლესის ზომისა, წინა მუხლით დაწესებულისა, მაშინ მებატონეს აქვს უფლება მოუკლოს რაც მეტი აქვს გლეხს და მიაქციოს თავის საკუთარს განკარგულებაში. თუ მებატონემ მოინდომა, რომ ეს მოსაკლებული ნაწილიც დაუტოვოს გლეხს სარგებლობაში, მაშინ ამ გვარის სარგებლობის პირობები დაიდებიან ორთავ მებატონისა და გლეხის კეთილნებითის თანხმობით.

### 1) რა შეადგენს მისაჩენ ველის მიწას.

**27.** ტყეები არსად არ შეიტანებიან გლეხთადმი მისაჩენს მამულში, მაგრამ მცირე ტყის ნაკვეთები (სასარდნე ანუ სახარე) რომელიც აქამომდე ჰქონიათ ნიადაგ სარგებლობაში არა მთელს გლეხთ საზოგადოებას, არამედ ცალკ-ცალკე ოჯახეულთ კომლთ, დარჩებიან იმათვე სარგებლობაში, მისაჩენის მათდა მამულების რიცხვში.

შენიშვნა. მიწა, სადაც აქვსთ გლეხთ ისლი, შეიტანება აგრეთვე მისაჩენის გლეხთადმი ველის მიწის რიცხვში.

(განგრძელება შემდგომ ნომერში იქნება.)

# რედაქციისაგან.

ბატონო კოლხიდელო, ჩუჱნის სიტყვიერების ერთგულო თანა-შრომელო! წარსულის თვის ცისკარში დავბეჭდვით თქუჱნი ყოვლად ჩინებული ლექსი, შესახებ ვლადიმერ მღჳდლისა და ბოლოს ფურცელზედ მოვიხსენიეთ რა საგანზედაც იყო ეს ლექსი თქუჱნგანით შეთხზული. ზოგი ერთნი პირნი, რომელთაცა მოსწონებიათ ის ჩინებული ლექსი, ითხოვენ თქუჱნგანვე იმ ლექსის განმარტებას — რედაქცია თავის მხ-რივ უმორჩილესათ გთხოვთ, მიიღოთ შრომა და თქუჱნის მშვენიერის კალმით განაშვენოდ ჩუჱნი ჟურნალი ამ საგანზედ.—

— უპატივცემულესო ეკატერინა დონდაროვისავ! თქუჱნგნით წარმო-გზავნილი რედაქციაში მოთხრობა ფრანცუზულითგან კარგის და გასა-გონის ენით ნათარგმნი, მივიღეთ; ამ მოთხრობას დავბეჭდავთ დიდის მადლობით მოთხრობის ნაწილში თავის დროზედ და უმორჩილესად გთ-ხოვთ, არ მოაკლოთ რედაქციას თქუჱნი თანამშრომლობა, რომელიცა ექნება სამაგალითო ქალთა შორის.

— ერთს ალაგს ყური მოვკარით, ცისკარში რა დასაბეჭდია რომა-ნის მარიონ დელორმის აღსარება, რომელიცა რყვნის ზნეობასა, ცუდის მაგალითის ჩუჱნებითაო. ამაზედ რედაქცია მოახსენებს იმ პირთ, რომ ამ აზრით დიდათ სცდებიან. ჯერ ერთი ეს, რომ არა თხზულებაზედ ჩუჱნის აზრის წარმოთქმა არ შეიძლება, მინამ ბო-ლომდინ არ წავიკითხავთ. შესავალის წავიკითხვით, ვერ გაიგება ღირსება ვერა რომლის თხზულებისა; — აი, რა ღირსება აქჳს ამ რომანს: უ-მანკო და წრფელი ქალი გამოდის ქვეყანაში, იმ ქვეყანაში, სადაცა ახ-ვევიან გარს ზნეობა წამხდარნი ხალხნი; — ბოროტება ისე გაცხოვ-ლებულია, რომ იმ დროს საფრანგეთის მინისტრებითგან დაწყობილი თჳთ უკანასკნელ მოხელემდინ ყოველს სიმართლეს ივიწყებენ ერთის ქალის გულისათჳს; და ეს უმანკო ქალი ისე გაიტაცეს, რომ შეიქნა თჳთქმის საქვეყნო ქალად; მეორე უპირველესი აზრი, — აზრი ჭეშმა-რიტი, — ქალი, რომელიცა ივიწყებს ყოველს პატიოსნებას, მისდევს ქვეყნის დიდებას, და ამ დიდებისათჳს მიეცემა მეტის-მეტს გარყვნი-ლებას; ბოლოს რა მდგომარეობაში ვარდება და განგება როგორა სჯის. ეს არის ხვედრი ყოველის გარყვნილის ქალისა. — ცოდვა არ არის, ამისთანა აზრების მქონე რომანზედ კაცმა სიცრუე თქვას. — უნდა დარწმუნდნენ მკითხველები, რომ რასაცა რასმე ჰბეჭდავს რედაქცია, — არის ჩუჱნის ხალხის ზნეობის გასამართავი...